პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღა მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- — რებანე ესტონეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.
- — მუშათა მასიური დათხოვნა ლოძის საფეიქრო მრეწველობაში.
- — ფინანსიური სპეკულიაცია პოლონეთში.
- — მასიური დაპატიმრება ვარშავაში—დაპატიმრებულია 100 კაცი.
- — ამხ. მენჟინსკის ჯანმრთელობის მდგომარეობა.
- — დაიხურა ინჟენერ-ტეხნიკოსთა საკავშირო ყრილობა.

ოთხშაბათი, 24 აპრილი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 92 (2438)

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა მაისისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

XVI პარტკონფერენციისათვის

მე-XVI საკავშირო პარტიული კონფერენცია იკრიბება პარტიის მე-XV ყრილობიდან წელიწადზე მეტის გასვლის შემდეგ. კონფერენციის წინაშე მდგომი ამოცანების გამორკვევა შეიძლება მხოლოდ პარტიის იმ გენერალურ ამოცანებსა და იმ გენერალურ ხაზთან დაკავშირებით, რომლებიც დასახა მე-XV ყრილობის მთელმა ისტორიულმა პერიოდმა.

პარტიის ცხოვრებაში, მუშათა კლასის ცხოვრებასა და მუშაობაში, იმ მუშათა კლასის, რომელიც ანხორციელებს თავის დიქტატურას და აშენებს სოციალიზმს, მე-XV ყრილობას ჰქონდა ეტაპის, გარდატეხის მნიშვნელობა. აღდგენის პერიოდით, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენის მნიშვნელოვანი წარმატებებით, ჩვენი ქვეყანა პირისპირ მიუდგა ძირფესვიანი რეკონსტრუქციისა და კაპიტალიზმის ფესვების ამოფხვრის ამოცანებს. ამიტომ მე-XV ყრილობის მთავარი ლოზუნგები იყო: ჩვენი ქვეყნის განუწყვეტელი და სწრაფი ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. აი ის გადამწყვეტი საკითხები, რომლებისთვისაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციათ მუშათა კლასს და მთელ მშრომელთ.

პარტია, მუშათა კლასი და მთელი მშრომელი მოსახლეობა ყოველი ძალღონით ანხორციელებენ რეკონსტრუქციის ამოცანებს. მაგრამ ძირფესვიანი სოციალურ-ეკონომიური და ტეხნიკური რეკონსტრუქციის ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებაზე გადასვლა მოითხოვს გადამჭრელ ცვლილებებს მთელ ჩვენს მუშაობაში, მოითხოვს ახალ მიდგომას და ამ ამოცანების გადაჭრის ახალ მეთოდებს. სოციალისტური მრეწველობის უდიდესმა ძირფესვიანმა რეკონსტრუქციამ, სოციალისტური მრეწველობის გადაყვანამ უმაღლეს ტეხნიკურ საფეხურზე, სამრეწველო მშენებლობამ მეცნიერებისა და ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, 25 მილ. დაქსაქსული გლეხური მეურნეობის გარდაქმნამ და მათმა გადაყვანამ მსხვილი განსაზოგადოებული წარმოების საფუძველზე,—ყოველივე ამან არ შეიძლება არ გამოიწვიოს გარდატეხა მთელ ჩვენს მუშაობაში.

რეკონსტრუქციის ახალი ამოცანები შეიძლება წარმატებით გადაიჭრან მხოლოდ იმ პირობით, თუ სამეურნეო მშენებლობაში ბევრად უფრო გადაჭრით ჩავაბამთ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ახალ და ახალ ფენებს. თვით მასების გამოცდილება და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა—აი აუცილებელი პირობა, რომლის გარეშეც შეუძლებელია წინსვლა.

სოციალისტურ მშენებლობაში მუშების ბევრად უფრო საგრძნობი მასების ჩაბმის საჭიროება ახალ ამოცანებს სვამს პროფესიონალური კავშირების წინაშე და აიძულებს მათ სათანადოდ გარდაქმნან თავიანთი მუშაობა. მიმდინარე პერიოდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახულია ტეხნიკოსთა და ინჟენერთა საკუთარი სოციალისტური კადრების შექმნის საჭიროება. რეკონსტრუქციის ახალ პირობებთან და ამოცანებთან შეფარდებით უნდა გარდაიქმნას ჩვენი საბჭოთა და სამეურნეო აპარატიც. მუშაობის ახალი პირობები დაბეჯითებით გვიკარნახებენ ამ აპარატის გაუმჯობესებას, ფართო მასებთან მისი კავშირის გაღრმავებას და განმტკიცებას, ბევრად უფრო გადამჭრელ და თავგამოდებულ ბრძოლას ბიუროკრატიზმთან, რომელიც მას ღრღნის. დასასრულ, კომპარტიამ, მუშათა კლასის ავანგარდმა, მთელი სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელმა უნდა შესძლოს ისე განამტკიცოს თავისი რიგები და ისეთ სიმაღლემდე აიწიოს, რომ წარმატებით უხელმძღვანელოს მთელ მუშაობას კაპიტალიზმის ფესვების ამოსაფხვრელად. ჩვენმა პარტიამ უნდა ჩაატაროს თავისი რიგების გენერალური წმენდა, უნდა მიიზიდოს ქალაქისა და სოფლის პროლეტართა ახალი ფენები და ამავე დროს გააღრმავოს თავისი კავშირი მუშათა კლასთან.

რეკონსტრუქციის პერიოდი ახალ ამოცანებს გვიყენებს. ამ ახალ ამოცანებს ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევუფარდეთ მთელი ჩვენი მუშაობა. ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ შევიგნეთ სოციალისტური მშენებლობის მთელ ფრონტზე ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების ახალი ხასიათი. მე-XVI პარტიული კონფერენციის დღის წესრიგში შეტანილია ისეთი გადამწყვეტი საკითხები, როგორიცაა მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა, სოფლის მეურნეობის აღორძინების გზები, საშუალო გლეხის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა და პარტიის წმენდა. მე-XVI პარტკონფერენციამ ჯამი უნდა გაუკეთოს მთელი პარტიის თვალსაჩინო გამოცდილებას მეურნეობის რეკონსტრუქციის განხორციელებაში, უნდა შეიმუშაოს სათანადო დირექტივები ყველა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის ირგვლივ და დასახოს ის პრაქტიკული გზა, თუ როგორ უნდა განვახორციელოთ უფრო წარმატებით ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნა პარტიის გენერალური ხაზის საფუძვლებზე.

ჩვენი ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელებას აუცილებლად ელობებიან თვალსაჩინო სიძნელენი და დაბრკოლებანი. მარტო ჩვენი ქვეყნის შინაგან რესურსებზე დაყრდნობით არაჩვეულებრივად ძნელია ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის განხორციელება, რასაც მთელი შინაგანი და საგარეო მდგომარეობა გვიკარნახებს. თვალსაჩინო სიძნელეებთან არის დაკავშირებული ყოველი ახალი ნაბიჯი ჩვენი დაქუცმაცებული წვრილი გლეხური მეურნეობისათვის ეკონომიურ-ტეხნიკური საფუძვლის შესაქმნელად. ამ გზაზე, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის გზაზე, რთულდება ქალაქისა და სოფლის დაკავშირების ფორმები, რთულდება მუშათა კლასის მიერ ღარიბ და საშუალო გლეხობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის ამოცანები. აღარ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მხოლოდ სავაჭრო დაკავშირებით. სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია მდგომარეობს აგრეთვე სამეურნეო კავშირის დამყარებაში მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის. პარტია და მუშათა კლასი ყოველ დღე, ყოველ საათში სწყვეტენ სოფლის კოლექტივიზაციის ამ ახალ ამოცანებს, მათ მტკიცედ ახსოვთ, რომ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პირობას წარმოადგენს სოციალისტური მრეწველობა.

რეკონსტრუქციის ფართოდ განხორციელება აუცილებლად დაკავშირებულია თვალსაჩინო გარდატეხასთან სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კლასების ურთიერთობაში. სოციალისტურ შეტევას კაპიტალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ, ღარიბ და საშუალო გლეხობის კოლექტივიზაციას, კაპიტალიზმის განუხრელ შევიწროვებას ქალაქში და სოფლად—ყოველივე ამას ეხლანდელ ეტაპზე თან სდევს კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. კაპიტალიზმის ფესვების ამოფხვრა არ შეიძლება არ აძლიერებდეს კულაკებისა და საერთოდ კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობას, რომელნიც თავის პოზიციებიდან თანდათან იდევნებიან. მარქსიზმისა და ლენინიზმის სრულ დამახინჯებას წარმოადგენს მემარჯვენე ოპორტუნისტული თეორია სოციალიზმში კულაკის მშვიდობიანი შეზრდის შესახებ, კულაკური კოოპერატიული ჯგუფების საბჭოთა სოციალისტურ სისტემაში შეზრდის შესახებ. ამ ლიბერალურ ანტიმარქსისტულ თეორიას ჩვენ მთლიანად უარვყოფთ. კლასობრივი ბრძოლის მოსპობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის გზით და არა მომაკვდავი კლასების მშვიდობიანი შეზრდით სოციალიზმში.

უდიდესი ამოცანები ისახებიან სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელის—კომუნისტური პარტიის წინაშე. პარტია უნდა დაირაზმოს, უნდა განიმსჭვალოს ენტუზიაზმით, საკუთარი ძალისა და მუშათა კლასის ძალის რწმენით, გასწიოს წინ და თან გაიყოლიოს მრავალი ათეული მილიონი მშრომელი. წვრილბურჟუაზიული მერყეობა მუშათა კლასის ცალკე ფენებში, ცალკე ელემენტების მერყეობა პარტიის შიგნით სრულიად აუცილებელია. უკვე ამჟამად პარტიას საქმე აქვს მემარჯვენე, აშკარა ოპორტუნისტული გადახრის პლატფორმის თვალსაჩინო ჩამოყალიბებასთან. ჩვენ მოწმენი ვართ პარტიის ცალკე ელემენტების ცდებისა—გადაუხვიონ გენერალურ ხაზიდან და მას დაუპირისპირონ თავიანთი განსაკუთრებული ხაზი. ადგილი აქვს ფრაქციული განკერძოების ზრდას. მე-XVI საკავშირო პარტკონფერენციამ უნდა დარაზმოს მთელი პარტია ჩვენი გენერალური ხაზის გაუხრელი განხორციელების დროშის ქვეშ. საჭიროა მემარჯვენე ოპორტუნისტებისა და შემარიგებლებისათვის გამანადგურებელი წინააღმდეგობის გაწევა და მათი უკუგდება, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შეიძლება გადალახულ იქნან ის სიძნელენი და დაბრკოლებანი, რომელთა წინაშეც ასე უსახელოდ და სამარცხვინოდ ყრიან იარაღს მემარჯვენე ოპორტუნისტები. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მე-XVI საკავშირო პარტიული კონფერენცია შეაიარაღებს ამ მხრივ მთელ პარტიას და მაქსიმალურად უზრუნველჰყოფს წარმატებით მუშაობას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძირფესვიანი რეკონსტრუქციისათვის და უზრუნველჰყოფს სოციალიზმის შემდგომ წარმატებითი და მტკიცე შეტევას კაპიტალიზმის საფუძვლებზე ჩვენს ქვეყანაში.

„პრავდა", 23 აპრილი.

საბჭოთა დელეგაციის განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენების ცდა

ლიტვინოვის წერილი ლოუდონისადმი

ლიტვინოვი აფრთხილებს ლოუდონს, რომ საბჭოთა დელეგაცია ვერ შეურიგდება დელეგაციების თანასწორუფლებიანობის პრინციპის დარღვევას

ინგლისის მრეწველთა დელეგაციის წევრები საბჭ. კავშირთან ურთიერთობის შესახებ

განიარაღების კომისიის სესიაზე

საბჭოთა პროექტი რეზოლიუციისა ქიმიური ომის შესახებ

ჟენევა, 22 აპრილი. საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა პროექტი რეზოლიუციისა ქიმიური ომის შესახებ. რეზოლიუცია წინადადებას იძლევა,— გამოირიცხოს კონვენციის პროექტის თავი, რომელიც ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ომის უარყოფას შეეხება, რადგან იგი წარმოადგენს ჟენევის 1925 წლის ოქმის განმეორებას. რათა ეს ოქმი სასწრაფოდ შევიდეს ძალაში, დელეგაცია წინადადებას აძლევს იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ ჟენევის ოქმის რატიფიკაცია, მოკლე ხანში მოახდინონ მისი რატიფიკაცია. იმ სახელმწიფოებს კი, რომელთაც ხელი მოაწერეს ჟენევის ოქმს, დელეგაცია წინადადებას აძლევს — ხელი მოაწერონ დამატებით პროექტს, რომლის მიხედვითაც, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ომის ყველა ის საშუალება და მოწყობილება, რომელიც ამჟამად ჯარში მოიპოვება, მარაგად არის შემონახული ან წარმოებაშია, მოსპობილ იქნას სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რა დღესაც ოქმი ძალაში შევა. იმავე დროს უნდა შესწყდეს ქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ომის საშუალებათა წარმოება.

იმ წარმოებებში, რომელნიც შეიძლება გამოყენებულ იქნან ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ომის საშუალებათა დასამზადებლად, პროფკავშირებმა უნდა მოაწყონ მუშათა მუდმივი კონტროლი, რათა შეიზღუდოს ოქმის დარღვევის შესაძლებლობა (ადს).

ლიტვინოვის წერილი ლოუდონს

ჟენევა, 22 აპრილი. საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. **ლიტვინოვმა** განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარეს ლოუდონს მიმართა წერილით. წერილში აღნიშნულია ფაქტები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ კომისიის სხდომებზე და რომელნიც მოწმობენ, რომ იყო ცდა — განსაკუთრებულ პირობებში ჩაეყენებიათ საბჭოთა დელეგაცია.

წერილი აღნიშნავს, რომ მესამე სხდომაზე, როდესაც ლანგოვოი ლოუდონის ნებართვით საბჭოთა პროექტის ტეხნიკური დასაბუთებით გამოვიდა, ლანგოვოის სიტყვის შემდეგ ლოუდონმა განუცხადა ლიტვინოვს, რომ დაუშვებელია დელეგაციის წევრების გამოსვლა მაშინ, როდესაც სხდომას პირველი დელეგატები (ესე იგი თავმჯდომარეები) ესწრებიანო. მაგრამ წინა სესიებზე ლიტვინოვის თანდასწრებით გამოდიოდა ლუნაჩარსკი, ხოლო მიმდინარე სესიის უკანასკნელ სხდომებზე პირველი დელეგატების თანდასწრებით გამოვიდნენ მეორე დელეგატები (ბელგიისა და თურქეთისა) და ამის წინააღმდეგ ლოუდონი არ წასულა.

შემდეგ წერილში აღნიშნულია, რომ რადგან კომისიამ უარჰყო საბჭოთა მეორე პროექტი, ლიტვინოვმა ითხოვა ნებართვა—შემდეგ სხდომაზე გაეკეთებია მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს საბჭოთა მთავრობა კომისიის მუშაობას. ლოუდონმა კი მას წერილობითი განცხადება მოსთხოვა. ეს მაშინ, როდესაც იმავე სხდომაზე, განიარაღების შესახებ ინფორმაციის გაზიარების საკითხის განხილვის დროს, კეშენდენი გამოვიდა სიტყვით კომისიის მუშაობისადმი ინგლისის მთავრობის საერთო დამოკიდებულების შესახებ. კეშენდენის სიტყვას არავითარი კავშირი არა ჰქონდა იმ საკითხთან, რომელსაც კომისია არკვევდა. მაგრამ ამას ლოუდონის მხრით შენიშვნა არ გამოუწვევია, იგი, როგორც ჩანდა, არ შეუშინდა კეშენდენის მხრივ წესრიგის ახალ დარღვევას და წინასწარ არ შეეკითხა ამ უკანასკნელს მისი სიტყვის თემის შესახებ.

ლიტვინოვი მოაგონებს ლოუდონს, რომ როდესაც მან სიტყვა ითხოვა, ლოუდონი წინდაწინ დაინტერესდა, თუ რაზე ილაპარაკებდა ლიტვინოვი, ხოლო, როდესაც გაიგო, რომ იგი უნდა შეხებოდა უკვე განხილულ მუხლს, შეეკითხა კომისიას — აქვს თუ არა ლიტვინოვს უფლება ილაპარაკოს იმ საკითხზე, რომლის განხილვაც ეს-ეს არის ფორმალურად გადადებულად გამოვაცხადეთო.

დასასრულ, ლიტვინოვი თავის წერილში აცხადებს:

„საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ეს ფაქტები, რომელნიც მოწმობენ საბჭოთა დელეგაციის განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენების ცდას და რომელნიც მეტად აძნელებენ მოსამზადებელი კომისიის მუშაობაში საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობას. საბჭოთა დელეგაცია ვერ შეურიგდება ასეთ მდგომარეობას, რომელის არღვევს დელეგაციების თანასწორ - უფლებიანობის პრინციპს, რის გამოც ეხლავე აფრთხილებს კომისიის თავმჯდომარეს" (ადს).

გიბსონისა და კეშენდენის გამოსვლა

ჟენევა, 22 აპრილი. განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე გამოვიდა ამერიკის წარმომადგენელი გიბსონი.

გიბსონმა გაიხსენა ჰუვერის აზრი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსამზადებელი კომისიის დღის წესრიგში შეტანილი პრაქტიკული საკითხების წარმატებით გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხედველობაში მიღებული იქნება კელოგის პაქტით გათვალისწინებული განიარაღების განხორციელების ახალი შესაძლებლობანი. სანამ წინასწარი კომისიის მუშაობა ეყრდნობა იმას, რომ შეიარაღება გაამართლოს წარსული ომების გამოცდილებით და მოსალოდნელი ომებით, აგრეთვე ეყრდნობა ძველს შიშსა და იჭვებს, განიარაღების იმედს დიდი საფუძველი ვერ ექნება.

„თუ ჩვენი საზეიმო განცხადება ომის უარყოფის შესახებ საერთოდ რამეს ნიშნავს, მაშინ ვერ დავტოვებთ ძალაში მშვიდობიანობის ისეთ მდგომარეობას, როცა მას თავს დასტრიალებს ომის საფრთხე", — სთქვა გიბსონმა.

შემდეგ გიბსონმა განაცხადა: ტერმინი „შეიარაღების შეზღუდვა", რომელიც შესაძლებელს ხდის შეიარაღების დღევანდელზე მეტად გადიდებასაც კი, უნდა შეიცვალოს ცნებით „შეიარაღების შემცირება".

გიბსონმა გაიმეორა თავისივე განცხადება, გაკეთებული ჟენევის 1927 წლის სამთა კონფერენციაზე, და განაცხადა: ამერიკა მზად არის განსაზღვროს საზღვაო შეიარაღება ყველაზე უფრო დაბალ დონემდე ვაშინგტონის კონფერენციაზე დაწესებული პროპორციის შენარჩუნებით. „თვით ომის საფრთხეც რომ დავუშვათ,— სთქვა გიბსონმა,— საზღვაო ძალები შეიძლება დაბალ დონემდე შევზღუდოთო".

გიბსონის სიტყვით, ამერიკის მთავრობა ფიქრობს, რომ განიარაღების პრობლემის ნამდვილად გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ადგილიდან დაიძრება საერთაშორისო კონფლიქტების მოსაწესრიგებლად ძალის გამოყენების საკითხი. ამიტომ მოუწოდებს მოსამზადებელ კომისიაში წარმოდგენილ სახელმწიფოებს — ხელახლა განიხილონ განიარაღების პრობლემა მთლიანად.

ინგლისელმა დელეგატმა კეშენდენმა განაცხადა, რომ ის მომზადებული არ არის და, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია ინგლისის მთავრობა შეიბოჭოს ამჟამად განსაზღვრული წინადადებებით. კეშენდენი მოერიდა გიბსონის სიტყვაზე არსებითი პასუხის გაცემას და ზოგადი ფრაზებით მიეგება გიბსონის სიტყვის შემარიგებელ ხასიათს (ადს).

ლიტვინოვის სიტყვა

ჟენევა, 22 აპრილი. **სატოს** (იაპონია), **მასილის** (საფრანგეთი) და **მარინისის** (იტალია) გამოსვლის შემდეგ, რომლებმაც ძალიან თავდაჭერილად ილაპარაკეს გიბსონის წინადადებათა შესახებ, სიტყვა აიღო ლიტვინოვმა.

ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ **მოსამზადებელი კომისია მოულოდნელად შეუდგა განიარაღების ძირითადი პრინციპების ზოგად განხილვას და გაიხსენა, რომ ასეთ განხილვას, რომელსაც მოითხოვდა საბჭოთა დელეგაცია, წინად წინააღმდეგობა გაუწია კომისიამ, ხოლო კეშენდენმა ისიც კი სთქვა, რომ იგი „კომისიის ყურადღების ღირსი არ არის, ეს სერიოზული მუშაობა არ არისო".**

„საბჭოთა დელეგაცია, — განაცხადა ლიტვინოვმა, — სრულებითაც არ ნანობს პროცედურის დარღვევას, რომელიც ამ დისკუსიის შედეგს წარმოადგენს".

ამხ. ლიტვინოვმა იმედი გამოსთქვა, რომ კომისია ეხლა გაიზიარებს იმ აზრს, რომ იგი განიარაღების ძირითადი პრინციპების განხილვით და ამ ძირითადი პრინციპების გარშემო შეთანხმების მიღწევის სურვილით უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს, ვიდრე განსახილველად დასმული ტეხნიკური დეტალების გარკვევით.

„მე უდიდესი ყურადღებით მოვისმინე,— სთქვა ლიტვინოვმა, — გიბსონის მნიშვნელოვანი განცხადება. **კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ მისი განცხადება ეხება ბევრ თეზისს, რომლებსაც მე ვიცავდი კომისიის ეხლანდელ და აგრეთვე წარსულ სესიებზე.** არ ვიცი—გააძლიერებს თუ ფასს დაუკარგავს ეს მსგავსება გიბსონის განცხადებას. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს— გიბსონი ჩემს არგუმენტებს უჭერს მხარს თუ მას ეს არგუმენტები მოჰყავს დამოუკიდებლად იმისა, რომ მე ისინი წინათვე წამოვაყენე. **მნიშვნელობა აქვს იმას, რომ განიარაღების ზოგიერთ ჯანსაღ პრინციპებს მხარი დაუჭირა ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს დელეგაციამ".**

შემდეგ ლიტვინოვმა აღნიშნა, საბჭოთა დელეგაციის მსგავსად, გიბსონი მოითხოვს, რომ ბოლო მოეღოს ტერმინის „შეიარაღების შეზღუდვის" ბოროტად გამოყენებას და საჭიროდ სთვლის, შისი ადგილი დაიჭიროს შეიარაღების შემცირების ცნებამ. გიბსონი, როგორც ჩანს, მხარს უჭერს აგრეთვე პროპორციონალური შემცირების პრინციპსაც, რამდენადაც მან განაცხადა, რომ შეიარაღების შემცირების პრინციპის სამართლიანად გამოყენება ყველა სახელმწიფოს მიმართ არ დაარღვევს არც ძალთა არსებულ განწყობილებას, არც რომელიმე ცალკე სახელმწიფოს უშიშროებას.

ლიტვინოვი აღნიშნავს, რომ იმ რამდენსამე პასუხს, რომელიც დელეგაციებმა გასცეს საბჭოთა დელეგაციის მიერ დასმული სამ ძირითად საკითხზე, ეხლა დაერთო ამერიკის დელეგაციის სრულიად გარკვეული პასუხი.

„ჩემი გამოცდილება ამ კომისიაში,—განაცხადა ლიტვინოვმა, — ნებას არ მაძლევს, რომ ის პესიმიზმი, რომელიც გამოვთქვი თქვენდამი წარმოდგენილ დეკლარაციაში, შევცვალო გადაჭარბებული იმედებით. ზოგადი ხასიათის განცხადებანი, რაც უნდა სასურველი და მოსაწონი იყოს ეს განცხადებანი, უნდა ჩამოყალიბდნენ განსაზღვრულ წინადადებებათ, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ საბჭოთა დელეგაციამ წარმოადგინა. **საბჭოთა დელეგაციამ არა თუ წამოაყენა პრინციპები, არამედ დაამუშავა კიდეც ისინი კონვენციის პროექტში.** მაგრამ ამერიკის წარმომადგენლის განცხადების შემდეგ არა მგონია ძალიან გადაჭარბებული იყოს ის იმედი, რომ კომისია საბჭოთა წინადადებებს განიხილავს ახალი მიდგომით და შემდგომი მუშაობის პროცესში არა მარტო საბჭოთა პრინციპები, არამედ კონვენციის საბჭოთა პროექტიც აღარ ჩაითვლება უარყოფილად როგორც ისეთი რამ, რაც ყურადღების ღირსი არ არის" (ადს).

გერმანიის პრესის გამოძახილი

ბერლინი, 22 აპრილი. ნაციონალისტების ორგანო „დეიჩე ტაგესცეიტუნგ"-ი ეხება ჟენევის მოლაპარაკებას და აცხადებს, რომ მოსამზადებელი კომისიის სესიის პირველმა კვირამ სასარგებლო გარკვეულობა შეიტანა მდგომარეობაში.

გაზეთი სწერს: „თუმცა განიარაღების საქმის საბოტაჟის ხელმძღვანელებმა და ამ საბოტაჟისათვის მოწინავე მებრძოლებმა მოიგერიეს რუსების იერიში, მაგრამ ამ ბრძოლის ხელმძღვანელები იძულებულნი არიან აღიარონ, რომ გამარჯვება უმნიშვნელოა და მას პიროსის გამარჯვების ხასიათი აქვს. ლიტვინოვმა მათ სიამოვნება მოაკლო და ეჭვი არ დასტოვა. მან შეინარჩუნა გაცრუებული საზოგადოებრივი აზრის გამომხატველისა და საზოგადოებრივი ბრალმდებელის სახარბიელო როლი.

ამგვარად, თამაში გრძელდება და კეშენდენი (ინგლისი), რომელიც ამჟამად მხოლოდ საარჩევნო პროპაგანდისათვის ზრუნავს, ამ თამაშში მონაწილეობას იღებს. მაგრამ დაფნის გვირგვინის მოპოვება აღარ შეიძლება განიარაღების საბოტაჟით, ვინაიდან ერთა ლიგის თაღლითობა განიარაღების საქმეში ველარ დაიმალება".

„კიოლნიშე ცეიტუნგ"-ი სწერს: „ცხადზე უცხადესია, რომ ლიტვინოვი არ დაემორჩილა წინასწარ ცენზურას, რომლის შექმნაც მისთვის დააპირეს. ეჭვი არ არის, ის შემთხვევას არ გაუშვებს ხელიდან, რომ მისთვის ჩვეულებრივი ბრწყინვალე ფორმით განაცხადოს პროტესტი თავმჯდომარის საქციელის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ კომისიის ვერც ერთმა წევრმა ვერ გაბედა ეგრძნობინებინა ლოუდონისათვის, რომ ის მიუდგომლობის საზღვარს გადასცდა. (ადს).

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა

მრეწველთა დელეგაციის წევრები საჭიროდ სცნობენ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა კავშირთან.—შეკითხვა თემთა პალატაში. ჩემბერლენის პასუხი.

ლონდონი, 22 აპრილი. ინგლისის სამრეწველო დელეგაციის წევრმა კონსერვატორმა მეტკალმა „მანჩესტერ გარდიენ"-ში გამოაქვეყნა წერილი თავისი მოგზაურობის შესახებ საბჭოთა კავშირში. მეტკალი ადარებს საბჭოთა კავშირის ეხლანდელსა და 1922 წელს არსებულ მდგომარეობას და აღნიშნავს მისი კეთილდღეობის ზრდას.

მეტკალი მოუწოდებს მთავრობას—განაცხადოს, რომ, თუ იგი არჩევნების შემდეგ ხელისუფლებას დაუბრუნდება, დაუყოვნებლივ მიიღებს ზომებს საბჭოთა მთავრობასთან მეგობრული ურთიერთობის აღსადგენად. (ადს).

ლონდონი, 22 აპრილი. მოსკოვიდან დაბრუნებულმა „ძმათა პლატების" საზოგადოების თავმჯდომარემ ტეტალმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ინგლისისა და საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ინგლის-საბჭოთა ვაჭრობას ფართო ხასიათი მიეცემა.

ტეტალის აზრით, საბჭოთა მთავრობას საკმაო რესურსები გააჩნია, რომ განახორციელოს პიატაკოვის მიერ დასახული სქემა. ტეტალი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის საქმიანი მეთოდები უნაკლოა. დასასრულ ტეტალი ძალიან აქებს საფეიქრო საქმის განვითარებას საბჭოთა კავშირში. (ადს).

ლონდონი, 22 აპრილი. შოტლანდიის პროფკავშირების ჩვეულებრივმა ყოველწლიურმა კონგრესმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწუნებს მთავრობის შემცდარ ტაქტიკას, რაც იწვევს საბჭოთა კავშირთან ინგლისის ვაჭრობის შეზღუდვას.

რეზოლიუცია მოითხოვს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლებას. (ადს).

ლონდონი, 22 აპრილი. რეიტერის სააგენტო იუწყება: თემთა პალატაში ლიბერალთა დეპუტატი არჩიბალდ სინკლერი შეეკითხა მთავრობას—განზრახული აქვს თუ არა მას დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლებისა და ვაჭრობის გაცხოველების შესახებ.

შემკითხველს პასუხი გასცა ჩემბერლენმა. მან წაიკითხა პიატაკოვის განცხადება და სთქვა, რომ ის ამ განცხადებაში ხედავს დაპირებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ინგლისში თავის დაკვეთებს მოათავსებს არა მარტო მაშინ, თუ დიპლომატიური ურთიერთობა განახლდება, არამედ მაშინაც, თუ ახალი თვალსაჩინო კრედიტები მიეცემა საბჭოთა ხელისუფლებას.

„ამგვარად,—განაცხადა ჩემბერლენმა, — ჩვენთვის არ შემოუთავაზებიათ არავითარი დაკმაყოფილება იმ ზარალისათვის, რის ანაზღაურებასაც მოითხოვდა მისი უდიდებულესობის მთავრობა და ამავე დროს მოითხოვენ 1924 წლის ხელშეკრულების პროექტის იმ ფინანსიური პუნქტების აღდგენასა და გაფართოებას, რომლებიც მისი უდიდებულესობის მთავრობამ მიუღებლად სცნო".

სინკლერის ხელახალ შეკითხვაზე ჩემბერლენმა სთქვა:

„თუ საბჭოთა მთავრობა მოისურვებს—მისცეს მისი უდიდებულესობის მთავრობას რაიმე განსაზღვრული წინადადებანი, საამისოდ არსებობს შესაფერი ინსტანციები". (ადს).

განიარაღების კომისიის სესიაზე

რებანე ესტონეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

რეველი, 22 აპრილი. „კაია" ჰბეჭდავს ესტონეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის რებანეს წერილს ესტონეთ-საბჭოთა ურთიერთობის განვითარების და ესტონეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. რებანე მოუწოდებს—განმტკიცდეს ურთიერთისადმი პატივისცემა და გაძლიერდეს ნდობის ატმოსფერა განაპირა სახელმწიფოებს'ა და საბჭოთა კავშირს შორის. რებანეს სიტყვით, ლაპარაკი იმის შესახებ, რომ განაპირა სახელმწიფოები მტრულად არიან განწყობილნი საბჭოთა კავშირის მიმართ, წარმოადგენს „ბავშვურ ზღაპრებს", რადგან „განაპირა სახელმწიფოებს არ შეუძლიათ მოსჭრან ის ტოტი, რომელზედაც სხედან". რებანე აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის და ესტონეთის სავაჭრო ხელშეკრულებას ექნება პოლიტიკური მნიშვნელობაც, რადგან იგი საშუალებას მოგვცემს მოვაწესრიგოთ ურთიერთობა და საფუძველი ჩავუყაროთ უფრო ნორმალური დამოკიდებულების განვითარებას. (ადს).

სარეპარაციო კომისიის კრიზისი

მორიგი ნაბიჯი ახალი ომებისაკენ

ლონდონი, 22 აპრილი. „სენდეი უორკერ"-ი ეხება სარეპარაციო მოლაპარაკების კრიზისს და სწერს:

„პარიზში შექმნილმა ჩიხმა არავინ უნდა გააოცოს. გერმანელების ნამდვილი მიზანია— ვერსალის ხელშეკრულების გადათვალიერება. მოკავშირე სახელმწიფოებმა აგრძნობინეს გერმანიას, რომ ხელშეკრულებას არ გადაათვალიერებენ, ისინი ფიქრობენ განიარაღებას და ბატონობის შენარჩუნებას ძალით აპირებენ. **პარიზში შექმნილი მდგომარეობა და ჟენევის ჩიხი მხოლოდ მორიგ ნაბიჯს წარმოადგენს ახალი ომებისაკენ".** (ადს).

კეინსი ვალებისა და რეპარაციების შესახებ

ლონდონი, 22 აპრილი. ცნობილმა ეკონომისტმა კეინსმა „დეილი ექსპრეს"-ში მოათავსა წერილი ვალისა და რეპარაციების შესახებ. კეინსი სწერს: პარიზის კონფერენცია უდროოდ დაიწყო; უკეთესია დაუესის გეგმა კვლავ დარჩეს ძალაში ერთი ორი წლით. კეინსი ხაზს უსვამს, რომ პუნქტი ტრანსფერის დაცვის შესახებ ამერიკ. და ინგლ., აგრეთვე გერმანიის ინტერესებს ემსახურება. იგი გარანტიას აძლევს ამერიკის მიერ დაბანდებულ კაპიტალს და ზღუდავს გერმანიის მრეწველობის კონკურენციას ინგლისის წინააღმდეგ.

კეინსი აღნიშნავს, რომ რეიხსბანკის რეზერვები ილევა. ამასთან იგი წინასწარმეტყველებს, რომ ტრანსფერის დაცვა, რომელიც დაუესის გეგმით არის გათვალისწინებული, მალე შევა ძალაში და გერმანია დროებით შესწყვეტს სარეპარაციო თანხების გადახდას. (ადს).

შიში შახტის გამოსვლის გამო

ვარშავა, 22 აპრილი. გერმანიის ექსპერტის შახტის გამოსვლა ექსპერტთა პარიზის კონფერენციაზე შიშს იწვევს პოლიტიკურ წრეებში. პოლიტიკურ წრეებში გამოსთქვამენ იმედს, რომ გერმანიის მთავრობა მოახდენს შახტის დეზავუაციას.

პოლონეთის ელჩს გერმანიაში, რომელიც ვარშავაში იმყოფება, თათბირი ჰქონდა საგარეო საქმეთა მინისტრ ზალესკისთან. საპროტესტო კამპანიასთან ერთად პრესაში იწყება სამიტინგო კამპანია შახტის გამოსვლის წინააღმდეგ.

უპარტიოთა ბლოკის ინიციატივით, მთავრობასთან თანამშრომლობისათვის მოწვეულია საპროტესტო მიტინგი ლვოვში.

„ადამიანის უფლებათა დამცველი ლიგის" ვარშავის განყოფილება იწვევს კონფერენციას პოლიტიკურ მოღვაწეთა და აგრეთვე ჟურნალისტების მონაწილეობით. კონფერენციის მსჯელობის საგანია პოლონეთ-გერმანიის ომის შესაძლებლობა. (ადს).

გერმანიის ექსპერტებს მოქმედების თავისუფლება მიეცათ

ბერლინი, 22 აპრილი. ვოლფის სააგენტო იუწყება: გერმანიის ექსპერტებმა შახტმა და ფოგლერმა მოხსენება გაუკეთეს მთავრობას სარეპარაციო მოლაპარაკების მდგომარეობის შესახებ.

მოხსენების მოსმენის შემდეგ, მთავრობის წევრებმა განაცხადეს, რომ ექსპერტებს უფლება ეძლევათ შემდეგაც ისევე თავისუფლად იმოქმედონ, როგორც აქამდე მოქმედებდნენ"

სარეპარაციო მოლაპარაკება

პარიზი, 22 აპრილი. თუ „ტან"-ს დავუჯეროთ, საფრანგეთის მთავრობა ნაკლებად ოპტიმისტურად უყურებს სარეპარაციო კონფერენციას. „ტან"-ი აფრთხილებს შახტს—არავინ არ დაკმაყოფილდება იმ ფაქტის უბრალო უარყოფით, რომ მის მოთხოვნებს პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა.

გაზეთი სწერს, რომ პასუხისმგებლობა კონფერენციის უშედეგოთ დამთავრებისათვის, თუ შახტი მთავრობისთვის მოხსენების წარდგენის შემდეგ შეიტანს მიუღებელ წინადადებებს, დაეკისრება არა შახტს, არამედ გერმანიის მთავრობასო. (ადს).

პარიზი, 22 აპრილი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე შახტი შეხვდა ამერიკის ექსპერტს იუნგს. საუბარში მონაწილეობა მიიღო ჯერ ინგლისის ექსპერტმა ოტმპეიმ და შემდეგ საფრანგეთის ექსპერტმა მორომ. შახტის, მოროს და კენეის შორისაც გაიმართა საუბარი. კონფერენციის მომავალი პლენარული სხდომა შეუდგება კონფერენციის მუშაობის ანგარიშების რედაქციას, რაშიაც მონაწილეობას მიიღებს გერმანიის დელეგაცია. თუ გამოირკვევა, რომ შეუძლებელია საერთო ანგარიშის შემუშავება, გერმანიის დელეგაცია წარადგენს თავის შენიშვნებს ან შეადგენს კონფერენციის უმცირესობის ანგარიშს.

საფრანგეთის დელეგაცია იცავს შემდეგ ძირითად პრინციპებს: 1) საფრანგეთმა სარეპარაციო გადასახადის ანგარიშში უნდა მიიღოს იმდენი თანხა, რომელიც უდრის ინგლისისა და შეერთებული შტატების სამხედრო ვალების დასაფარავად საფრანგეთის მიერ გადასახად თანხებს, 2) საფრანგეთმა გარდა ამისა უნდა მიიღოს განსაზღვრული გადასახადები, რომელთა მობილიზაცია შეიძლება დაუყოვნებლივ, რათა დაიფაროს ომით მიყენებული ზიანის გამოსწორებისათვის საჭირო ხარჯების ნაწილი. (ადს).

ძნელი პრობლემა

ლონდონი, 22 აპრილი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ინგლისის კოლონიათა მინისტრმა ემერიმ გლაზგოში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ნორმალური მდგომარეობის სავსებით აღდგენა ევროპაში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როცა შესწყდება გერმანიის ტერიტორიის ევაკუაცია უცხოეთის ჯარის მიერ. მაგრამ ეს ძნელი. პრობლემა განუყრელად არის დაკავშირებული რეპარაციების და მოკავშირეთა-შორისო ვალების მოგვარების პრობლემასთან. (ადს).

ზალესკი შახტის მემორანდუმის შესახებ

ვარშავა, 22 აპრილი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„იმ გამოხმაურების გამო, რომლითაც შახტის მემორანდუმს შეხვდა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელმა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ზალესკის მიმართა თხოვნით, რათა გამოეთქვა თავისი აზრი ამ საკითხზე.

ზალესკიმ სხვათა შორის განაცხადა:

„შახტის მემორანდუმს ვიცნობ პრესის ცნობით. ვინც ამგვარად აზროვნებს, იგი უბრუნდება ომის წინადროინდელი აზროვნების ფორმებს, ე. ი. სახელდობრ იმ ფორმებს, რომლებმაც გამოიწვიეს მეტად საშინელი კატაკლიზმი ისტორიაში—მსოფლიო ომი. ამიტომ ნაბიჯი, რომელიც გერმანიის დელეგატმა გადასდგა სარეპარაციო კონფერენციაზე, ერთსულოვნად დაგმო მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივმა აზრმა". (ადს).

რევოლ. ფრთის გავლენის ზრდა

ბერლინი, 22 აპრილი. მოხდა ფაბკომის არჩევნები ოპელის ფირმის საავტომობილო ქარხნებში. რევოლიუციონურმა ფრთამ მიიღო 10 მანდატი მუშათა საბჭოში, რეფორმისტებმა—14, ქრისტიანულმა პროფკავშირებმა—1 მანდატი. დღემდე რევოლიუციონურ ფრთას არც საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტში, არც მუშათა საბჭოში მანდატი არა ჰქონია.

ოპელის ქარხნები გერმანიის უდიდესი საავტომობილო ქარხნებია და დღემდე რეფორმიზმის ბურჯად ითვლებოდნენ. (ადს)

ფინანსიური სპეკულიაცია პოლონეთში

ვარშავა, 22 აპრილი. განსაზღვრული წრეების ზეგავლენით, გაზ. „ექსპრეს პორანი"-ი და „კურიერ ჩერვონი"-მ მიმართეს არაჩვეულებრივ ოინბაზობას.

რამდენიმე დღის განმავლობაში აქვეყნებდნენ ცნობას, ვითომ ამერიკის საემისიო ბანკმა დაადგინა—1 ივლისამდე მოხდეს დოლარის იმ ბანკნოტების გადაცვლა, რომლებიც ფულის ბაზარზე ბრუნავშია, რის შემდეგაც გადაუცვლელ ბანკნოტებს ძალა აღარ ექნებათ.

კამპანიისათვის ნამდვილი ხასიათის მისაცემად, გაზეთებმა სპეციალურად მიიწვიეს ვარშავის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი კონსტანეცკი, რომელმაც გაზეთებში გამოაცხადა, რომ მრავალი ყალბი ბანკნოტები არის დამზადებულიო. ამასთან პროფესორი სწერდა: „როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლება ამზადებდა ყალბ დოლარებს, რის გამოც მოსალოდნელია, რომ პოლონეთის ბაზარზე იყოს ასეთი დოლარებიო".

როგორც ირკვევა, ეს კამპანია დაიწყეს იმ მიზნით, რომ პანიკა გამოეწვიათ მცირე ვალიუტის პატრონთა შორის და ამ გზით ნაკლებ ფასად შეეძინათ დოლარები.

ამ შულერულ „ფინანსიურ ოპერაციას" ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია ამერიკის მისიამ ვარშავაში და ამერიკის მრჩეველმა ფინანსიურ საკითხებში დიუიმ.

პოლონეთის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ ცნობა დოლარის გადაცვლის შესახებ არ შეეფერება სინამდვილესო. (ადს)

საკავშირო კომპარტიის (ბ) XVI კონფერენცია

(ტელეფონით მოსკოვიდან)

მე-16 პარტიული კონფერენცია გახსნა ამხ. კალინინმა.

მოხსენება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ გააკეთა ამხ. რიკოვმა.

ამხ. რიკოვის მოხსენება

ჩემს ამოცანას შეადგენს,—ამბობს ამხ. **რიკოვი**,--გაგაცნოთ ხუთწლიანი გეგმა. ეს დღე, როცა კონფერენცია იხილავს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ხუთწლიან გეგმას,—ისტორიული დღეა. რამდენიმე წლის წინად ჩვენ არ გვქონდა ბიუჯეტი, ჩვენ არ გვქონდა მეურნეობის საკონტროლო ციფრები. დღემდე ჩვენ გვქონდა მხოლოდ ელექტროფიკაციის გეგმა, მეურნეობის ცალკე დარგების გეგმა. მაშინ ბევრ დეფექტებს ჰქონდა ადგილი, რადგან ჩვენ წინედ არ შეგვეძლო ნამდვილად გაგვეთვალისწინებია ჩვენი მუშაობა შემდეგ წელში. ყოველ წლობით ხდებოდა სოციალ-კლასობრივ ძალთა გადაჯგუფება.

ხუთწლიანი გეგმა სავსებით განსაკუთრებულ შესაძლებლობას გვაძლევს ფართო მასების დასარაზმავად სოციალიზმის მშენებლობის საქმისათვის. გეგმა მოგვცემს საშუალებას აღვნიშნოთ, თუ როგორ უნდა ხდებოდეს სოციალისტური საზოგადოების შენება, როგორ უნდა გაუმჯობესდეს მუშათა და გლეხთა მდგომარეობა და გვიჩვენებს სოციალისტური და კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლის შედეგს ჩვენს ქვეყანაში.

მე არ ძალმიძს მოგახსენოთ ძირითადი ციფრებიც კი, რომლებიც წარმოდგენილ თეზისებშია აღნიშნული. თუ ჩვენ შევასრულებთ ამ გეგმას, ჩვენი სახელმწიფოს საგრძნობი წინსვლა მოხდება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან შედარებით. მაგალითად, თუჯის წარმოების დარგში 5 წლის შემდეგ ჩვენ არ ჩამოვრჩებით შეერთ. შტატებს და გერმანიას. ეს მოხდება იმის გამო, რომ მრეწველობაში ვაბანდებთ 16 მილიარდ მანეთზე მეტს (დღემდე კი დაბანდებული იყო 4 მილიარდ მანეთამდე).

ასეთი დიდი თანხების დაბანდების მიხედვით მოიმატებს პროდუქციაც. ყველა თვისებრივი მაჩვენებლები მოწმობენ მომავალ დიდ წარმატებებს.

ჩვენ გვქონდა ორი ვარიანტი: პირვანდელი და ოპტიმალური. საკითხის განხილვის დროს ერთსულოვნად მივედით იმ დასკვნამდე, რომ უმჯობესია გვქონდეს ერთი გეგმა—ოპტიმალური გეგმა, ამასთან საჭიროდ ვსცანით ამ გეგმის გაფართოება. გარდა ამისა, გადავსწყვიტეთ გავადიდოთ პურის დამზადების გეგმა საბჭოთა მეურნეობებში და მარცვლეულის ტრესტებში.

ნავთის ამოღება გადიდდება ერთიორად, ვიდრე განზრახული იყო და სხ.

ძირითადი გეზი გეგმის განხილვის შემდეგ დარჩა ისეთივე, როგორიც სახელმწიფო საგეგმო კომისიამ წარმოადგინა. ტემპი უფრო ძლიერია, ვიდრე რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში (საზღვრითი ზრდა კაპიტალისტურ ქვეყანაში უდრის 7 პროცენტს, ჩვენში კი მრეწველობის ზრდის ტემპი უდრის დაახლოებით 20 პროცენტს).

დეფექტები გვაქვს, მაგრამ ჩვენ ვაშენებთ უკეთესად და უფრო ჩქარა, ვიდრე სამი წლის წინად.

მაგრამ სწორი არ იქნება იმის თქმა, რომ მხოლოდ ამაზეა დამოკიდებული შრომის ნაყოფიერების გადიდება: შრომის დისციპლინა განუწყვეტლივ უნდა გაიზარდოს მთელი ხუთი წლის განმავლობაში.

მმართველობის ორგანიზაციის საკითხის და კადრების საკითხის რაც შეიძლება ჩქარა გადაწყვეტა—მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია. ჩვენ ხელახლად ვქმნით ქიმიურ მრეწველობას. მაგრამ არ კმარა მხოლოდ თანხების გადადება. საჭიროა ორგანიზატორები, სპეცები, საჭიროა კვალიფიციური მუშა-ხელი. ყოველივე ეს არის არა მეორეხარისხოვანი, არამედ პირველხარისხოვანი ამოცანა. თუ ეს არ შევიგნეთ, ჩვენ ვერ შევსძლებთ ხუთწლიანი გეგმის მთელი რიგი პუნქტების განხორციელებას. საკითხს არა სწყვეტს ორასი ინჟენერის მოწვევა საზღვარ-გარეთიდან.

ლენინმა თავის დროზე ყურადღება მიაქცია ელექტრო-გუთანის გამოგონებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოგონება არ იყო მტკიცე, ლენინს ამით სურდა გამოენახა ტეხნიკური ბერკეტი, რომელიც მოგვცემდა საშუალებას დავმდგარიყავით სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების თვალსაზრისზე.

ელექტრონის გუთნიდან არაფერი გამოვა; შესაძლებელია მომავალში ელექტრობამ მოგვცეს რაიმე ახალი. ხოლო ამჟამად წევის ძალა მოგვცემს საშუალებას სოციალისტურად გარდავქმნათ სოფელი. ჩვენ პირველად მივუდექით ასე პირისპირ და კონკრეტულად ინდივიდუალური მეურნეობების გარდაქმნას კოლექტივებად ტეხნიკურ საფუძველზე. ამიტომაც სტალინგრადის ქარხნის გარდა, ჩვენ გადავწყვიტეთ ავაგოთ ტრაქტორების კიდევ ერთი ქარხანა.

მაგრამ ყოველივე ამან ხუთი წლის განმავლობაში არ უნდა დაგვავიწყოს ღარიბი საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობანი, ვინაიდან ხუთი წლის ბოლოს განსაზოგადოებული მეურნეობანი მოგვცემენ ბაზარზე გამოსატანი პურის მხოლოდ 40 პროცენტს.

ეხლანდელი წელი წარმოადგენს ხუთწლიანი გეგმის პირველ წელს. გეგმის შესრულების თვალსაზრისით ამ წლის მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. მრეწველობა სოფლის მეურნეობაზე უფრო სწრაფად გაიზრდება (წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება ჩვენი ქვეყნის აგრარიზაციას).

მაგრამ სოფლის მეურნეობა იმდენად ჩამორჩენილია, რომ იქმნება შეუთანხმებლობის საფრთხე. ჩვენ გავეცით დირექტივა ნათესების იმდენად გაფართოვების შესახებ, რომ შესაძლებელი გახდეს ამ სიძნელეთა გადალახვა. ყველაფერი, ამხანაგებო, იქიდან უნდა გამომდინარეობდეს, რომ გაზაფხულის თესვის კამპანიას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი სახალხო მეურნეობისა და ხუთწლიანი გეგმისათვის.

ჩვენ გვაქვს სიძნელენი პურის საქმეში. ადგილი აქვს განსხვავებას დასამზადებელ და ეგრედ წოდებულ საბაზრო ფასებს შორის. ამან უარყოფითი გავლენა იქონია პურის დამზადებაზე. საჭირო გახდა შეტევა კულაკზე ღარიბ და საშუალო გლეხთა მასის დახმარებით. პურის წიგნაკების შემოღება საუკეთესო გამოსავალია და უმცირესი ბოროტება.

პროექტის თანახმად თვითღირებულების შემცირება უნდა გატარებულიყო 7 პროცენტით; ამჟამად თვითღირებულება შემცირებულია 2 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება უნდა გადიდებულიყო 17 პროცენტით; გადიდდა მხოლოდ 10 პროცენტით.

ბიუჯეტში ჩვენმა ხარჯებმა 70 მილიონ მანეთზე მეტით გადააჭარბეს შემოსავალს; ვერ მივიღეთ სახსრები თვითღირებულების შემცირებიდან და დავტვირთეთ ბიუჯეტი. გამოსავალი ვნახეთ ტრანსპორტისათვის მოგების ჩამორთმევაში, გადავედით ბიუჯეტის კვარტალობით განხილვაზე და სხვ.

ეს არის ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის სუსტი ადგილები. სიძნელეები დიდია, მაგრამ ამ წლის გეგმის შეუსრულებლობა არაფერს სერიოზულს არ წარმოადგენს. უნდა მივაღწიოთ უფრო დიდ წარმატებებს, რათა არ დავაბრკოლოთ მთელი ხუთწლიანი გეგმის შესრულება.

ამ კონფერენციისათვის ჩვენ გვაქვს ორი უდიდესი მნიშვნელობის მქონე ფაქტი: სოციალიზმის მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა და დარაიონების დამთავრება.

ჩვენში სწარმოებს უდიდესი ადმინისტრატიულ - ოპერატიული მუშაობა უდიდეს ტერიტორიაზე. ცენტრალიზაციაქმნილ აპარატს ცენტრის მუშაკთა მცირე რიცხვით მუშაობა უჭირს. ჩვენ გვქონდა დიდი ცენტრალიზაცია, ვინაიდან ჩვენ არ შეგვეძლო იმედი გვქონოდა, რომ ადგილებზე სათანადო ანგარიშს გაუწევდნენ მთელი საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის ინტერესებს. ეხლა ჩვენ გვაქვს დეტალურად დამუშავებული ხუთწლიანი გეგმა. რამდენადმე უფრო სუსტად ეს გეგმა დამუშავებულია რაიონული მასშტაბით. ეს გეგმა არის ჩვენი პარტიის ხუთწლიანი გეგმა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

აქედან გამომდინარეობს ასეთი გადამეტებული ცენტრალიზაცია; ოპერატიული მუშაობა ადგილებზე უნდა სწარმოებდეს.

ეს გეგმა ამჟამად ნიშნავს პროლეტარიატის დიდ კლასობრივ შეტევას კაპიტალისტური ელემენტების ნაშთებზე ჩვენს ქვეყანაში.

უნდა მოხდეს გეგმის ფართო პოპულიარიზაცია. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა მოვსპოთ პანიკისა და უნდობლობის ელემენტები. ხუთწლიანი გეგმა იქნება იარაღი პარტიისა და მუშათა კლასის მჭიდრო დარაზმვისათვის.

ამხ. **რიკოვის** მოხსენების შემდეგ თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. **კრჟიჟანოვსკი**.

რუბენი.

მოსკოვი, 24 აპრილი.

კონფერენციის გახსნა

მოსკოვი, 23 აპრილი. 23 აპრილს, საღამოს 6 საათზე გაიხსნა საკავშირო კომპარტიის მე-XVI კონფერენცია. კონფერენცია გახსნა ამხ. **კალინინმა**.

პრეზიდიუმის არჩევა

ამხ. **ალექსეევის** მიერ ლენინგრადის, მოსკოვის და უკრაინის დელეგაციების სახელით შემოტანილი წინადადებით კონფერენციამ დაამტკიცა პრეზიდიუმი 50 ამხანაგის შემადგენლობით. პრეზიდიუმში შედიან: ამხ. **ანდრეევი, არტიუხინა, ბაუმანი, ბუბნოვი, ბუხარინი, ვოროშილოვი, დოგადოვი, ჟდანოვი, კალინინი, კოსიორი, კაგანოვიჩი, კიროვი, კრუპსკაია, კუიბიშევი, მიქოიანი, ორახელაშვილი, ორჯონიკიძე, მოლოტოვი, სტალინი, რიკოვი, ნაზარეტიანი, რუძუტაკი, ტომსკი, იაკოვლევი, იაროსლავსკი** და სხვ.

კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის შემდეგ დამტკიცებულ იქნა რეგლამენტი და კონფერენციის დღის წესრიგი: სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა (მომხსენებელნი ამხ. რიკოვი, კრჟიჟანოვსკი და კუიბიშევი); სოფლის მეურნეობის განვითარების გზები და საშუალო გლეხის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება (მომხსენებელი ამხ. კალინინი); ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შედეგები და უახლოესი ამოცანები (მომხსენებელი ამხ. იაკოვლევი); საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრთა და კანდიდატთა წმენდა და შემოწმება (მომხსენებელი ამხ. იაროსლავსკი).

ამხ. **სტალინის** ტრიბუნაზე გამოჩენას მთელი დარბაზი ტაშით შეხვდა. დღის წესრიგის პირველ საკითხზე—სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა ამხ. **რიკოვს**. ამხ. **რიკოვის** შემდეგ გამოვიდა მეორე მომხსენებელი ხუთწლიანი გეგმის შესახებ ამხ. **კრჟიჟანოვსკი**. ამხ. **კრჟიჟანოვსკის** მოხსენების დამთავრება გადატანილია 24 აპრილის დილის სხდომისათვის (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ზიბსონის სიტყვის საპასუხოთ

ჟენევა, 22 აპრილი. გიბსონის სიტყვის საპასუხოდ საფრანგეთის, იაპონიის, იტალიის და კანადის დელეგატებმა, კუშენდენის მსგავსად, ერთხმად განაცხადეს, რომ არ შეუძლიათ დაუყონებლივი პასუხი გასცენ მის წინადადებას და ინსტრუქციებისათვის უნდა შეეკითხონ თავიანთ მთავრობებს. (ადს)

საბერძნეთის სენატის არჩევნები

ათინა, 23 აპრილი. ათინის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „საბერძნეთის სენატის არჩევნებში ვენიზელოსის პარტიამ მიიღო 73 მანდატი, კონსერვატიულმა ოპოზიციამ 16“

„ლეტუვოს აიდას“-ის ცნობა

კოვნო, „ლეტუვოს აიდას“-ის ცნობით, ქალაქ შავლის მახლობლად დაპატიმრებულია პლეჩკაიტისის 4 მომხრე, რომლებიც ვილნოდან ჩამოვიდნენ არალეგალურად ლატვიის გზით. გაზეთის სიტყვით, დაპატიმრებულნი ჩამოვიდნენ ტერორისტული მიზნით. დაპატიმრებულთ აღმოაჩნდათ იარაღი, ყუმბარები და 200 ვაზნა. (ადს)

საპირველმაისო მანიფესტი

სტოკჰოლმი, 23 აპრილი. გამოქვეყნებულია შვეციის და ნორვეგიის კომპარტიის საპირველმაისო მანიფესტი. ორივე პარტიის მანიფესტი შეიცავს შემდეგ ლოზუნგებს: ბრძოლა ომის საფრთხესთან და ფაშიზმთან, ბრძოლა საბჭოთა კავშირის დასაცავად. შვეციის და ნორვეგიის მთელმა რიგმა რეფორმისტულმა ორგანიზაციებმა დაადგინეს გამართონ დემონსტრაცია კომუნისტებთან ერთად. (ადს)

გაფიცვა როანის რაიონში ფართოვდება

პარიზი, 22 აპრილი. ფეიქართა გაფიცვას როანის რაიონში შეუერთდა 7 ახალი ფაბრიკა, სადაც მუშაობს რამდენიმე ათასი მუშა. როანის ოლქის მშენებელი მუშები განაგრძობენ გაფიცვას. მოითხოვენ ხელფასის გადიდებას. (ადს)

მასიური დაპატიმრებანი

ვარშავა, 22 აპრილი. შაბათს, 20 აპრილს, ვარშავაში მოხდა მასიური ჩხრეკა-დაპატიმრებანი. დააპატიმრეს 100 კაცზე მეტი, რომელთაც კომუნისტური მუშაობა ბრალდებათ.

85 - ის პროცესი

ვარშავა, 22 აპრილი. 85-ის პროცესზე, რომელთაც ბრალდებათ დასავლეთ ბელორუსიის კომპარტიის წევრობა, ყოველდღე ხდება შეტაკება ბრალდებულთა და სასამართლოს შორის. შეტაკებას იწვევს ის, რომ სასამართლო რეპრესიებს მიმართავს ბრალდებულთა წინააღმდეგ. ბრალდებულთ ღირსეულად და მამაცად უჭირავთ თავი. (ადს)

კენაფის კონტრაქტაცია

მოსკოვი, 23 აპრილი. 23 აპრილს საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახკომისარიატის კოლეგიამ შეასწორა კენაფის კონტრაქტაციის გეგმა 1929 წლისათვის. გეგმის თანახმად, საქართველოში კონტრაქტაცია უნდა გატარდეს 800 ჰექტარზე, აზერბეიჯანში—2.600 ჰექტარზე. (ადს)

ამხ. სტარკი მოსკოვში

მოსკოვი, 23 აპრილი. ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ავღანისტანში ამხ. სტარკი. (ადს)

მელითონეთა პროფკავშირის რევოლიუციონური ფრთის კონფერენცია

ბერლინი, 22 აპრილი. გაიმართა მელითონეთა პროფკავშირის ბერლინის განყოფილების რევოლიუციონური ფრთის სადელეგატო კონფერენცია, რომელიც მოწვეულ იქნა იმ „თავდაცვის კომიტეტის“ მიერ, რომელიც პროფკავშირებიდან თვითნებურად გამორიცხვის წინააღმდეგ იბრძვის. კონფერენციამ განიხილა მომავალი ეკონომიური ბრძოლის საკითხები, აგრეთვე გერმანიის მელითონეთა პროფკავშირის რეფორმისტი ბელადების გამთიშველი პოლიტიკისა და საპირველმაისო დემონსტრაციის საკითხები.

კონფერენციას დაესწრო 363 დელეგატი. 293 დელეგატი იყო წარმოდგენილი 151 წარმოებიდან, სადაც მუშაობს 11 ათასი მელითონე ე. ი. ბერლინის მელითონეთა ნახევარი. ნიდერკირხნერი მიესალმა კონფერენციას. მან განაცხადა, რომ კონფერენციამ თავიდან უნდა აიცილოს გერმანიის მელითონეთა პროფკავშირის ბერლინის განყოფილების გათიშვა, რის მიღწევასაც სცდილობენ სოციალ-დემოკრატი ბელადები.

პროფკავშირთა რევოლიუციონური ფრთის ბელადმა გეშკემ აღნიშნა, რომ ბერლინის მელითონეებმა, საკუთარი მებრძოლი შტაბის ხელმძღვანელობით, კენიგსდორფელების მაგალითის მიხედვით (კენიგსდორფში უკვე მეოთხე კვირაა, რაც გრძელდება მელითონეთა გაფიცვა), წინასწარ უნდა მიიღონ ყველა მოსამზადებელი ზომა მომავალ ბრძოლისათვის, რომელიც მოსალოდნელია დაიწყოს ლითონის მრეწველობაში სატარიფო შეთანხმებათა ვადის გასვლის გამო. (სატარიფო შეთანხმებას ვადა გაუდის 30 აპრილს). ამ ბრძოლის შესავალს უნდა წარმოადგენდეს ყველა მელითონეს მონაწილეობა ქუჩის საპირველმაისო დემონსტრაციაში.

კონფერენციამ რეზოლიუციის მიღების შემდეგ დროებითი „თავდაცვის კომიტეტის“ ნაცვლად აირჩია მუდმივი კომიტეტი 11 კაცისაგან. კონფერენციამ აირჩია აგრეთვე კომიტეტი მომავალი ეკონომიური ბრძოლის მოსამზადებლად. კომიტეტში შედის დიდ საწარმოთა 24 წარმომადგენელი.

კონფერენცია თავის რეზოლიუციაში ესალმება კავშირის მელითონეებს და აცხადებს, რომ მთელი ძალ-ღონით შეეცდება მიაღწიოს კაპიტალის დამხობას და მისი რეფორმისტი ლაქიების განადგურებას გერმანიაში. (ადს)

ბერლინი, 22 აპრილი. მელითონეთა პროფკავშირის ცენტრალურმა გამგეობამ კავშირიდან გამორიცხა მილების გამყვანთა ბერლინის სექციის ხელმძღვანელი—მელითონეთა პროფკავშირის რევოლიუციონური უმცირესობის ბელადი ნიდერკირხნერი. ნიდერკირხნერი კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ გამორიცხა სასწრაფოდ, ჩვეულებრივი წესების წინააღმდეგ. (ადს)

მუშათა მასიური დათხოვნა

ვარშავა, 22 აპრილი. ლოძის რაიონში მეტად დიდი უკმაყოფილებაა მუშათა მასიური დათხოვნის გამო. დიდი უკმაყოფილებაა აგრეთვე იმის გამო, რომ განზრახულია ბევრ საწარმოში შემოიღონ არასრული სამუშაო კვირა.

მუშათა წრეებში აღნიშნავენ, რომ ნორმალურ სამუშაო კვირის დროს ლოძის ფეიქრებს ხელფასი ძლივს ჰყოფნით არსებობისათვის. ხოლო როცა სამუშაო კვირა 2—3 დღემდე შემცირდება, მუშები საშინელ გაჭირვებაში ჩავარდებიან.

უკანასკნელი ცნობებით, დათხოვნილი იქნება საფეიქრო მრეწველობაში მომუშავეთა 70 პროცენტი, 30.000 კაცამდე. წვრილ საწარმოთა საგრძნობი ნაწილი სულ დაიხურა.

მასიური დათხოვნის და პანიკის ნიადაგზე ლოძში თავი მოიკლა ორმა ახალგაზრდა მუშა-ქალმა. მუშა-ქალებმა უკანასკნელი ფულით იყიდეს სურსათი და საწამლავი. პურის ჭამის შემდეგ თავი მოიწამლეს. რადგან საწამლავი სუსტი გამოდგა, მუშა-ქალებმა მოიკრიფეს ძალ-ღონე, ხოხვით მიაღწიეს რკინის გზის ლიანდაგამდე და გაწვნენ ლიანდაგზე. საბარგო მატარებელმა ერთი მათგანი იქვე გასრისა, ხოლო მეორე მძიმედ დაასახიჩრა. დასახიჩრებული საავადმყოფოში მოათავსეს. ახალგაზრდა მუშა-ქალების თვითმკვლელობამ მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლოძის მუშებზე.

იუწყებიან, რომ თებერვალში პროტესტში წასული თამასუქების ღირებულებამ ლოძში მიაღწია სარეკორდო ციფრს—5.600.000 ზლოტს (დაახლოვებით 1.200.000 მანეთს)

მდგომარეობა ჩინეთში

ჩან კაი-ში თავის მომხრეებს ნიშნავს

შანხაი, 22 აპრილი. ჩან კაი-შიმ ხო ჩენჩუნი (ჩან კაი-შის მახლობელი თანამშრომელი, სამხედრო მრჩეველთა საბჭოთა სამმართველოს დირექტორი) დანიშნა ხუბეის მთავრობის თავმჯდომარედ. (ადს).

ნინსია აჯანყებულთა ხელშია

პეიპინი, 22 აპრილი. ცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქი ნინსია (ჩრდილოეთ განსუში) აჯანყებულთა ხელშია, დასტურდება. აჯანყებულთა ჯარში არის 4.000 მებრძოლი. ფინ იუი-სიანის ჯარი უკან იხევს. (ადს).

სროლა აუტეხეს იაპონიის გემს

შანხაი, 22 აპრილი. როგორც ხანკოუდან იუწყებიან, იჩანის მახლობლად (ხუბეის პროვინცია) უხანის ჯარმა სროლა აუტეხა იაპონიის გემს. სროლის დროს მოკლულ იქნა ორი კაცი. დაიჭრა რამდენიმე კაცი. (ადს).

ლი ტი-სინის წერილი

შანხაი, 22 აპრილი. გამოქვეყნებულია წერილი ლი ტი-სინის, კანტონის ყოფილი დიქტატორისა, რომელიც ჩან კაი-შიმ დააპატიმრა ნანკინში. ლი ტი-სინი მიმართავს გუანსის ჯგუფის ბელადებს—ბაი ძუნ-ჩის და ლი ძუნ-ჟენს, ურჩევს მათ შეწყვიტონ ბრძოლა და წავიდნენ საზღვარ-გარედ. ლი ტი-სინი უბრძანებს ყველა თავის ხელქვეითებს—დაემორჩილონ ნანკინის მთავრობას. (ადს).

ჩან ძუნ-ჩანის ჯარის დამარცხება

პეიპინი, 22 აპრილი. რეიტერის ცნობით, ფინ იუი-სიანის მომხრის ლიუ ჩენ-იენის ჯარმა მუპილის რაიონში სერიოზულად დაამარცხა შანდუნის ყოფილი გუბერნატორის, ჩან ძუნ-ჩანის ჯარი. ჩან ძუნ-ჩანის ჯარი უკან იხევს. (ადს).

საბჭოთა კავშირში

ლენინის ოთახის გახსნა

ლენინგრადი, 23 აპრილი. ლენინგრადის მუზეუმში გაიხსნა ლენინის ოთახი. ამ ოთახში მოთავსებულია იმ ბინის მოწყობილობა, რომელშიაც როვიოში და ჰელსინგფორსში სცხოვრობდა ლენინი ივლისის დღეებიდან ოქტომბრის რევოლიუციამდე. (ადს)

ამხ. რუძუტაკის მიმართვა

მოსკოვი, 23 აპრილი. ამხ. რუძუტაკმა რკინის გზის და წყლის ტრანსპორტის ყველა გამგეობას მიმართა დეპეშით, რომელშიაც წინადადებას იძლევა—გამგეობათა თავმჯდომარეების და გზათა კომისარიატის რწმუნებულთა პირადი პასუხისმგებლობით ყოველგვარი საშუალებით დაჩქარდეს მუშაობა ტრანსპორტზე ზედმეტი მასალის მარაგის რეალიზაციისათვის. ის პირნი, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან ზედმეტი მასალის დამზადებაში, სასტიკ პასუხისგებაში უნდა მისცენ, როგორც უყაირათო მომუშავენი. (ადს).

სახელმწიფო აპარატის წმენდისათვის

მოსკოვი, 23 აპრილი. კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო, რომ სახელმწიფო აპარატის მომავალ წმენდაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივმა პროფორგანიზაციებმა. პროფკავშირებმა არ უნდა იკისრონ იმათი დაცვა და სამსახურში აღდგენა, ვისაც დაწესებულებიდან წმენდის დროს დაითხოვენ. (ადს).

ინჟენერ-ტეხნიკოსთა საკავშირო ბიუროს ახალი შემადგენლობა

მოსკოვი, 23 აპრილი. დაიხურა ინჟენერ-ტეხნიკოსთა საკავშირო ყრილობა, რომელმაც აირჩია ინჟენერ-ტეხნიკოსთა საკავშირო ბიუროს ახალი შემადგენლობა. არჩეულ იქნა 96 კაცი. ამათში არიან მსხვილი სამრეწველო რაიონების, ქარხნებისა და საბჭოთა მეურნეობის „გიგანტი“-ს წარმომადგენელნი.

ყრილობამ მისასალმებელი მიმართვა გაუგზავნა საბჭოთა მთავრობას და საკავშირო პროფსაბჭოს, ამასთან აარჩია 11 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელიც მიესალმება ახლად გახსნილ საკავშირო პარტკონფერენციას. ინჟენერ-ტეხნიკოსთა ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. შეინი. (ადს).

საყვედური ზადონის ალმასკომს

მოსკოვი, 23 აპრილი. ზადონის ქალაქის საბჭომ (ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქი) თავისი ინიციატივით გამოაცხადა ქალაქის მცხოვრებთა შორის თვითდაბეგვრა ქალაქის კეთილმოწყობის საჭიროებისათვის.

სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა გააუქმა ზადონის ქალაქის საბჭოს დადგენილება და გამოუცხადა მას საყვედური საკავშირო და რესპუბლიკანური კანონმდებლობის დარღვევისათვის. (ადს)

საარჩევნო უფლების მინიჭება იმ საშუალო და ღარიბ გლეხებისათვის, რომელნიც წვრილ ვაჭრობას მისდევენ

მოსკოვი, 23 აპრილი. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმი დაეთანხმა ტვერის საგუბერნიო ალმასკომის დადგენილებას საარჩევნო უფლების მინიჭების შესახებ იმ საშუალო და ღარიბ გლეხებისათვის, რომელნიც დროებით იძულებულნი არიან მისდიონ წვრილ ვაჭრობას და ამ ვაჭრობისათვის იღებენ პირველი კატეგორიის პატენტს.

რაც შეეხება იმ გლეხებს, რომელნიც ვაჭრობენ მეორე კატეგორიის პატენტით, მათთვის საარჩევნო უფლების მინიჭების საკითხი უნდა განიხილოს საგუბერნიო ალმასკომმა ინდივიდუალური წესით. (ადს)

რუსეთის სახელგამის ათი წლის თავი

მოსკოვი, 23 აპრილი. მაისის მეორე ნახევარში სრულდება რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელგამის ათი წლის თავი. საიუბილეო დღეებში მთელ საბჭოთა კავშირში მოეწყობა წიგნის ორკვირეული, რომელიც დამთავრდება წიგნის სავაჭრო ორგანიზაციების საკავშირო თათბირით. (ადს)

ლითონის გამოშვების განახლება

ქერჩი, 23 აპრილი. 22 აპრილს ღამით, ჩვიდმეტი წლის შეწყვეტის შემდეგ, ქერჩის მეტალურგიულმა ქარხანამ განაახლა ლითონის გამოშვება. ლითონის ხარისხი კარგია. 1 მაისამდე გამოშვებული იქნება 1.000 ტონა თუჯი. (ადს)

ყინულის მჭრელი „ლიტკე“

სევასტოპოლი, 23 აპრილი. 1 აპრილს ყინულისმჭრელი „ლიტკე“ ვლადივოსტოკში წავიდა. ვლადივოსტოკში შეკეთების შემდეგ „ლიტკე“ ბაქანზე აიყვანს ჰიდროპლანს და მიიღებს სურსათის სრულ ტვირთს. (ადს)

დნეპრის ადიდება

კიევი, 23 აპრილი. დნეპრი ნაპირებიდან გადმოვიდა. მარცხენა ნაპირზე წყალმა დაფარა ტრუხანოვის კუნძულის და გარეუბნის ქუჩების ნაწილი. მცხოვრებნი კიევში გადადიან. მსხვერპლი არ არის. (ადს)

ბავშის მკვლელი მღვდელი

კრასნოდარი, 23 აპრილი. სტარო-ველიჩკოვსკაიას სტანიცაში გაირჩა მღვდელ ვინიკოვის საქმე. ვინიკოვმა მონათვლის დროს ბავში ჩასვა ცხელ წყლით სავსე ემბაზში. ბავშს სხეული დაეწვა და გარდაიცვალა. ვინიკოვს მიესაჯა ორის წლის პატიმრობა. (ადს)

„კრასნი პუტილოვეც“-ის მუშების პატაკი

ლენინგრადი, 23 აპრილი. „კრასნი პუტილოვეც“-ის მუშებმა შეიმუშავეს მე-XVI საკავშირო პარტკონფერენციისათვის წარსადგენი პატაკი. მუშები პატაკში ჩამოსთვლიან თავიანთ მიღწევებს და აცხადებენ, რომ იდგნენ და ყოველთვის იდგომებიან საკავშირო კომპარტიის (ბ) შეურყევლობის სადარაჯოზე. (ადს).

სადგურ პერმის მუშების წერილი ამხ. სტალინს

პერმი, 23 აპრილი. სადგურ პერმი - მეორის მუშებმა ამხ. სტალინს გაუგზავნეს წერილი, რომელშიაც სწერენ:

„მთავარი, ამხ. სტალინ, ის არის, რომ იბრძოლო ინდუსტრიალიზაციის ტემპისათვის. ჩვენ დიდი სიძნელეები გველობება, მაგრამ ჩვენ თანახმა ვართ საცხოვრებელი დონის შევიწროვებაზე: დეე ჩვენ გაგვიჭირდეს, სამაგიეროდ ჩვენი შვილები კარგად იქნებიან. პარტიას, ცეკას და შენ გპირდებით მტკიცე დახმარებას“. (ადს)

ამხ. მენჟინსკის ჯანმრთელობის მდგომარეობა

მოსკოვი, 23 აპრილი. გამოქვეყნებულია ბიულეტენი ამხ. მენჟინსკის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. 21 აპრილს ამხ. მენჟინსკის ჰქონდა გულის ძლიერი ტკივილი, გულის მოქმედების საგრძნობლად დასუსტებით. გულის ტკივილი ეხლაც გრძელდება, თუმცა ისე ძლიერად არა, როგორც პირველად. ტემპერატურა უდრის 37,3 გრადუსს (ადს).

ელექტრომშენებლობის ტეხნიკურ მუშაკთა კონფერენცია

მოსკოვი 23, აპრილი. დაიხურა ელექტრომშენებლობის ტეხნიკურ მუშაკთა პირველი საკავშირო კონფერენცია. „გლაველექტრო“-ს უფროსმა ამხ. კსანდროვმა ჯამი გაუკეთა კონფერენციის მუშაობას და აღნიშნა: ელექტრომშენებლობის მუშაკებმა მტკიცე სიტყვა უნდა დასდონ, რომ მთავრობისა და პარტიის დირექტივა მშენებლობის გაიაფების შესახებ შესრულებული იქნებაო. „ყოველი ელექტრომშენებელი და მთელი ჩვენი კოლექტივი,—სთქვა ამხ. კსანდროვმა,—უნდა ამოწმებდეს თავის მუშაობას. ჩვენ უნდა დავაწესოთ წლიური შეჯიბრება „გლაველექტრო“-ს, ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და ელექტრომშენებლებს შორის ყველაზე უფრო მკაფიო და სწორ მუშაობაზე, ამავე დროს ბრძოლა უნდა გამოეცხადოს საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს. კონფერენციას შეუძლია დაარწმუნოს ახალგახსნილი მე-XVI პარტკონფერენცია, რომ ელექტრომშენებლობის მუშაკნი პარტიასთან და მუშათა კლასთან მთლიანი ფრონტით მიემართებიან სოციალისტური მშენებლობის გზაზე და რომ ისინი პირნათლად შეასრულებენ ყველა იმ ვალდებულებას, რომელსაც მოითხოვენ ამ მშენებლობის ინტერესები.

მოხსენებათა გამო გამოტანილ რეზოლიუციაში კონფერენცია აღნიშნავს, რომ, სიძნელეების მიუხედავად, სრული შესაძლებლობაა შესრულებულ იქნას ელექტროფიკაციის ამოცანები. წელს თითქმის ყველა ელექტრომშენებლობა უზრუნველყოფილია დამტკიცებული საბოლოო პროექტებით. (ადს)

სოციალისტური შეჯიბრება

სემიპალატინსკი, 23 აპრილი. „დნეპროსტროი“-მ „ტურქსიბი“ გამოიწვია შეჯიბრებაში ექსკავატორების საუკეთესო მუშაობაზე. „ტურქსიბ“-ის მუშებმა გამოწვევა მიიღეს და თავიანთ მხრით წინადადება მისცეს „დნეპროსტროი“-ს მუშებს--შეასრულონ მთავრობის დავალება დნეპრის ჰიდროსადგურის გაიაფების შესახებ. (ადს).

სტალინი, 23 აპრილი. სტალინის ქარხნის მუშებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს კრივოროჟიეს მემადნეები. გაწვევა მიღებულია. (ადს).

სტალინი, 23 აპრილი. „კრასნაია ეტნა“-ს ქარხნის მუშებმა სტალინგრადის ქარხანას გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ბრალს სდებენ მუშებს, რომ მათ ცუდი ხარისხის ლითონი გაუგზავნეს ქარხნებს. საწარმოო თათბირზე გამოირკვა მიზეზები, რომლებიც იწვევდნენ უვარგისი ლითონის დამზადების დიდ პროცენტს. საპასუხო წერილში სტალინის ქარხნის მუშები აცხადებენ, რომ გააუმჯობესებენ პროდუქციას. (ადს).

სარატოვი, 23 აპრილი. ქვემო-ვოლგის საოლქო კომიტეტის ბიურომ მიიღო შუა-ვოლგის საოლქო კომიტეტ. გამოწვევა შეჯიბრებაში მოსავლიანობის გადიდებისა და სოფლის კოლექტივიზაციისათვის. (ადს).

ამიერ კავკ ფედერაცია

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ახალგაზრდობის გაწვევა არხების გასაწმენდათ

ქუთაისი, 22 აპრილი. კომკავშირის ქუთაისის სამაზრო კომიტეტმა ფართოდ გაშალა მუშაობა არხების გაწმენდის საქმეში ახალგაზრდობის ჩასაბმელად. სამტრედიის რაიონში, ჯიხაიშისა და კულაშის თემებში არხების გაწმენდაში მონაწილეობა მიიღო 400 კომკავშირელმა. ხონის რაიონში მუშაობდა 500 კაცი. მაშველის არხის გაწმენდაზე ქუთაისში 230 კომკავშირელი მუშაობდა. (ადს).

ბრძოლა მალარიასთან

ქუთაისი, 22 აპრილი. ქუთაისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებასთან ჯერ კიდევ შარშან დაარსებული მალარიასთან მებრძოლი კომიტეტი უმოქმედოდ არის. ეს მაშინ, როდესაც მარტო უკანასკნელი თვის განმავლობაში 400 მალარიიანი აღირიცხა. დაავადებულთა რიცხვი მატულობს. გრძელი ზამთრის გამო, წელს მოსალოდნელია დიდი წყალდიდობა. ნაპირებიდან გადასული მდინარეები გააჩენენ ჭაობებს, მალარიის ბუდეებს. არ არის არავითარი მოსამზადებელი მუშაობა ასეთი ადგილების უვნებელსაყოფად. არ მოიპოვება აგრეთვე ქინაქინის საკმაო რაოდენობა. (ადს).

ამიერ-კავკ. ღვინის ექსპორტი საზღვარ-გარედ

ფოთი, 22 აპრილი. მაისის პირველ რიცხვებში საბჭოთა-სავაჭრო ფლოტი შეუდგება ამიერ-კავკ. ღვინის ექსპორტს გერმანიასა და იტალიაში. ჯერ-ჯერობით გასაგზავნად მიღებულია 204 ვაგონი ღვინო. სულ გატანილი იქნება 750 ვაგონი ღვინო. (ადს).

შემნახველი სალაროების ერთთვიურის შედეგები

ქუთაისი, 22 აპრილი. შემნახველი სალაროების ერთთვიურის კამპანიის დროს ქუთაისის მაზრის სალაროებში 2.343 მეანაბარემ შეიტანა 58.563 მანეთი. აქედან ქუთაისზე მოდის 567 მეანაბარე და 30.793 მანეთი. ანაბარების მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს აბრეშუმის სართავ და მაუდის ფაბრიკებს. დანარჩენი საწარმონი ჩამორჩნენ მათ.

სოფლებში დაზოგვის ერთთვიურს უფრო სუსტი შედეგები მოჰყვა. ბევრ რაიონში კამპანია გვიან დაიწყო. (ადს).

კოლმეურნეობების მიწათმოწყობა

გურჯაანი, 22 აპრილი. განახლდა ზამთრის განმავლობაში შეწყვეტილი მუშაობა კოლმეურნეობათა მიწათმოწყობაზე. ამჟამად მუშაობა სწარმოებს „რუისპირი“-ს, „რქა-წითელი“-ს და სხვა კოლექტივებში. (ადს).

ნათესების მდგომარეობა

გურჯაანი, 22 აპრილი. შემოდგომის ნათესს მთელ მაზრაში კარგი პირი უჩანს. ცივი ამინდი ხელს უშლის გაზაფხულის თესვას. პური ცოტა დაითესა. დანაკლისი შევსებულ უნდა იქნას სიმინდით და ფეტვით. დიდი მოთხოვნილებაა სიმინდის სათეს მანქანაზე. ასეთი მანქანის უქონლობის გამო აგრონომები იყენებენ ხორბლის სათეს მანქანებს. (ადს).

აზერბაიჯანი

გემების შეჯიბრება

ბაქო, 22 აპრილი. კასპიის სავაჭრო ფლოტი შეჯიბრებაზე იწვევს ბალტიისა და შავი ზღვის გემებს—ვინ უკეთესად შეასრულებს ტვირთის გადაზიდვის პროგრამას. ამჟამად ადგენენ შეჯიბრების სამუშაო პროგრამას. კასპიის სავაჭრო ფლოტი, რომელმაც უკანასკნელი წლის განმავლობაში ომის წინადროის გადაზიდვის 98 პროცენტს მიაღწია, კისრულობს წელს ომის წინადროის დონეს გადააჭარბოს. (ადს)

პარტიაში

საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას თეზისების დასაცავად

მოსკოვი, 23 აპრილი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასთან გაიხსნა ქალთა საოლქო დეპეშებს და რეზოლიუციებს, რომლებშიაც სხვადასხვა ყრილობები, კონფერენციები, პარტაქტივები, მუშათა კრებები და სხვ. ესალმებიან მე-XVI პარტკონფერენციას. ყველა რეზოლიუცია იწონებს გამოქვეყნებულ თეზისებს და აცხადებს, რომ პარტიული მასა მზად არის გადაჭრით იბრძოლოს პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ. ზოგიერთი ორგანიზაცია ადგენს დამატებებს თეზისებისათვის. (ადს)

გადამჭრელი ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან

კიზელი, 23 აპრილი. კიზელის პარტკონფერენცია კიზელის რაიონის 1.800 მემაღაროე-ბოლშევიკის სახელით აცხადებს, რომ საჭიროა მკაცრი ზომების მიღება და გადამჭრელი ბრძოლა მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების ჩამოყალიბების ცდების წინააღმდეგ. რეზოლიუციაში ნათქვამია: „საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა აშკარა ოპორტუნისტული მემარჯვენე გადახრის და მის კონკრეტულ მატარებელთა წინააღმდეგ მიუხედავად პიროვნებათა და მათი ადგილისა პარტიაში“. (ადს)

ქალთა განყოფილებების გამგეთა თათბირი

მოსკოვი, 23 აპრილი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასთან გაიხსნა საოლქო ქალთა განყოფილებების გამგეთა თათბირი მე-XVI პარტკონფერენციის დელეგატებთან ერთად. მოხსენება ქალთა შორის მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ გააკეთა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების გამგემ ამხ. არტიუხინამ. (ადს)

კოოპერაციის საარჩევნო კამპანია და პარტხელმძღვანელობის ამოცანები

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილების მიერ ჩატარებულ გამოკვლევის საფუძველზე ცეკამ კოოპერატიულ მუშაკთა კადრების შემადგენლობა აღიარა არადამაკმაყოფილებლად და არსებული ნაკლოვანებანი მათ, ასეთ შემადგენლობას მიაწერა. ეს მდგომარეობა ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმას, რომ საჭიროა ყველა ორგანოების და განსაკუთრებით პრესის ყურადღების მიქცევა კოოპერატიულ ორგანოების გადარჩევისადმი

კოოპერატიული მუშაობის ნაკლოვანებანი შემდეგია: ღარიბთა კოოპერაციაში მიზიდვა გაცილებით ნაკლები ტემპით მიმდინარეობს ვიდრე გლეხობის სხვა ჯგუფებისა. ეს მდგომარეობა უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ღარიბთა ფონდი მცირე იყო, მას მთლიანად არ იყენებდნენ და ზოგ შემთხვევაში იგი გლეხობის სხვა ჯგუფების სასარგებლოდ იხარჯებოდა. სას. სამ. კოოპერაციაში ღარიბთა ფონდის მხოლოდ 54 პროც. იქნა გამოყენებული, სამომხმარებლო კოოპერაციაში კი —94 პროც. ც. კ. დირექტივის თანახმად ღარიბთა ფონდი ყველგან უნდა გამოყოფილ იქნას 15 პროც. რაოდენობით. საგადასარჩევო კრებაზე უნდა გამჟღავნდეს ღარიბთა ფონდის გამოყენებაში არსებული დეფექტები და ახლად არჩეულ ორგანოებს მიეცეს გარკვეული დირექტივა მისი გამოყენების შესახებ.

მეორე უმთავრეს ნაკლს კოოპერატიულ მუშაობაში წარმოადგენს სესხების სოციალური მიმართულების მდგომარეობა. სას.-სამ. საკ. ამხ-ბებს ამ საკითხში მტკიცედ არ ჰქონდათ დაცული კლასობრივი ხაზი. შეძლებული გლეხების ხვედრითი წონა კრედიტორებს შორის გაცილებით სჭარბობს მათ ხვედრითი წონას კოოპერაციის წევრთა შორის. ამას გარდა შეძლებულ გლეხებზე გაცემული სესხის რაოდენობა საშუალოდ მეტია, ვიდრე ღარიბ გლეხებზე. ეს მდგომარეობა სრულებით არ შეეფერება პარტიის ხაზს, რომელიც მოითხოვს ყოველ მუშაობაში კლასობრივ მიდგომას.

პარტიულმა ხელმძღვანელობამ უნდა მიაპყროს კოოპერატიულ საზოგადოებრივობის, განსაკუთრებით კი მისი ღარიბი ნაწილის, ყურადღება ღარიბთა მეურნეობების განვითარების, ამ უმთავრეს საშუალებას და შესძლოს შექმნას გარდატეხა სესხების განაწილების საკითხში ღარიბთა სასარგებლოდ. რასაკვირველია, სესხების სოციალურ მიმართულებაში გარდატეხამ არ უნდა გააუარესოს საშუალო გლეხობის სესხით უზრუნველყოფის საქმე.

კოოპერაციის ძალზე სუსტ მხარეს წარმოადგენს მუშაობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში. ხშირია შემთხვევა, როდესაც კოოპერაციის მუშაკები საჭიროდაც არ სთვლიან ანგარიში გაუწიონ კოლექტიურ მეურნეობებს. ხელმძღვანელობაზე სას.-სამ. კოოპ. მხრივ კოლმეურნეობისადმი, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

საქონლის მომარაგება-გასაღების საკითხში ამჟამად ჩვენ კოოპერაციის წევრთა თანასწორუფლებიანობიდან გამოვდივართ. მე მგონია დროა ვიფიქროთ იმის შესახებ, რომ ამ საკითხებშიაც შევიტანოთ კლასობრივი ხაზი. რატომ არ შეიძლება ღარიბთა ნაწარმოების პირველ რიგში გასაღება და ღარიბებისათვის სას.-სამ. იარაღებისა და სამომხმ. პროდუქტების მიწოდება. პარტიულმა უჯრედებმა წინასწარ უნდა მოამზადონ ღარიბთა საზოგ. აზრი და კოოპერაციის წევრთა საერთო კრებაზე მიაღწიონ იმ დირექტივის მიღებას, რომელიც უზრუნველჰყოფს კლასობრივი ხაზის გატარებას მომარაგება-გასაღების საკითხშიაც.

მთელი რიგი ცნობები მოწმობს, რომ საარჩევნო კრებების მომზადება ადგილებზე ძალიან მოისუსტებს. ამას მოწმობს ისიც, რომ დასწრების პროცენტი ბევრგან 45—50 პრ. არ აღემატება. საკმარისად არ არის გაშუქებული ის ამოცანები, რომლებიც სდგას კოოპერაციის წინაშე მე-15 პარტყრილობის დადგენილებებთან დაკავშირებით.

ყოველივე ეს პარტიულ, საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციების უმოქმედობით აიხსნება. საჭიროა ფართედ იქნას გაშლილი მოსამზადებელი მუშაობა. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ კედლის გაზეთები, სამკითხველო, ქალთა სადელეგატო კრებები, პარტუჯრედები, კომკავშირი და სხვ. კანდიდატების და კოოპერაციის საკითხები პარტიულ უჯრედებზე განხილვის შემდეგ აუცილებლად უნდა იქნას გადატანილი ღარიბთა და კოოპერაციის აქტივის კრებაზე.

როგორც ვსთქვით, საქ. კ. პ. (ბ) ცეკამ აღნიშნა მუშების, მოჯამაგირეებისა და ღარიბ გლეხთა რიცხვის სიმცირე კოოპერატ. ორგანოების შემადგენლობაში. ღარიბთა ხვედრითი წონა არ აღემატება 25—30 პროც., მაშინ, როდესაც სას.-სამ. გადასახადისაგან განთავისუფლებულთა რიცხვი 55 [illegible] ყოფ. თავად-აზნაურთა და მოსამსახურეთა პროცენტი კი საკმაოდ საგრძნობია. საგრძნობია აგრეთვე შეძლებულ გლეხთა რიცხვი.

პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა უფრო მეტი სიმკაცრით შეუდგეს ხელმძღვანელ ორგანოების თვისობრივ გაუმჯობესების საქმეს. პირველ რიგში საჭიროა გაუმჯობესებულ იქნას თავმჯდომარეთა შემადგენლობა მუშების, მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხების წამოყენებით ამ თანამდებობაზე. კანდიდატურების შერჩევის დროს უდიდესი სიფრთხილეა საჭირო, რათა არ განმეორდეს ის, რაც მოხდა კახეთის და გორის მაზრებში.

ც. კ. თავის დადგენილებაში აღნიშნა ქალებისა და კომკავშირელთა რიცხვის სიმცირე კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში. ადგილებიდან მოწოდებულ ცნობების მიხედვით, ეს დეფექტები, იქ სადაც არჩევნები ჩატარდა, გამოუსწორებელი რჩება. საქართველოში ჯერ არსად არ არის ქალი კოოპერატივის თავმჯდომარედ. პარტიულ და კოოპერატიულ ორგანოებმა უნდა მიიღონ ღონისძიებანი ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად.

პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთ ძალებისა და კოოპერატიულ აქტივის დახმარებით უნდა შესძლონ გლეხობის ფართო მასების მაქსიმალურად ჩაბმა კოოპერაციის ორგანოთა საარჩევნო კრებების მუშაობაში. საგადასარჩევო კრებაზე სრული საშუალება უნდა მიეცეს გლეხობას აღნიშნოს კოოპერაციის დეფექტები. პარტიის წევრებმა მაგალითი უნდა მისცენ მას ნაკლოვანებათა აღნიშვნაში.

არჩევნებში დაცული უნდა იქნეს დემოკრატიული პრინციპი. სამწუხაროდ ზოგ ადგილებში პარტიული ორგანიზაციები ძალდატანებითი ზომებს მიმართავენ ამ საკითხში. მაგალითად, შილდის და ყვარელის თემებში დატუსაღებულ იქნა რამდენიმე გლეხი იმ მიზეზის გამო, რომ მთელმა კრებამ უარყო პარტორგანიზაციის მიერ წამოყენებული კანდიდატურები. ეს რასაკვირველია არ შეიძლებოდა ახსნილიყო გლეხობის მტრული განწყობილებით პარტიისადმი. ამის მიზეზი ის იყო, რომ პარტორგანიზაციებმა კანდიდატების შერჩევაში არ გამოიყენეს ღარიბები და კოოპერაციის აქტივი, რის გამოც ვერ შეარჩიეს სათანადო კანდიდატები. დაპატიმრების შემდეგ მოწვეული კრებები ამ ადგილებში გლეხობის სრული დუმილით ჩატარდა.

ეს გაკვეთილი მხედველობაში უნდა მიიღონ სოფლის პარტორგანიზაციებმა და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან დემოკრატიზმის ასეთი უხეში დარღვევა.

ნ. ბვანცელაძე.

უჯრედი კოლმეურნეობათა მშენებლობის ფრონტზე

ამჟამად მხოლოდ ლიკვიდატ. სენით შეპყრობილ მემარჯვენე უკლონისტებისათვის არის საჭირო იმის მტკიცება, რომ პარტიის გენერალური ხაზი სოფლად მუშაობის საკითხში, კერძოდ კი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში არის სწორი, რომ სოფლად დაქუცმაცებული კერძო მეურნეობის ხარჯზე იქმნებიან და ვითარდებიან ჯანსაღი და მტკიცე კოლექტიური მსხვილი სამეურნეო ერთეულები.

კერძოდ საქართველოში კოლექტივიზაციის საქმემ საკმაოდ ღრმად გაიდგა ფესვი. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობებზე ხელმძღვანელობას აქვს მრავალი სუსტი მხარე, რომლის გამოსწორებასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

დავიწყოთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მუშაობიდან. უკანასკნელნი ბევრ შემთხვევაში სრულიად მოუმზადებელნი არიან კოლმეურნეობათა მშენებლობის დარგში, რაც ცხადია მეტად აბრკოლებს კოლექტივების შემდგომ განვითარების საქმეს. ზოგჯერ კი კოლმეურნეობების თავმჯდომარეებად გვყავს ზნეობრივად მიუღებელი პირები. ეს მდგომარეობა მოითხოვს პარტუჯრედებისაგან მეტი ყურადღება მიაქციონ კოლმეურნეობათა მუშაკების შერჩევას და მიაღწიონ, რათა თავმჯდომარეებად გამოყოფილ იქნენ უკეთესი ამხანაგები. უახლოეს ხანში საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს კოლექტივების თავმჯდომარეთა გადამზადება.

აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობათა ცენტრის ინსტრუქტორების ხელმძღვანელობა კოლექტიურ მეურნეობისადმი არ არის დამაკმაყოფილებელი.

ხშირად ინსტრუქტორის თანდასწრებით კოლექტივის წევრთა საერთო კრება გამგეობის მუშაობას სთვლის დამაკმაყოფილებლად მაშინ, როდესაც გამგეობას არაფერი არ გაუკეთებია და სხვ. რასაკვირველია, ასეთი მოვლენა არ არის ნორმალური. კოლმეურნეობის ცენტრის წარმომადგენელი უნდა ებრძოდეს მას. საჭიროა კოლმეურნეობების გამგეობებში განვამტკიცოთ პასუხისმგებლობა მუშაობისათვის. ამისათვის აუცილებელია გაძლიერდეს მათი ანგარიშგება. ანგარიშის ჩაბარება უნდა ხდებოდეს თვეში ერთხელ მაინც.

ძალზე სუსტი ყურადღება აქვს მიქცეული კოლმეურნეობებში ყოფა-ცხოვრებით საკითხებს. ბევრ კოლექტივებში ხშირია ქეიფის გამართვა, რომლის დროსაც იხარჯება საკმაოდ დიდი თანხები. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ს. ოძისის კოლექტივი, რომელმაც თავის ერთი წევრის ქორწილში დახარჯა 70 ვედრო ღვინო, დაკლა ერთი ღორი, ერთი ცხვარი და სხვ. ამავე კოლექტივში ქელეხში დახარჯეს 28 ფუთი ღვინო, ქეიფის შემდეგ ხშირია ჩხუბი, აყალმაყალი, რაც სახელს უტეხავს კოლექტივიზაციის საქმეს. კოლექტივებში სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს დახავსებულ ზნეჩვეულებებს. საერთოდ კი ზემოთაღნიშნულ მავნე მოვლენებს უნდა დაუპირისპიროთ აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება კოლექტივების წევრთა შორის. ამ საქმეში დიდი როლი უნდა ითამაშონ პარტუჯრედებმა.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში ადგილი აქვს პიროვნების გამეფებას, თანხების თვითნებობით ხარჯვას ცალკე პირების მიერ და სხვა. მაგალითად ს. მჭადიჯვრის კოლექტივში ექვსი-შვიდი თვის წინად გაფლანგული იქნა რამოდენიმე ათასი მანეთი. ამ საქმეს დღემდე კანონიერი მსვლელობის ნიშან-წყალი არ ეტყობა. გამფლანგველი დინუაშვილი თავისუფლად სეირნობს ხევსურეთში (რაიონის მილიციის უფროსად).

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ადგილებზე, სათანადოთ ვერ არის მოგვარებული პარტხელმძღვანელობა კოლმეურნეობათა მშენებლობაზე.

სუსტად იყენებენ პარტიულ სასჯელს იმ კომუნისტების და კომკავშირლების მიმართ, რომლებიც თავიანთი ცუდი საქციელით, ყოყოჩობით, უყაირათობით, ხელის შეწყობის ნაცვლად ხელს უშლიან კოლექტივის მუშაობას. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს. ზემოაღნიშნულში შენიშნული კოლმეურნეობების წევრი კომუნისტების და კომკავშირლების მიმართ უნდა მიღებულ იქნას პარტიული ზემოქმედების ზომები.

ერთი მტკივნეული საკითხი, რომელიც დროა გადაიჭრას, არის ის თუ, როგორ მოვექცეთ იმ კომუნისტებს და კომკავშირლებს, რომლებიც გაურბიან კოლმეურნეობებში შესვლას, ან და კიდევ სხვადასხვა არა საპატიო მიზეზებით სტოვებენ კოლექტივის წევრობას. ამ საკითხის ირგვლივ საჭიროა პარტიის გარკვეული დირექტივა ადგილებისადმი. საერთოდ კი ადგილობრივმა პარტუჯრედებმა ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს.

გრ. ქარანაძე.

ღარიბთა შეკავშირება კოოპერაციაში

(წერილი სენაკიდან)

სენაკის სამაზრო კომიტეტმა მარტის თვეში ჩაატარა ღარიბთა კოოპერაციაში შეკავშირების საქმის გამოკვლევა. გამოკვლევის მასალებიდან სჩანს, რომ მიუხედავად წინსვლისა და მიღწევებისა, ბევრ შეცდომას და ნაკლს აქვს ადგილი ამ საქმეში: არ არის კოოპერაციაში შეკავშირებულ ღარიბების სწორი აღრიცხვა, სათანადო ყურადღება არ ექცევა მოჯამაგირეების ჩაბმას კოოპერაციაში, ღარიბთა ფონდები ბევრგან გამოყენებულია არა დანიშნულებისამებრ ან და რამოდენიმე თვეობით უმოძრაოდ დაუტოვებიათ (სენაკის და აბაშის საკრედიტო ამხანაგობები). ძალზე სუსტია ღარიბთა ჯგუფების მუშაობა, ზოგან კი, მიუხედავად სამკომის დირექტივებისა, ჯგუფები დღემდე არ ყოფილა ჩამოყალიბებული, თემკომებს არ შეუმოწმებიათ და არ განუხილავთ ეს საკითხები.

სამკომის პრეზიდიუმმა მიიღო პრაქტიკული დადგენილებანი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დეფექტების გამოსწორება და ღარიბთა კოოპერაციაში ჩაბმის ტემპის მაქსიმალურად გაძლიერება.

კოოპერაციის ხელმძღვანელებმა და ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებმა სავსებით უნდა შეითვისონ და გაატარონ პარტიის დირექტივა კოოპერაციაში მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხების შეკავშირების შესახებ.

საჭიროა სასწრაფო წესით განაწილდეს სათანადო თემებს შორის ღარიბთა ფონდების ძველი ნაშთი, რომელიც დღემდე უმოძრაოდ არის. უნდა მოხდეს აგრეთვე კოოპერაციის წევრ ღარიბთა სწორი აღრიცხვა და გაძლიერებულ იქნეს კულტურული მუშაობა მათ შორის.

კოოპერაციის საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის დასრულებისთანავე ყველგან—სამომხ. კოოპერატივებსა და საკრედიტო ამხანაგობებთან უნდა ჩამოყალიბდეს ღარიბთა ჯგუფები.

მთელ ამ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კომკავშირის უჯრედებმა, ღარიბთა ჯგუფებმა, კოოპაქტივმა, კულტმუშაკებმა, ქალთა სადელეგატო კრებებმა და მიწა-ტყის კავშირის ორგანოებმა.

პარტიული უჯრედების მოვალეობაა ფხიზლად ადევნონ თვალ-ყური პარტიის დირექტივების გატარებას სოფლის პროლეტარიატის კოოპერაციაში შეკავშირების ტემპის გაძლიერების შესახებ და ამით ხელი შეუწყონ უდიდეს საქმეს, სოფლის სოციალისტურად გარდაქმნას.

შ. ბარამია.

სენაკის სამაზრკომის ახალი მდივანი

19 აპრილს, შესდგა საქ. კ. პ. (ბ) სენაკის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, ქალაქში მყოფ სამკომის პლენუმის წევრ-კანდიდატებთან ერთად. სხდომამ გაანთავისუფლა სენაკის სამკომის მდივნობიდან ამხ. ესტ. გვილავა. მისი სამუშაოდ საქ. იუსტ. სახ. კომისარიატში გადაყვანის გამო. სენაკის სამპარტკომის მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ვ. ჩოკვეტაძე.

მემარჯვენეთა გადახრის ერთი საფუძველთაგანი

„კულაკის მშვიდობიანი შეზრდა სოციალიზმში“

თავის პოლიტიკაში კაპიტალისტური ელემენტების (აგრეთვე წვრილი საქონლის წარმოების) მიმართ მემარჯვენე გადახრა გამოდის სოციალიზმში კულაკის მშვიდობიანი შეზრდის თეორიიდან.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მომხსენებელმა მოსკოვის მე-17 საგუბერნიო პარტკონფერენციაზე, ამხ. მოლოტოვმა, განაცხადა, რომ ლენინიზმსა და სოციალიზმში კულაკის მშვიდობიანი შეზრდის თეორიას შორის „უფსკრული ძევს“-ო.

ამრიგად, გამოდის, რომ ლენინიზმი და სოციალიზმში კულაკის მშვიდობიანი შეზრდის თეორია ერთი-ერთმანეთის საწინააღმდეგო, შეურიგებელი და მტრული თეორიებია, ისინი უარყოფენ ერთი-მეორეს, მათ არაფერი არ აკავშირებს.

ის ადამიანები, რომელნიც აღიარებენ მარქსისტულ მოძღვრებას კლასთა ბრძოლის შესახებ, და ის ადამიანები, რომელნიც აღიარებენ თეორიას სოციალიზმში კულაკის მშვიდობიანი შეზრდის შესახებ, მსოფლმხედველობის სფეროში აბსოლიუტურად მტრული ბანაკების წარმომადგენელნი არიან.

აი სოციალიზმში კულაკის მშვიდობიანი შეზრდის მთავარი თეზისი:

— „ჩვენი გლეხური კოოპერატიული ორგანიზაციების ძირითადი ქსელი შემდგარი იქნება არა კულაკური, არამედ „შრომითი“ ტიპის კოოპერატიული უჯრედებისაგან, რომელნიც შეეზრდებიან ჩვენი საერთო სახელმწიფოებრივი ორგანოების სისტემას და ამრიგად გადაიქცევიან სოციალისტური მეურნეობის მთლიანი სისტემის შემადგენელ ნაწილებად. მეორეს მხრივ, კულაკური კოოპერატიული ჯგუფები სწორედ ამნაირადვე, ბანკებისა და სხვ. მეშვეობით, შეეზრდებიან იმავე სისტემას(ესე იგი სოციალიზმს—ფ. ქ.), მაგრამ ისინი ერთგვარი უცხო სხეული იქნებიან, როგორც, მაგალითად, საკონცესიო საწარმონი. რა დაემართება ასეთ კულაკურ კოოპერაციას შემდეგში? ვთქვათ, მაგალითად, ჩვენში არსებობს ისეთი საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც სათავეში უდგიან კულაკები, რომელნიც იქ მთელი ავტორიტეტით სარგებლობენ. ეს კულაკური კოოპერატივი, თუ მას სურს აყვავებული იყოს, აუცილებლად ისევე, როგორც სხვები, დაკავშირებული უნდა იყოს ეკონომიურ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებთან;; იგი, მაგალითად, თავის თავისუფალ თანხებს შეიტანს ჩვენს ბანკებში იმისათვის, რომ განსაზღვრული პროცენტი მიიღოს. იმ შემთხვევაშიაც კი, რომ წარმოიშვან ასეთი კოოპერატივების (ესე იგი კულაკების.— ფ. ქ.) საკუთარი საბანკო ორგანიზაციები (ხედავთ რა თავისუფლება გეძლევათ, „მოქალაქე“ კულაკებს?!— ფ. ქ.), ისინი მაინც აუცილებლად დაკავშირებულნი უნდა იქნენ პროლეტარულ სახელმწიფოს მძლავრ საკრედიტო დაწესებულებებთან, რომელთაც თავიანთ განკარგულებაში აქვთ ჩვენი ქვეყნის საკრედიტო სახსრები. კულაკი და კულაკური ორგანიზაციები მაინც ვერსაით გაფართოვდებიან, ვინაიდან განვითარების საერთო ჩარჩოები უკვე წინასწარ მოცემულია პროლეტარული დიქტატურის წყობით და ამ დიქტატურის სამეურნეო ორგანიზაციების უკვე თვალსაჩინოდ გაზრდილი სიმძლავრით, თუ კულაკი ძალაუნებურად ჩვენი ბანკების მეანაბარეა, თუ იგი ძალაუნებურად მთელი რიგი ურთიერთობით დაკავშირებული ხდება ჩვენს სამეურნეო ორგანოებთან, ის აუცილებლად განსაზღვრულ ფარგლებში ჩაემჟყვდევა“.

როდის არის დაწერილი ეს სტრიქონები? 1925 წელს.

* * *

ამრიგად, მემარჯვენე გადახრის სიმბოლო სარწმუნოებისა წარმოთქმულია უკვე ამ 4 წლის წინად. „შეზრდის“ თეორიის უარყოფა გაუქმებულ იქნა იმით, რომ ის წიგნაკი, რომელშიაც გადმოცემულია ეს თეორია, ხელახლა გამოიცა— 1927 წელს.

ზოგჯერ ამბობენ, რომ მემარჯვენე გადახრის პოზიციას საფუძვლად უძევს რწმენის უქონლობა ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილ სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილებაშიო. ეს სწორია. მაგრამ ამას განმარტება უნდა, ვინაიდან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გარკვევით გავიგებთ — როგორ მიდიან მემარჯვენე უკლონისტები იქამდე, რომ არ სწამთ ჩვენი რევოლიუციის სოციალისტური პერსპექტივები, მხოლოდ ამ შემთხვევაში გავიგებთ მემარჯვენე გადახრის ფილოსოფიის რაობას. ის გარემოება, რომ მემარჯვენე უკლონისტებს არ სწამთ ჩვენი რევოლიუციის სოციალისტური პერსპექტივები, დაკავშირებულია „კაზიონურ“, ბიუროკრატიულ, არარევოლიუციონურ ოპტიმიზმთან, ესე იგი საბჭოთა კავშირში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობის უკრიტიკო „რწმენასთან“.

ასეთია დიალექტიკა, რომელიც (ამასთან დაკავშირებით უნდა ვთქვათ) მემარჯვენე გადახრის იდეოლოგებს არასოდეს რიგიანად არ ესმოდათ.

თვითონ განსაჯეთ.

მემარჯვენე უკლონისტები თავიანთ პოლიტიკაში კაპიტალისტური ელემენტების (ხოლო ამასთან დაკავშირებით, აგრეთვე წვრილი საქონლის წარმოების) მიმართ აყენებენ შემდეგ ლოზუნგს: „ყველა გლეხებო, გამდიდრდით! ნუ გეშინიათ, რომ შეგავიწროვებენ!“.

რით ხელმძღვანელობენ მემარჯვენე უკლონისტები, როდესაც ასეთ ლოზუნგს აყენებენ? მხოლოდ და მხოლოდ შემდეგი სქოლასტიური ფილოსოფიით.

ქალაქი წარმოადგენს ხელმძღვანელ ძალას სოფლის მიმართ. ასე იყო კაპიტალიზმის დროს. ასე „უნდა იყოს“ საბჭოთა ხელისუფლების დროსაც. პროლეტარული ქალაქი თან მიიყოლიებს სოფელს. რამდენადაც პროლეტარულ, სოციალისტურ ქალაქის ხელშია ძალაუფლება — ბანკები, ფაბრიკები, ქარხნები, ტრანსპორტი, მიწა, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია — იმდენად საქონლის წარმოება და ამ წარმოებიდან წარმოშობილი კაპიტალიზმი „ვერსაით გაფართოვდებიან“, ისინი „ძალაუნებურად“ აუცილებლად გაჰყვებიან და უნდა გაჰყვენ, „არ შეუძლიათ არ გაყვენ“ პროლეტარულ ქალაქს და, ამრიგად, ძალაუნებურად, ავტომატიურად, მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ შეეზრდებიან სოციალიზმს.

აქედან გამოდის შემდეგი დასკვნა: არ უნდა გვეშინოდეს კაპიტალიზმის ზრდის და, მით უფრო, წვრილი საქონლის წარმოების ზრდის.

პროლეტარული დიქტატურის არსებობა ავტომატიურად წინასწარ განსაზღვრავს საბჭოთა საზოგადოების ყველა კლასის სოციალიზმში მშვიდობიანი და უმტკივნეულო შეზრდის საკითხს.

აქედან გამომდინარეობს მოწოდება, რომ წავიდეთ დათმობებზე კაპიტალიზმის მიმართ, ამავე დროს მემარჯვენე უკლონისტები ამ დათმობებსაც კი უწოდებენ „სოციალიზმის ძლევამოსილი მსვლელობის“ თითქმის ყველაზე უფრო მკაფიო დამამტკიცებელ საბუთს.

როგორც ვხედავთ, „რწმენა“ აქ ზომაზე მეტიც არის.

მემარჯვენე უკლონისტებს არც კი სურთ გაიგონონ, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს კაპიტალისტური რესტავრაციის რაიმე საფრთხე. ყოველსავე ფიქრს ამის შესახებ ისინი „ეშმაკის ხრიკებად“ სთვლიან. ისინი ფიქრობენ, რომ კაპიტალიზმის ძალა ჩვენს ქვეყანაში განიზომება კულაკების პროცენტით სოფლის მეურნეობაში და კერძო კაპიტალისტური მრეწველობის წილით მრეწველობის საერთო პროდუქციაში.

აქედან მათ გამოჰყავთ ასეთი დასკვნა:

„სამეურნეო მიზეზები, საშინაო კლასობრივი სტრუქტურა არავითარ საფრთხეს არ ქმნიან საბჭოთა მთავრობისათვის, პროლეტარული დიქტატურისათვის. საფრთხე გველის მხოლოდ და მხოლოდ გარედან“-ო.

როგორც ვხედავთ, „რწმენა“ კვლავ დიდია, საკმაოზე მეტია. მემარჯვენე უკლონისტები სცნობენ, რომ კლასობრივი ბრძოლა არ თამაშობს გადამწყვეტ როლს ჩვენს წინსვლაში.

ისინი სცნობენ, რომ რამდენადაც ჩვენ გვაქვს სახელმწიფო საგეგმო კომისია, რომელიც წარმოებაში კაპიტალისტური ანარქიის მაგივრად აყენებს შეგნებულ გეგმას, იმდენად კრიზისის მოვლენები საბჭოთა ეკონომიკაში უმთავრესად ხდებიან და მოხდებიან სუბიექტიური შეცდომების და გეგმიანი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებების მიზეზით.

ამგვარად გამოდის, რომ სოციალიზმის „რწმენის“ საკითხში მემარჯვენე უკლონისტები ყველას უსწრობენ წინ.

მაგრამ საქმის არსებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ამ რწმენას ახასიათებს მღვდლური სულისკვეთება და არა მარქსიზმი.

როცა სინამდვილე, რეალურ მოვლენათა განვითარება სრულებით არყევს მემარჯვენე უკლონისტების „რწმენას“, ისინი ნერვიულობენ, ბრაზდებიან სინამდვილის წინააღმდეგ და სხვ. თუ ფაქტები უარჰყოფენ მათ უბადრუკ სქოლასტიურ თეორიას, „მით უარესი ფაქტებისათვის“.

ლუდოროვაის გამოცდილება, სადაც კულაკმა სცემა 300 გლეხს იმისათვის, რომ მათ მოინდომეს მოესპოთ 49 წლის წინედ დამყარებული საადგილ - მამულო წესები, 1927 — 28 წლის პურის დამზადების გამოცდილება, როცა კულაკმა, ისარგებლა რა პროლეტარული ქალაქის სიძნელეებით პურის მიწოდების დარგში, მოახდინა აშკარა და თავისი სერიოზულობით პირველი (ახალი ეკონომიური პოლიტიკის წლების განმავლობაში) გამოსვლა პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ და მუშებსა და წითელ არმიას დაემუქრა დამშევით; კოლმეურნეობათა მშენებლობის გამოცდილება, როცა გამხეცებული კულაკი სწვავს კომუნის ხორბალს, ამტვრევს და ამსხვრევს სალეწ, სამკალ მანქანას, ტრაქტორს, ტრიერს; კულაკის შეტევის სულ უფრო და უფრო გაძლიერების გამოცდილება, როცა კულაკი კეტით ჰკლავს საუკეთესო მოწინავე კომუნისტებს, გლეხკორებს, ღარიბებს, მოჯამაგირეებს— ეს გამოცდილება ამტკიცებს, რომ სოციალიზმთან კულაკის მშვიდობიანად შეზრდის თეორია არის კულაკის აპოლოგია (დაცვა).

სოციალიზმთან კულაკის მშვიდობიანად შეზრდის თეორიის ძირითადი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ამ თეორიის ავტორებს არ ესმით, ჯეროვნად ვერ აფასებენ მარტივი საქონლის წარმოების წვრილბურჟუაზიულ ბუნებას და არ ესმით კლასობრივი ბრძოლის მექანიკა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. აქედან გამომდინარეობს — კლასობრივი მტრების, პირველ რიგში კულაკის ძალის ჯეროვნად შეუფასებლობა.

მემარჯვენე გადახრის იდეოლოგები საკმაოდ დაბეჯითებით იმეორებენ იმ ჭეშმარიტებას, რომ გლეხური მეურნეობა თავისი მასით წარმოადგენს მარტივ საქონლის წარმოებას. მაგრამ აქედან მათ გამოჰყავთ სავსებით ყალბი დასკვნა, რომ წარმოების იქით არა სდგას კაპიტალიზმი.

კაპიტალიზმი კი ემყარება წვრილი და უწვრილეს გლეხურ მეურნეობას. „მარტივი“ საქონლის გლეხური მეურნეობა წარმოადგენს კაპიტალიზმის ბაზას.

ვ. ი. ლენინი, ახასიათებდა რა საბჭოთა რუსეთის ეკონომიკას კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით, სწერდა:

„რუსეთის ეკონომიკა, პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში, წარმოადგენს უდიდეს სახელმწიფოს მთლიანი მასშტაბით კომუნისტურ ნიადაგზე გაერთიანებული შრომის პირველი ნაბიჯების ბრძოლას წვრილ საქონლის წარმოებასთან და დარჩენილ, აგრეთვე მის საფუძველზე აღორძინებულ კაპიტალიზმთან“ (ლენინი თხზ. კრებული, ტომი XVI, გვ. 348. ხაზგასმული ჩემია — ფ. ქ.).

მემარჯვენე უკლონისტებს არ ესმით სწორედ ის, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობას ახასიათებს პროლეტარული სახელმწიფოს კლასობრივი ბრძოლა იმისათვის, რომ „მარტივ“ საქონლის მწარმოებელთა ძირითადი მასის განვითარება მოხდეს კოოპერატიულ - სოციალისტური გზით.

ცხადია, როცა ლენინი ლაპარაკობს კომუნიზმის „ბრძოლაზე“ წვრილ საქონლის წარმოებასთან, მას მხედველობაში აქვს გლეხური მეურნეობის არა შთანთქვა სახელმწიფო - სოციალისტური მეურნეობის მიერ. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ წვრილი საქონლის მწარმოებლები გარდაიქმნან, გადავიდნენ კოოპერატიულ (საზოგადოებრივ), სამანქანო მიწადმოქმედების ნიადაგზე“, და განვითარდნენ სოციალიზმის გზით.

იმის ფიქრი, რომ კაპიტალიზმი მშვიდობიანად დაუთმობს სოციალიზმს წვრილ საქონლის წარმოებას, იმდენად მშვიდობიანად, რომ თვითონაც კი შეეზრდება სოციალიზმს, ნიშნავს ესერული იდეოლოგიის მსხვერპლად გახდომას, ეს ნიშნავს მარქსთან და ლენინთან კავშირის გაწყვეტას. პროლეტარიატის დიქტატურა, — ამბობს ლენინი,— სრულებითაც არ ნიშნავს კაპიტალიზმთან კლასობრივი ბრძოლის შეწყვეტას, არამედ პირიქით, კლასობრივი ბრძოლა ხდება „განსაკუთრებით ფართო, მწვავე და დაუნდობელი“. იცვლება მხოლოდ მეთოდები და ფორმები. პროლეტარული სახელმწიფოს კლასობრივი ბრძოლა იმისათვის, რომ წვრილი საქონლის წარმოება გადაყვანილ იქნას მსხვილ, კოლექტიურ სამანქანო მიწადმოქმედების ნიადაგზე, —აი, სოციალ-ეკონომიური შინაარსი კითხვისა: „ვინ-ვის“.

მემარჯვენე უკლონისტები სავსებით სქოლასტიურად მსჯელობენ პროლეტარული ქალაქის როლის შესახებ წვრილ-საქონლის სოფლის მიმართ, ისინი ლაპარაკობენ, დაახლოებით, ასე: რაკი პროლეტარულ „ქალაქის“ ხელშია ძალაუფლება — ფაბრიკები, ქარხნები, ტრანსპორტი, ბანკები, მონოპოლია, საგარეო ვაჭრობა, მიწის ნაციონალიზაცია, მაშასადამე უკვე უზრუნველყოფილია ის, რომ წვრილი საქონლის წარმოება „ძალაუნებურად“, აუცილებლად წავა სოციალიზმის გზით, მშვიდობიანად შეეზრდება სოციალიზმს, „მას არ აქვს სხვა გზა“.

სქოლასტიკა სწორედ იმით განსხვავდება მარქსისტული დიალექტიკისაგან, რომ სქოლასტიკა ცოცხალ სინამდვილეს ახრჩობს აბსტრაქციის ზღვაში, იგი საგანში ხედავს მხოლოდ „მთლიანობას“ და ამოცანად არ ისახავს აუცილებლად აღმოაჩინოს მისი წინააღმდეგობანი. „დიალექტიკა მოითხოვს შეფარდებათა ყოველმხრივ გათვალისწინებას მათ კონკრეტულ განვითარებაში (ლენინი).

როცა ამ მოთხოვნით ვუდგებით პროლეტარულ „ქალაქსა“ და წვრილ - საქონლის სოფლის შორის შეფარდების პრობლემას საბჭოთა კავშირში (ესე იგი ჩამორჩენილ გლეხურ ქვეყანაში, რომელიც კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება), ჩვენ ვხედავთ, რომ „კომუნისტურად გაერთიანებული შრომა“ (პროლეტარული ქალაქი) ჯერჯერობით გარემოცულია წვრილ - ბურჟუაზიული სტიქიით, წვრილ - საქონლის წარმოებით.

პროლეტარული ქალაქი უკან იყოლიებს წვრილ- საქონლის ეკონომიკას. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს: ისტორიულად უმოკლესი ვადის განმავლობაში გადაუხრელად და მასიური მასშტაბით იქნას გადაყვანილი წვრილი საქონლის წარმოება მსხვილ კოლექტიურ სამანქანო მიწადმოქმედების ნიადაგზე.

ძალზე სუსტია საბჭოთა კავშირში სწორედ სოციალისტური ინდუსტრია (პროლეტარული ქალაქი), რომელიც წარმოადგენს სოციალიზმის ერთად-ერთ მატერიალურ საფუძველს, ისეთ გადამჭრელ ძალას, რომელსაც შეუძლია გარდაქმნას წვრილი საქონლის წარმოება. საბჭოთა კავშირის სოციალისტური .ინდუსტრიის საწარმოო ძალები დღევანდელი ხაზით სუსტია, ამიტომაც მათ არ შეუძლიათ დაუყოვნებლივ, ფართო და მასიური მასშტაბით, შეუქმნან სოფლის მეურნეობას ახალი ტეხნიკური საფუძველი. ეს გარემოება ჰქმნის განსაკუთრებით საშიშრად კულაკობას, რადგან საქონლის წარმოების კაპიტალისტური ტენდენციების წინაშე საკმაოდ ფართო ასპარეზი იშლება თავის გამოსაჩენად, მოქმედების გასაშლელად.

რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან?

საბჭოთა კავშირის შინაგანი სოციალ-ეკონომიური სინამდვილე (წვრილი საქონლის წარმოების სიჭარბე) მთელი სიმწვავით სვამს ინდუსტრიალიზაციის საკითხს.

შეგვიძლია თუ არა დავადგეთ ინდუსტრიალიზაციის „კუსებურ“ ტემპს?

ცხადია, არ შეგვიძლია, თუ ჩვენ თავს სრულ მარქსისტულ ანგარიშს ვაძლევთ იმ კლასობრივ და სოციალ - ეკონომიურ წინააღმდეგობებში, რომლებიც საბჭოთა კავშირში ხდება. ჩვენ ყველანი, მაგალითად, სავსებით საფუძვლიანად ვამტკიცებთ, რომ იმ კლასიკური კაპიტალისტური დიფერენციაციისაგან განსხვავებით, რომელიც გლეხურ მეურნეობაში ხდებოდა, ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ხდება არა დაშლა-დარღვევა საშუალო გლეხობისა, არამედ მისი გაძლიერება, გაფართოება.

სოფლის მეურნეობაში სოციალიზმისათვის მოსამზადებელი მუშაობის თვალსაზრისით, ეს უდიდესი მნიშვნელობის დადებითი ფაქტია. ჯერ კიდევ ენგელსი ამბობდა, რომ წვრილი გლეხების რაც უფრო ნაკლებ რაოდენობას მივცემთ ნებას დაეშვას მათხოვრის მდგომარეობამდე, მით უფრო ნაყოფიერი იქნება პროლეტარული დიქტატურის მუშაობა წვრილი გლეხური საქონლის წარმოების გადასაყვანად კოლექტიური სამანქანო მიწადმოქმედების საფუძვლებზე.

სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ამოცანა მთელი სიმწვავით სვამს საკითხს ინდუსტრიალიზაციის მაქსიმალურად სწრაფი ტემპის შესახებ, რომელიც მოგვცემს სოციალისტური ინდუსტრიის საწარმოო ძალთა ისეთ ზრდას, რომ მას შეეძლება უზრუნველჰყოს წვრილი გლეხების მასიური გადასვლა კოლექტიურ სამანქანო მიწადმოქმედებაზე.

რაც უფრო მაგრდება საშუალო გლეხური მეურნეობა, რაც უფრო ფართოვდება საშუალო მასივი, მით უფრო მწვავედ ისმება წვრილი საქონლის მწარმოებლის წინაშე კითხვა: საითკენ—კაპიტალიზმისაკენ თუ სოციალიზმისაკენ?

ჩვენ წვრილი საქონლის მწარმოებლისათვის არ უნდა უზრუნველვყოთ განვითარების სოციალისტური ზრდა, ე. ი. გადასვლა მსხვილ სამანქანო მიწადმოქმედებაზე, ან იგი ქვეშ მოიქცევს მშენებლობის გზით მიმავალ სოციალიზმს და სრულ თავისუფლებას გაუხსნის წვრილ-ბურჟუაზიული ტენდენციების გამოაშკარავებას.

ტყუილად კი არ სწერდა ვ. ი. ლენინი:

„ან დაუმორჩილებთ ჩვენ კანტროლსა და აღრიცხვას ამ წვრილ ბურჟუას... ან იგი აუცილებლად და უსათუოდ დაამხობს ჩვენს მუშურ ხელისუფლებას, როგორც ამხობდნენ რევოლიუციას ნაპალეონები. და კავენიაკები, რომელთა წარმოშობაც სწორედ ამ წვრილი საკუთრების ნიადაგზე ხდებოდა. ასე დგას საკითხი. ამ უბრალო და ნათელ სიმართლეს ვერ ხედევენ მარტო მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერები, თავიანთ ფრაზიორობის გამო მშრომელ გლეხობაზე.“ .(ტ. მე-XV, გვ. 245).

სხვა ადგილას ამავე თემაზე ლენინი სწერდა.

„საშიშია თუ არა სოციალიზმისათვის გლეხთა ინდივიდუალიზმი და მისი თავისუფალი ვაჭრობა? არა.

თუ 10—20 წლის შემდეგ მოხდება ელექტროფიკაცია, ოდნავადაც არ არის საშიში წვრილი მიწადმოქმედების „ინდივიდუალიზმი“ და მისი თავისუფალი ვაჭრობა. თუ არ მოხდება ელექტროფიკაცია, სულ ერთია აუცილებელია კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება“. (გეგმა ბროშიურის „სასურსათო გადასახადის შესახებ“).

მხოლოდ მემარჯვენე უკლონისტები, ლაპარაკით გართულნი „უბრალო“ საქონლის მეურნეობაზე და სოციალიზმში კულაკის მშვიდობიან შეზრდაზე, ვერ ხედავენ ამ მარტივ და ნათელ მარქსისტულ-ლენინურ სიმართლეს.

მემარჯვენე გადახრა უარყოფს, ყოველ შემთხვევაში, სათანადოდ ვერ აფასებს კაპიტალიზმის რესტავრაციის საფრთხეს, არ აფასებს კლასობრივი მტრის ძალებს და ამით იდეურად იარაღს აცლის პროლეტარიატს სოციალიზმისათვის წარმოებულ კლასობრივ ბრძოლაში.

ლენინიზმი ხედავს ამ საფრთხეს, მიუთითებს პროლეტარიატს მისი დაძლევის შესაძლებლობაზე, აიარაღებს პროლეტარიატს სოციალისტური მშენებლობის შემოქმედებითი პროგრამით: „ეკონომიურად და პოლიტიკურად ახალი ეკონომიური პოლიტიკა სავსებით უზრუნველჰყოფს ჩვენთვის სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის აგების შესაძლებლობას“. (ლენინი)

ფ. ქსენოფონტოვი.

გამოვიდა
1-ლი მაისი
კომინტერნის ალმასკომის აგიტპროპის თეზისები მომხსენებელთათვის
ფასი 10 კაპ. გაზ. „კომუნისტი“-ს გამოცემა.
იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა
მიხ. კახიანის
„მიმდინარე მომენტი და პრესის ამოცანები“
გაზ. „კომუნისტი“-ს გამოცემა.

შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად

თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი" ეჯიბრება კოლოფების ფაბრიკას და როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკას

სამუშაო საათების გაცდენა არსენალის მექ.-საარტილერიო ქარხანაში მცირდება

ტყიბულის მაღაროების სამუშაო უბნების ათისთავები გულგრილად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. — სამუშაო საათების გაცდენა მაღაროებში მატულობს. — გავწმინდოთ წარმოება შრომის დეზერტირებისაგან

სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ იშლება

სოციალისტური შეჯიბრება არაჩვეულებრივი ტემპით იშლება. მუშათა ფართო მასები აქტიურად ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრების საქმეში და ხელს უწყობენ შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ყოველ დღე ახალ-ახალი ფაბრიკა-ქარხნები გამოდიან სოციალისტურ შეჯიბრებაში და იწვევენ ერთმანეთს შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, პროდუქციის თვითღირებულების დაწევაში, ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებაში და საერთოდ წარმოების გაჯანსაღება-გაუმჯობესებაში. მუშათა საერთო კრებებზე გამოდიან სამუშაო საათების გამცდენელები, გამოუსწორებელი ლოთები, სიმულიანტები და გმობენ თავიანთ საქციელს. ისინი ებმებიან საზოგადოებრივ მუშაობაში და აძლიერებენ კვალიფიციურ მუშათა კადრს. ბევრ ადგილას სოციალისტური შეჯიბრების ჩამტარებელი ხუთეულები აწყობენ სამუშაო საათების გამცდენელთა საზოგადო გასამართლებას და ასეთი საშუალებით ებრძვიან შრომის დეზერტირობას (ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხანა, „თელასი").

ასეთია სოციალისტური შეჯიბრების პირველი შედეგები ჩვენში. მაგრამ იმისათვის, რომ სოციალისტურმა შეჯიბრებამ მიაღწიოს მიზანს და მთელი ასი პროცენტით შეასრულოს დასახული ამოცანები, შეამციროს სამუშაო საათების გაცდენა, გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, შვიდი პროცენტით შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება და სხვ. ეს მოძრაობა არ არის საკმარისი. არ კმარა მარტო მუშათა ფართო მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში. საჭიროა წარმოებაში ჩაბმული ყველა კულტურული ძალები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ინჟინერ-ტექნიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას და ყოველ მხრივ ხელს უნდა უწყობდნენ შეჯიბრების წარმატებით ჩატარებას. დღემდე კი ამას ვერ ვხედავთ. ინჟინერ-ტექნიკოსები მეტად სუსტ მუშაობას აწარმოებენ სოციალისტურ შეჯიბრების წარმატებით ჩასატარებლად და წარმოების გასაუმჯობესებლად. ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

ასეთივე სუსტ მონაწილეობას ღებულობენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ზოგიერთი საწარმოო კომისიები და თათბირები. ბევრ ადგილას საწარმოო თათბირებმა სრულიად მიანებეს თავი შრომის დისციპლინის საკითხების განხილვას, პროდუქციის თვითღირებულების გაიაფების საკითხის დამუშავებას და სხვა. ამას საწარმოო თათბირები იმით ხსნიან, რომ საწარმოში გამოყოფილია სოციალისტური შეჯიბრების ჩამტარებელი კომისია, რომელიც ვალდებულია განიხილოს და დაამუშაოს ყველა ეს საკითხი. ეს მოსაზრება, რასაკვირველია, არ არის სწორი. საწარმოო თათბირის გარეშე ხუთეულები ვერავითარ მუშაობას ვერ აწარმოებენ. საწარმოო თათბირი მთავარი საშუალებათაგანია სოციალისტური შეჯიბრების წარმატებით ჩასატარებლად და მუშათა ინიციატივის გასაზრდელად წარმოების რაციონალიზაციის საქმეში.

მხოლოდ საწარმოო თათბირების და ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალების ფართო მონაწილეობით სოციალისტურ შეჯიბრებაში, შევსძლებთ გადუხრელად შევასრულოთ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების დირექტივები წარმოების რაციონალიზაციის დარგში.

პროფმუშაკი.

გავწმინდოთ წარმოება შრომის დეზერტირებისაგან

(ტყიბულის მაღაროები)

ტყიბულის მაღაროებში ბევრ დაუშვებელ მოვლენებს აქვს ადგილი. მაღაროს ზოგიერთი მუშები სამუშაოზე ცუღლუტობენ და უნაყოფოდ აცდენენ სამუშაო საათებს. ათისთავებიც გულგრილად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას და არ ღებულობენ ზომებს შრომის დეზერტირების და დისციპლინის დამრღვევების წინააღმდეგ. მაღაროებში ძლიან ხშირია ზოგიერთი მუშების მიერ სამუშაო დღეების სისტემატიურად გაცდენა. ასეთები უნდა განიდევნონ მაღაროებიდან.

უნდა ითქვას აგრეთვე, რომ მაღაროების და უბნების გამგეებიც დაუდევრად ეკიდებიან სამსახურს. უბნის გამგეები გვირაბებში ყოველდღე უნდა დადიოდნენ და ათვალიერებდნენ სამუშაოს. მაგრამ ისე გავა კვირეები და ხშირად თვეებიც, რომ არც ერთი გამგე გვირაბებში არ შეიხედავს.

ახალი და ძველი მაღაროებიც უნდა გაიწმინდოს ისეთ მუშებისაგან, რომლებიც სისტემატიურად აცდენენ სამუშაო დღეებს, არღვევენ შრომის დისციპლინას, სიმულიანტობენ და სხვ.

ამაზე მაღაროების ადმინისტრაციამ დროზე უნდა მიიღოს ზომები.

დევიძე.

ცნობები სამუშაო საათების გაცდენის შესახებ

თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი"

თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი", გილზების დამტენი განყოფილება

21 მარტიდან დღემდე თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარში" აღრიცხულია შინაგანი განაწესის დარღვევის 17 შემთხვევა; 21 მარტიდან—27 მარტამდე სამუშაო დღეები გააცდინა უმიზეზოდ 3 კაცმა, სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებით გაცდენილია 41 წუთი, 8 კაცი სამუშაოზე გამოცხადდა მთვრალი, რომლებიც არ იქნენ დაშვებული მუშაობაზე.

28 მარტიდან 3 აპრილამდე აღრიცხულია სამუშაოზე უმიზეზოდ გამოუცხადებლობის ერთი შემთხვევა, დაგვიანებით გამოცხადების გამო გაცდენილია 22 წუთი, სამუშაოზე მთვრალი გამოცხადდა 1 კაცი, დაზგისადმი დაუდევრობის გამოჩენის გამო გაფრთხილება მიეცა 1 კაცს.

3 აპრილიდან 10 აპრილამდე სამუშაოზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა 1 კაცი, დაგვიანებით გამოცხადების გამო გაცდენილია 59 წუთი, დაწესებულ დროზე უფრო ადრე სამუშაო მიატოვა ერთმა, მთვრალი გამოცხადდა ერთი.

11 აპრილიდან 22 აპრილამდე შრომის დისციპლინის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ შრომის დისციპლინა თანდათან მტკიცდება. ხუთეულის დაარსების დღიდან მოწვეული იყო ცალკე ცალკე სამქროების საწარმოო თათბირების სხდომა და აგრეთვე სამქროების საწარმოო თათბირის გაერთიანებული სხდომა, რომლებზედაც დასმული იყო შრომის დისციპლინის და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხები. ადგილობრივი კედლის გაზეთი, რომელიც ყოველკვირეულად გამოდის, საკმაოდ ამუქებს წარმოების გაჯანსაღების საკითხებს.

ფაბრიკის დამტენი სამქრომ შეჯიბრებაში გამოიწვია გილზების სამქრო. თვით ფაბრიკას კი ეჯიბრებიან კოლოფების და თამბაქოს პირველი ფაბრიკები.

ჯ.

არსენალის მექანიკურ - საარტილერიო ქარხანა

არსენალის მექანიკურ-საარტილერიო ქარხანაში 15 აპრილიდან 20 აპრილამდე ნამუშევარია 9.942,5 კაც-საათი. უმიზეზოდ გაცდენილია 9,5 კაც-საათი. წარსულ კვირაში კი გაცდენილი იყო 40 საათი. ამრიგად სამუშაო დროის უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები თვალსაჩინოდ შემცირებულია. სამუშაო დროის უმიზეზოდ გაცდენისათვის მუშაობიდან მოხსნილია ჩილინგაროვი და შავ დაფაზე გამოცხადებულია 2 კაცი.

სოციალისტური შეჯიბრების ხუთეული.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის

სოციალისტური შეჯიბრების წარმატებით ჩასატარებლად საქართველოს მრეწველობაში, ს.მ.უ.ს. საბჭომ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელთა ცხოვრებაში გატარება დაევალა ცალკე ტრესტებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს.

1-ლ მაისამდე ს.მ.უ.ს. განკარგულებით, ტრესტებმა უნდა ჩაატარონ ყოველგვარი საჭირო წინასწარი სამზადისი შეჯიბრების დასაწყებათ. 1-ლი მაისიდან 1-ლ ოქტომბრამდე მოეწყობა შეჯიბრება. შეჯიბრების ჩასატარებლად ცალკე წარმოებებთან და ტრესტებთან გადაწყვეტილია მოეწყოს საჩვენებელი ტექნიკური კუთხეები და ტექნიკური საკონსულტაციო ბიუროები. ეს ბიუროები განიხილავენ ისეთ საკითხებს, რომელთა მოგვარებითაც შესაძლებელი გახდება წარმოების რაციონალიზაცია, პროდუქციის ღირსების გაუმჯობესება, შრომის დისციპლინის განმტკიცება და სხვ. საკონსულტაციო ბიუროებმა უნდა გადასწყვიტონ აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენათ ხელსაყრელი იქნება წარმოებისათვის ამა თუ იმ ღონისძიების ცხოვრებაში გატარება.

მადნეულობის სამრეწველო რაიონებში შეჯიბრების დაწყების ვადისათვის (1-ლი მაისისათვის) თვითეულ უბანზე უნდა მოეწყოს რამოდენიმე საჩვენებელი ტექნიკური ბრიგადა. ტექნიკური ბრიგადებში სამუშაოდ მოწვეული იქნებიან გამოცდილი კვალიფიციური მემაღაროე-მუშები, რომლებიც მაღაროებში მუშებს უჩვენებენ, თუ როგორი წესით უნდა იმუშაონ და რა საქმე როგორ უნდა გააკეთონ მიზანშეწონილობისა და ხარჯებლიანობის თვალსაზრისით.

შეჯიბრების პერიოდში წარმოებების ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საწარმოო თათბირების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების საქმესაც და თვალ-ყური უნდა ადევნონ, რომ საწარმოო თათბირის არც ერთი საქმიანი დადგენილება არ დარჩეს ცხოვრებაში გაუტარებელი.

ა.-კ. პროფსაბჭოს დადგენილება

ა.-კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი შრომის დისციპლინის მდგომარეობის შესახებ ამიერ - კავკასიის წარმოებებში და აღნიშნა, რომ პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ადგილებზე უკვე გაშალეს კამპანია შრომის დისციპლინის ასამაღლებლად და შრომის ნაყოფიერების გაძლიერებლად. ამასთანავე პროფსაბჭო აღნიშნავს, რომ ადგილებზე (მაზრებში) კიდევ არის შემთხვევები, როდესაც პროფორგანოები იცავენ საქმის გამცდენებს; წარმოებებში სუსტად არის დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა.

სამეურნეო ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მუშების დაქირავებას, შერჩევის და მომზადების საკითხს, არ სწარმოებს გაცდენილ საათების სწორი აღრიცხვა. საერთოდ სამეურნეო ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ შრომის დისციპლინის ამაღლების და შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხს და ამ სამუშაოს მთლიანად აკისრებენ პროფორგანიზაციებს.

აღნიშნული იქნა აგრეთვე, რომ შრომის სახ. კომისარიატის ორგანოები ადგილებს არ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას.

ა.-კ. პროფსაბჭო აუცილებელ საჭიროდ სთვლის, რომ შრომის დისციპლინის ამაღლების და შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხს მიექცეს ფართო მშრომელი მასების განსაკუთრებული ყურადღება და ეს საკითხი გადაიქცეს ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელ ნაწილად. პროფორგანოებმა ფართო მშრომელ მასებს უნდა გააცნონ ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილება ამ საკითხის შესახებ და ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი ხსენებული დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

ა.-კ. პროფსაბჭოს დადგენილებით, 1 მაისისათვის ჩატარებული უნდა იქნეს შრომის დისციპლინის ასამაღლებლად წარმოებული მუშაობის შემოწმება.

გაზაფხულის თესვისათვის

გურიის სოფლის ახალგაზრდობის სკოლები და თესვა

ყველასათვის ცხადია, თუ რა როლი უნდა ითამაშონ სოფ. ახ. სკოლებმა საგაზაფხულო თესვის ჩატარების საქმეში. ამ ტიპის სკოლა დღეს სანიმუშო უნდა იყოს მშრომელი გლეხობისათვის თავისი მეურნეობით და ამ დარგში საქმის გეგმიანათ დაყენებით.

რესპუბლიკის სკოლების უმეტესობამ შესძლო ამ საქმის წესიერად დაყენება, ხოლო გურიის სკოლებმა წელს სრულებით ვერ გაამართლეს იმედები. მიუხედავად იმისა, რომ მათ წელს ყველაზე უფრო ადრე უნდა დაეწყოთ მუშაობა მეურნეობაში, როგორც ჩანს, არამც თუ ადრე, არამედ შესაძლოა ზოგიერთ მათგანმა სრულებით ვერ შეასრულოს დასახული გეგმის 20 პროცენტიც კი. საქმე იმაშია, რომ სამნეო საკანც. ხარჯების ფული, თვეში 55 მან. რაოდენობით, რომელიც უნდა მისცემოდა სკოლებს ოქტომბრიდან, ძალზე მცირეა იმისათვის, რომ წესიერად დააყენონ სკოლის მეურნეობა. ამ ფულით სკოლებმა უნდა დაიქირაონ ტექნიკური მუშაც, უნდა მოაწყონ სკოლა საჭიროებისამებრ და, რაც უმთავრესია, მეურნეობისათვის საჭირო და ყოველგვარი თადარიგი იქონიონ, მაგ.: დაზიანებული ინვენტარის შეკეთება, სათესლე მასალის შეძენა, გაზაფხულის სამუშაოსათვის მუშა-საქონლის დაქირავება და სხვა, რასაც ზემოხსენებული თანხა, ცხადია არ ყოფნის.

წელს საგაზაფხულო თესვის ჩამტარებელ სამ. კომისიის თავმჯდომარე შეჰპირდა სკოლებს ყოველგვარი დახმარების გაწევას და აღუთქვა, რომ უსათუოდ დაეგზავნებოდა მათ როგორც მიუღებელი გასული თვის, ისე წინა თვეების სამნეო ხარჯების ფული, მაგრამ დახეთ უბედურებას: ჩვენ ფულის რაოდენობაზე ვწუწუნებდით, რომ იგი ძალზე მინიმალურია სკოლებისათვის, და იმასაც ვერ ვღირსეთ დღემდის, რასაც ველოდით, ხოლო სხვა დახმარებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

არის სკოლები ჩვენს მაზრაში, რომელთაც ნოემბერ - დეკემბრიდან არ მიუღიათ ფული. სკოლებმა დაიქირავეს ტექნიკური მუშა შემოდგომიდანვე იმ იმედით, რომ მაზრა მიაწვდიდა სკოლებს ზემოხსენებულ ფულს, შეუდგნენ გეგმის განხორციელებას, მაგრამ დღეს ისინი ჩავარდნენ უხერხულ მდგომარეობაში და კერძოთ კი მათი გამგენი—აგრო-მასწავლებლები, რომელთაც დაეკისრათ პასუხისმგებლობა დაწყებული საქმის ფულადი უზრუნველყოფისათვის.

ვისი, ან რის ბრალია, რომ დღემდე სკოლებს არ ეღირსათ შეპირებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ფულის აღება,-არ ვიცით, მხოლოდ ერთი კი ცხადია: თვითეული მოსამსახურე პირის მივლინებებზე იხარჯება გაცილებით მეტი თანხა, ვიდრე იმ მთლიან ორგანიზაციაზე სკოლის სახით, რომელსაც დღეს დიდ ამოცანას უყენებს პარტია და ხელისუფლება სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში.

იმის მაგიერ, რომ ერთდროული დახმარება გაეწიოს სკოლებს, ამ დროს დაწესებული თანხაც არ ეძლევათ. და იყო შემთხვევა, როდესაც მაზრის სამფინგანმა გურიის ერთ-ერთ სკოლას (კოხნარის სოფ. ახ. სკოლა) გასულ წელს არ მისცა სამი თვის სამნეო ხარჯების ფული. ყველაფერი ეს იმას ამბობს, რომ სოფ. ახ. სკოლებს არ ყავთ ხელმძღვანელები და მათი მუშაობა მეურნეობის დარგში შემთხვევებზეა დამოკიდებული.

საჭიროა ამ საქმეს დაუყოვნებლივ მიექცეს ყურადღება განსახკომმა. აგრეთვე აუცილებლად უნდა ჩაერიოს სკოლის საქმიანობაში მიწსახკომიც, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ეს აუცილებელი ფაქტორი არ დარჩეს სრულიად უყურადღებოდ.

აგრ. ვ. შანიძე.

ადგილებზე

თესვა დაიწყო

(წერილი ზუგდიდიდან)

ზუგდიდის მაზრის ყველა თემებში 20 მარტიდან უკვე მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვა. მოსავლიანობის გადიდების მიზნით სიმინდი ითესება მწკრივად. ნათესების სივრცე წელს შარშანდელთან შედარებით გადიდდება 18—20 პროცენტით, ხოლო კოლექტივებში 45 პროცენტით. მოსავლიანობის გასადიდებლად მაზრაში სავსებით გამოყენებულია ყველა იარაღ-მანქანები, მაზრის და რაიონის აგრონომები.

მედსანშრომის პროფ. კავშირის სამაზრო პლენუმმა დაავალა ყველა ექიმებს, ექიმის თანაშემწეებს და აფთიაქის გამგეებს ყოველგვარი ზომები მიიღონ მოსავლიანობისათვის მოსავლიანობის გადიდების საქმეში დახმარებისათვის.

სოფლის პარტ. და კ. კ. უჯრედებში ეწყობა შაბათობა და სწარმოებს კოლექტიური მუშაობა.

ცეკას მოწოდება მოსავლიანობის გადიდების შესახებ სავსებით ტარდება მთელ მაზრაში. გლეხობა სრული ასი პროცენტით ატარებს ცხოვრებაში თესვის სამაზრო კომისიის მოწოდებას და გეგმებს.

ა. კოდუა.

ერწოს თემი, თბ. მაზრა

ერწოს თემში საგაზაფხულო თესვა წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ კამპანიას ხელმძღვანელობს ა. ლ. კ. კ. თემკომი და არა პარტიული კომიტეტი.

საერთოდ ხელშეკრულების (კონტრაქტაციის) თანახმად გაზაფხულზე ერწოს თემში დაითესება 110 ჰექტარი მიწა.

თემში არსებობს 6 სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომლებსაც ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობამ გაზაფხულის თესვისათვის სესხის სახით დაურიგა სათესლე ქერი და სიმინდი. ერწოს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლასთან არსებულმა ა. ლ. კ. კ. უჯრედმა გამოყო ამხანაგები და მიამაგრა სოფლის 4 წერტილს, რომ იქ ჩაატარონ საუბრები საგაზაფხულო თესვის მნიშვნელობაზე.

მუშფაცილი.

თავასის თემი, შორაპ. მაზრა

საგაზაფხულო თესვისათვის თემში რამდენიმე ჯგუფები შესდგა და კონტრაქტაციის სახით საკრედიტო ამხანაგობიდგან ღებულობენ სესხათ სიმინდს და ფულს. მაგრამ სამწუხაროდ დარიგებული სიმინდი სათესლეთ კი არა, საკვებათაც არ გამოდგება სიდამპლის გამო.

ჩვენი თემიდან გლეხები წავიდნენ დ. ჩხარში სათესლე სიმინდის მოსატანად, მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთმა მათგანმა კულაკების გასახარელი სისულელე ჩაიდინეს. გზაში, როდესაც მოდიოდნენ, იყიდეს არაყი, დათვრნენ უგრძნობლად და ყვიროდნენ: მთავრობა საჩუქარს გვაძლევს, მიტომ ვქეიფობთო.

შემდეგ მოქეიფეებს ჩხუბი მოუვიდათ და თავპირი დაალეწეს ალექსანდრე მარუაშვილს და ივანე ცინაძეს, რომლებმაც საეჭვოა რომ ამ გაზაფხულზე შესძლონ მუშაობა. ურმები გადაუბრუნდათ, სიმინდი დაეფანტათ და რაც მოხვეტეს ისიც აღარ ვარგოდა.

მეორე დღეს მოიყარეს თავი სიმინდის განაწილებლად. მთელი დღე იგზიდეს და საღამოზე ანტიპოდისტე კირკიტაძემ კინაღამ რევოლვერი ესროლა ალექსანდრე მარუაშვილს.

კულაკები განზე იდგნენ და სიხარულით ცას წვდებოდნენ ღარიბების ასეთ უსაქციელო მოქმედებაზე.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ღარიბთა შორის აღმზრდელობითი მუშაობას, რომ ასეთები შემდეგშიაც არ განმეორდეს.

მეხი.

სოფ. ვაჟა, გორის მაზრა

სოფ. ვაჟას გლეხობას (გომის თემი) თემალმასკომმა მოუწოდა არ დაუტოვონ დაუთესავი არც ერთი ნაკვეთი საყანე მიწა. გლეხები ძალზე დაინტერესებულნი არიან უნაკლოდ შეასრულონ დავალება, მაგრამ მათ დავალების შესრულებაში ხელს უშლის სათესლე ხორბლის და მუშა-საქონლის ნაკლებობა. მართალია, ნაწილობრივ აწვდიან გლეხობას სათეს ხორბალს, მაგრამ არა საკმარისად. შეპირებული სამეურნეო იარაღების შემკეთებელი გუნდიც ჯერ არსად ჩანს. საჭიროა მეტი ყურადღება არა მარტო განკარგულებებით, არამედ რეალური დახმარებით. მაგ.: 1) თესლისა და მუშა საქონლის მიწოდებით და საჭირო იარაღების შევსება-შეკეთებით.

ადგილობრივი კომკავშირელები ნაყოფიერად მუშაობენ. მათ შეადგინეს კომკავშირელთა კოლმეურნეობა და მწკრივში დათესეს საჩვენებელი ფართობი გაწმენდილი თესლით.

ჩამოაყალიბეს ღარიბ გლეხობისაგან კოლმეურნეობათა სამი ჯგუფი, თითოში შედის 10—12 კომლი. ეწევიან გლეხობაში კოლმეურნეობის სასარგებლო აგიტაციას, ეხმარებიან ყანების დათესვაში სრულიად შრომის უნაზღაურებლად. გარდა ამისა კომკავშირელები ხელმძღვანელობენ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას, რომელშიაც გაერთიანებულია 40-დე ახალგაზრდა. ხსენებულ ორგანიზაციის თბ. დეპოს შეფმა გაუგზავნა სროლის შესასწავლად „ფეკო"-ს სისტემის თოფი.

ხსენებული სოფლის გლეხობას ძალზე აწუხებს სარწყავი წყლის უქონლობა. მათი ბაღ-ბოსტნები და ყანები ნადგურდება გვალვისაგან და შრომის 20 პროცენტსაც კი ვერ ანაზღაურებს. შუა სოფელს ჩამოუდის მდ. ჰერათხევი. წინედ ამ მდინარიდან მებატონე ბეგთაბეგოვის მიერ გამოყვანილი იყო სარწყავი არხი, მაგრამ, როცა სარწყავით სარგებლობა გადავიდა გლეხებზე, არხის სათავე ვიღაც ბოროტმოქმედმა აფეთქა. მას შემდეგ უკვე ოთხი წელია, რაც 255 კომლი გლეხობა აუტანელ მდგომარეობას განიცდიან გვალვების გამო.

საჭიროა დახმარება, რომ სარწყავი არხი იქნას აღდგენილი. ეს იქნება ყველაზე უფრო დიდი სამეურნეო ღონისძიება გლეხობისათვის.

ფ. კანდელაკი.

საქ. სახკომსაბჭოში

მიწის მზომელების განაწილება

სახკომსაბჭომ დაამტკიცა მაზრებს შორის მიწის მზომელების განაწილების პროექტი.

ხსენებულ განაწილების მიხედვით თბილისის მაზრას ეყოლება 38 მიწისმზომელი, გორის მაზრას—17, კახეთის მაზრას—23, ბორჩალოს მაზრას—9, ახალქალაქის მაზრას—15, ახალციხის მაზრას—11. სულ აღმ. საქართველოს — 113. ქუთაისის მაზრას — 6, შორაპნის მაზრას—6, რაჭა-ლეჩხუმის მაზრას —3, სენაკის მაზრას—3, ზუგდიდის მაზრას —6, ოზურგეთის მაზრას—3, სულ დას. საქართველოს—27. საძოვრებზე — 6, ახალშენებისათვის—4, ტრიანგულიაციაზე—4, რკ. გზ. მიწ. რეგისტრ.—2. სულ საქართველოში —156.

გლეხთა სახლის აგება ქ. ცხინვალში

სახკომსაბჭომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ა.-კ. სახკომსაბჭოს წინაშე. ქ. ცხინვალში გლეხთა სახლის აგების დასამთავრებლად საჭირო 92.823 მან. გაღების შესახებ.

საზ-ბა „ტექნიკა-მასების" დაარსება

სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო სრულიად საქართველოს საზ-ბა „ტექნიკა მასების" დაარსება.

მიწის გაპოხიერება კირით და ტკილით

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა სას.-სამეურნეო ბანკს გამოჰყოს სპეციალური თანხა 60.000 მან. რაოდენობით კირით და ტკილით ნიადაგის გაპოხიერების მიზნით გლეხობისათვის ხუთწლიანი სესხის მისაცემად, თანახმად სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებულ საკრედიტო გეგმისა.

აფხაზეთის ტყის მრეწველობის ტრესტის ძირითადი კაპიტალის გადიდება

აფხაზეთის ტყის მრეწველობის ტრესტის ძირითადი კაპიტალის გასაძლიერებლად 500.000 მან. გადადების საკითხი დასკვნისათვის და დასამუშავებლად გადაეცა კომისიას ამხ. ლაქტიონოვის, აბესგაუზის და გ. ქიქინაძის შემადგენლობით.

მანქანა-იარაღების მომარაგების შესახებ

სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად სახკომსაბჭომ მიზანშეუწონლად სცნო მანქანა - იარაღების მომარაგების სისტემაში ახალი ინსტანციის შექმნა, რაც ეცნობა ა.-კ.-ის სახკომსაბჭოს.

ა.-კ. პროფსაბჭოში

მოზარდთა სწავლება

მოზარდთა სასწავლებლად გადადებული 73.000 მანეთი ამიერ-კავკ. პროფსაბჭომ გაანაწილა შემდეგნაირად: საქართველოს მიეცა —30.587 მანეთი, აზერბეიჯანს—32.296 მანეთი და სომხეთს—9.417 მანეთი.

კრედიტი მუშებს

ამიერ-კავკ. პროფსაბჭომ დაადგინა, რომ მუშებს კრედიტები უნდა გაეხსნას შემდეგ ქალაქების და პუნქტების სამომხმარებლო კოოპერატივებში:

საქართველოში: თბილისში (მუშკოოპი), ბათომში, ქუთაისში, ფოთში, ტყიბულში, ჭიათურაში, ბორჯომში, აზერბეიჯანში, ბაქოში, განჯაში, ნუხაში, ქედბეკში და თაუზში; სომხეთში: ერევანში, ლენინაკანში, ალავერდში, შამლუგში, კანაფში, ანში და ძორაგესში.

შეღავათიანი სამგზავრო ბილეთები ექსკურსანტებისათვის

ექსკურსანტებისათვის გამოყოფილი 3.000 შეღავათიანი სამგზავრო ბილეთი ამიერ-კავკ. პროფსაბჭომ გაანაწილა შემდეგნაირად: საქართველოს მიეცა—1.250, აზერბეიჯანს 1.250, სომხეთს—450, ხოლო სათადარიგოთ გადადებული იქნა 50 ბილეთი.

დიატომიტის ექსპორტისათვის

დიატომიტი ითვლება ერთ-ერთ უძვირფასეს საექსპორტო მადნათ, რომლისაგანაც ამზადებენ საღებავ მასალებს, ელექტრონის საიზოლიაციო მასალებს და სხვ. ამ რამოდენიმე დღის წინედ დიატომიტის ბუდობებზე ახალციხის მაზრაში გაემგზავრა სპეციალური საუწყებათაშორისო კომისია, რომელსაც დავალებული ქონდა შეესწავლა და გამოეკვლია დიატომიტის მადნის დამუშავების საქმე. დიატომიტის მადნის ბუდობები მოიპოვება ახალციხის მაზრაში სოფ. ქესათიბის მახლობლად.

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატში მიღებულია ცნობა, რომ კომისიამ უკვე გამოიკვლია მადნის გადაზიდვის და ამოღების საქმე. ამავე დროს კომისიამ შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებები მადნის ამოღების გასაუმჯობესებლად.

კომისია აღნიშნავს, რომ მადნის საწარმოებთან არსებული საწარმოო თათბირების დადგენილებები და საქმიანი წინადადებები დაუბრკოლებლივ ტარდება ცხოვრებაში, სწარმოებს მუშაობა ამოღებული მადნის თვითღირებულების შესამცირებლად 20 პროცენტით და დაწყებულია სამზადისი სოციალისტური შეჯიბრების ჩასატარებლად ქუთაისის ბარიტის ქარხანასთან.

კომისია ამასთანავე იტყობინება, რომ შემუშავებულია მადნის ამოღების საწარმოო პროგრამა, რომლის თანახმადაც მიმდინარე წლის განმავლობაში ამოღებული იქნება რამოდენიმეჯერ მეტი მადანი, ვიდრე ეს წინასწარ იყო განზრახული.

დიატომიტის ექსპორტი დაიწყება მომავალი ზაფხულიდან.

მიღების საათები ა.-კ. ცაკში

ა/კ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. **მიხა ცხაკაია** საქმეზე მოსულთ იღებს სამშაბათობით და შაბათობით 12-დან 2 საათამდე.

ა/კ. ცაკის მდივანი ამხ. **ა. დოლიძე**—ყოველდღე, გარდა ხუთშაბათისა, დილის 9 საათიდან 10-დე, სამსახურის საქმეებზე კი 10—11 ს.

ა/კ. ცაკის მდივანი ამხ. **ა. შავერდოვი**—ყოველდღე, გარდა ხუთშაბათისა, 9—10 ს.; სამსახურის საქმეებზე კი—10—11 ს.

ა/კ. ცაკის მდივანი ამხ. **ს. იაკუბოვი**—ყოველდღე, გარდა ხუთშაბათისა, 10—11 ს. სამსახურის საქმეებზე—11—12 ს.

ა/კ. ცაკის პრეზიდიუმის სამდივნოს გამგე ამხ. **გ. ბაბაევი**—ყოველდღე—9—12 ს.; ხუთშაბათობით კი—9—11 ს.

ცნობების გაცემა ა/კ. ცაკის კანცელარიაში სწარმოებს 9-დან 1-ლ საათამდე.

უმიწაწყლო გლეხების ახალ მიწებზე მოწყობა

უახლოეს 5 წლის განმავლობაში სოჭისა და ტუაპსეს რაიონებში გადასახლებული იქნება 25.000 კაცი.—წელს გადასახლებული იქნება—5.000 კაცი.—ახალ მიწებზე დასახლებულთ მეურნეობის მოსაწყობათ მიეცემათ სესხი.—გარდა ამისა ისინი 5 წლის განმავლობაში განთავისუფლებულნი იქნებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

ვინაიდან საქართველოში მიწის დიდი სივიწროვეა და მისი სიმცირე დღითი-დღე მწვავე ხასიათს იღებს მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის გამო, გადაწყვეტილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხები გადასახლებულნი იქნან სოჭისა და ტუაპსეს რაიონებში.

ამ რაიონებში ახალშენებისათვის ამორჩეულია საუკეთესო ადგილები როგორც ჰაერის, ისე მიწის ნოყიერების და ტყის სიუხვის მხრივ.

უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში სოჭისა და ტუაპსეს რაიონებში გადასახლებული იქნება 25.000 კაცი. წელს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებიდან გადასახლებული იქნება 5.000 კაცი. გადასახლების მსურველ ოჯახს მიზომილ ყოველ ჰექტარ მიწაზე მიეცემა დაუბრუნებელი სესხის სახით 150. მ., გრძელვადიან სესხათ (8 წლის ვადით) 230 მანეთი.

გადასახლებულები ხუთი წლის განმავლობაში განთავისუფლებულნი იქნებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან და პირველ 3 წლის განმავლობაში სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან.

გარდა ამისა, მათ გაეწევათ უფასო აგრონომიული დახმარება და მიეცემათ ხე-ტყის მასალა სახლების ასაგებათ. ახალშენები გაშენებული იქნება წინასწარ შემუშავებული გეგმით, რომელშიაც გათვალისწინებულია სანიტარულ-ჰიგიენიური პირობების დაცვა და სოფლების კეთილმოწყობა.

გადასახლების მსურველებს ოჯახში უნდა ყავდეთ ჯანსაღი ორი მუშა-ხელი. ამასთანავე უნდა ჰქონდეთ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და სხვ.

წინასწარი მუშაობის ჩასატარებლად თემსაბჭოებთან დაარსებულია სამეულები, რომლებსაც უნდა მიმართონ გადასახლების მსურველებმა.

თბილისის მაზრიდან წელს სოჭისა და ტუაპსეს რაიონებში გადასახლებული იქნება 200 სული. გადასახლების საქმისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად თბილისის აღმასკომმა გამოჰყო კომისია ამხ. ადიკაშვილის თავმჯდომარეობით.

გადასახლება დაიწყება 1 მაისიდან. გადასახლებულებს გზაში გაეწევათ როგორც საექიმო, ისე სხვა სახის დახმარება.

სტიპენდიების დანიშვნა სტუდენტებისათვის

ს. მ. უ. საბჭომ თავის ქვემდებარე ყველა წარმოებებს და ტრესტებს დაავალა ამთავითვე მიიღონ ზომები წარმოებისათვის საჭირო სპეციალისტთა კადრების მოსამზადებლად. ამ მიზნით წარმოებებმა უნდა აიყვანონ თავიანთ უზრუნველყოფაზე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და ინდუსტრიალური ტექნიკუმების უკანასკნელი კლასების მოსწავლეები.

წარმოებებმა და ტრესტებმა მათ უზრუნველყოფაზე აყვანილ სტუდენტებს და მოსწავლეებს უნდა დაუნიშნონ გარკვეული სტიპენდიები, რომ სტიპენდიანტებმა შესძლონ დაამთავრონ სასწავლებლები და შემდეგ მოემზადონ იმ სპეციალობაში, რომელსაც მათ დაავალებენ წარმოებები.

სტიპენდიანტები, სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ვალდებული იქნებიან იმუშაონ იმ წარმოებაში, საიდანაც მათ ეძლეოდათ სტიპენდიები.

სტუდენტებისათვის სტიპენდიების დასანიშნავად საჭიროთაა ცნობილი, რომ წარმოებებმა უმაღლეს სასწავლებლებთან და ინდუსტრიალურ ტექნიკუმებთან შეთანხმებით სტუდენტებთან დასდონ ხელშეკრულებები, რომლებშიაც გათვალისწინებულ იქნება ვადა, რომლის განმავლობაშიაც სტუდენტმა უნდა დაამთავროს სწავლა. სპეციალობის დარგი, რომლის მიხედვითაც უნდა დახელოვნდეს სტუდენტი და ის ვადა, რომლის განმავლობაში სტუდენტი მოვალე იქნება იმუშაოს წარმოებაში, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

ზაფხულის არდადეგების დროს სტუდენტებმა საწარმოო პრაქტიკის სტაჟი უნდა გაიარონ ტრესტების მიერ დასახელებულ წარმოებებში.

მზადება პირველ მაისისათვის

ცენტრალურ კომისიაში

პირველი მაისის დღესასწაულის ჩამტარებელ ცენტრალურმა კომისიამ დაადგინა სთხოვოს საქ. ცაკს, რათა მიუთითოს სამაზრო აღმასკომებს და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტებს, რომ მორალური და მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ პროფორგანიზაციებს, რომლებსაც დავალებული აქვთ პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარება.

სახკინმრეწვს წინადადება მიეცა 1 და 2 მაისს მოაწყოს მოედნებზე კინო-ფილმების ჩვენება ამავე დღეებში და 4 აპრილს მოეწყობა რადიო-გადაცემა სპეციალური პროგრამით. 1 და 2 მაისს თეატრებში და კინოებში გაიმართება უფასო წარმოდგენები და კინო-სეანსები.

2 მაისს ჩატარებული იქნება მაისობა ხუდადოვის ბაღში, კუკიის ყაზარმებში და მუხათაში. ამას გარდა 5 მაისს საზაფხულო ბაღებში მოეწყობა სახალხო სეირნობა.

ფიზკულტურელების მონაწილეობა დღესასწაულში

შემუშავებულია დღესასწაულში ფიზკულტურელების მონაწილეობის გეგმა. გეგმის მიხედვით 1-ლ მაისს დილის 8 ნახ. საათზე ფიზკულტურელები უნდა გამოცხადდნენ ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში, სადაც დაეწყობიან კოლონებად და გამოვლენ დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად. კვირას, 28 აპრილს, დღის 12 საათზე, ს. ჰ. ქ. ს. მცირე დარბაზში შესდგება ფიზკულტურის წრეების ბიუროების თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები.

ქრონიკა

მუშათა დასასვენებელი სახლები

დამთავრდა დასასვენებელ სახლებში ადგილების განაწილება ცალკე კავშირებს შორის.

მიწატყის მუშაკთა კავშირს დაეთმო —70 ადგილი, სამთომადნო მუშათა კავშირს—75, მელითონეებს — 310, ქიმიკოსებს—85, გემოკვების მუშაკებს — 210, ხეზე მომუშავეთ —70, მშენებელთ—90, მბეჭდავებს—315, ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირს —125, ადგილი, ფ.-ტელეგრაფის მუშებს—110, კომუნალურ დარგის მუშებს — 313, სახალხო კვების კავშირს—600, მედსანშრომის მუშაკებს—140, საბჭოთა სავაჭრო მუშაკების კავშირს—300, განათლების მუშაკებს — 385, ხელოვნების მუშაკთა კავშირს—75 და სხვა და სხვა დარგის მუშაკებს—75.

საკონსერვო საქმის შესწავლა

ს.მ.უ. საბჭომ გადასწყვიტა მიავლინოს საზღვარგარეთ საკონსერვო საქმის შესასწავლად ამხ. ხიმუზურაშვილი, რომელიც დაბრუნების შემდეგ იმუშავებს საქართველოს საკონსერვო მრეწველობაში.

ამავე დროს ს.მ.უ.ს. დადგენილებით დაწყებულ უნდა იქნეს ქუთაისში ახალი საკონსერვო ქარხნის აგება.

მშენებელ მუშების მომზადება

ამიერ - კავკასიაში 500 ახალი კვალიფიციური მშენებელი მუშის მოსამზადებლად მიმდინარე საბიუჯეტო წელში გადადებული 15.000 მანეთი. ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა ეს თანხა განაწილა შემდეგნაირად: აზერბეიჯანის შრომის კომისარიატს მიეცა 47 პროც., საქართველოს — 37 პროც. და სომხეთს — 16 პროც. ვინაიდან ზოგიერთ რესპუბლიკებში ,ეს თანხა საკმარისი არ იქნება მშენებლების მოსამზადებლად, ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის მიერ ნებადართულია ამ საქმეზე გამოყენებული იქნეს თანხები უმუშევრობასთან ბრძოლის ფონდიდან, რომელიც არსებობს თვითეული რესპუბლიკის შრომის კომისარიატთან.

ზედმეტ საათებში მუშაობის შესახებ

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატმა სამოქმედოთ შემოიღო ახალი დებულება ზედმეტ საათებში მუშაობის ნებართვის შესახებ. ამ დებულების თანახმად, წარმოების ადმინისტრაციამ წერილობითი შუამდგომლობა უნდა აძრას შრომის ინსპექტორის წინაშე ზედმეტი მუშაობის ნებართვის შესახებ. ამასთანავე წერილობითი მიმართვა გაგზავნილი უნდა იქნეს არა უგვიანეს ორი დღისა ზედმეტ მუშაობის დაწყებამდე. შრომის ინსპექტორი ვალდებულია ორი დღის განმავლობაში გასცეს ნებართვა ან უარი უთხრას ადმინისტრაციას და ამის შესახებ აცნობოს წარმოებას.

პასტერის სადგურის გახსნა ახალციხეში

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში მიღებული ცნობებით, ამას წინეთ ახალციხის მაზრაში ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა 30 გლეხი. იმ მიზნით, რომ ყველა ავადმყოფებს არ მოუხდეთ თბილისში ჩამოსვლა სამკურნალოთ —ჯანსახკომმა გადასწყვიტა ახალციხეში გახსნას პასტერის სადგური.

სადგურის მოსაწყობათ და ავადმყოფთა მკურნალობის ჩასატარებლად ჯანმრთელობის კომისარიატის წინადადებით პასტერის ინსტიტუტმა ახალციხეში მიავლინა სპეციალისტი ექიმი.

დახმარება ინვალიდებს

შრომის და ომის ინვალიდებისათვის ერთდროული დახმარების გასაწევათ სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა მაზრებს შორის გაანაწილა 46.000 მანეთი.

თამბაქოს მეურნეობის გასაძლიერებლად

ამიერ-კავკასიის სასოფლო - სამეურნეო ბანკმა საქ. სასოფლო- სამეურნეო ბანკს აფხაზეთში თამბაქოს საფერმენტაციო საწყობების მოსაწყობად გადასცა 125.000 მან., თამბაქოს საშრობ ქარხნის ასაგებათ—430.000 მან., ამავე ქარხნისათვის საჭირო მანქანების შესაძენად — 90.000 მანეთი და მეთამბაქოეთათვის მუშა - საქონლისა და ინვენტარის შეძენის მიზნით სესხად დასარიგებლათ 100.000 მანეთი.

5 ვაგონი ფართალი

მიმდინარე წლის კვარტალის აწგარიშზე, ა.-კ. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ და სხვა არა მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის გამოყოფილია 5 ვაგონი ბამბეული ფართალი და 146.000 მანეთის ბამბის ქსოვილები, რომლებიც განაწილებული იქნება ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მეორე ტირაჟი

26 აპრილს მოსკოვში დაიწყება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მეორე ტირაჟი, რომლის დროსაც ორივე გამოშვებით (პროცენტიანი და უპროცენტო) გათამაშებული იქნება 108.600 მოგება—11.677 მანეთის რაოდენობით.

მოგებათა გაცემის ახალი წესი

აქამდე არსებულ წესით მსხვილ მოგებათა გაცემა სწარმოებდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოგებულ ობლიგაციას შეამოწმებდა სახელმწიფო ბანკის გამგეობა (მოსკოვში). ამის გამო მსხვილ მოგებათა განაღდება ვვიანდებოდა რამოდენიმე კვირით.

ამჟამად ეს წესი შეცვლილია და ყველა სესხების მსხვილი მოგებები (1.000 მანეთიანი), გარდა 1922 წლის პირველი სესხისა და 1927 წ. მესამე საგლეხო სესხისა. გაცემული იქნება ადგილობრივ ობლიგაციის წარდგენისთანავე.

მომზადება მუშათა ფაკულტეტებისათვის

პროფსაბჭოს კულტგანყოფილება 10 მაისს თბილისში ხსნის მუშათა ფაკულტეტებისათვის მოსამზადებელ 3 თვიან კურსებს. კურსებზე იმეცადინებს 130 კაცი.

თბილისის ალმასკომში

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** ტრამვაის დირექციას გადაწყვეტილი აქვს ტრამვაის ხაზი გაიყვანოს ბოტანიკურ ბაღის გვირაბამდე.

◆ **სანიტარულ პირობების დაცვის** მიზნით ალმასკომმა დაადგინა პასუხისგებაში მისცეს ადმინისტრატიული წესით ის პირები, რომელნიც ბაზარზე გასასყიდათ გამოიტანენ სადეზინფექციო კამერაში გაუტარებელ ნახმარ ტანისამოსს.

◆ **ბიბლიოთეკა.** ალმასკომმა თავის ბიბლიოთეკა, რომელშიაც დაცულია იშვიათი და ძვირფასი წიგნები, გადასცა სახ. უნივერსიტეტს.

◆ **ეზოების მდგომარეობის გამოკვლევა.** ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგა ეზოების სანიტარულ მდგომარეობის გამოკვლევას.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **კლინიკური სანატორიუმი.** აბასთუმანში არსებული მეორე სანატორიუმი წელს გადაკეთებული იქნება კლინიკურ სანატორიუმად.

◆ **სამალარიო ექსპედიციები.** ჯანსახკომი წელს აწყობს სამალარიო - სამეცნიერო ექსპედიციებს მალარიან ადგილების შესასწავლად.

◆ **წყალტუბოში წელს გაიხსნება** სტაციონარი.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **მეფუტკრეობის კურსები.** 1 მაისიდან მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი თბილისში აწყობს მეფუტკრეობის კურსებს.

◆ **„ტყის დღე".** „ტყის დღის" ჩატარების დროს ახალი ტყეების გასაშენებლად მიწადმოქ. სახ. კომისარიატმა მაზრებს დაუგზავნა სხვადასხვა ჯიშის ხეების თესლეულობა და ნერგები.

სხვადასხვა

ხუთშაბათს, 25 აპრილს, ნაშუადღევის 3 ნახევარ საათზე მოწვეულია ლენინის სახ. სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის თანამშრომელთა საერთო კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენება პროფესორ პეტკევიჩის: „შრომის დისციპლინა ინსტიტუტში", 2) თანამოხსენება განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის.

1929 წლის სესხის ობლიგაციები. სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკ. საოლქო კანტორის თბილისის განყოფილება აცხადებს, რომ თბილისში უკვე მიღებულია 1929 წლის სესხის ობლიგაციები, რომელთა გადაცვლა გაცემულ ქვითრებზე დაიწყება 24 აპრილიდან. 1929 წლის ობლიგაციები იყიდება ყველა საკრედიტო ამხანაგობებში, შემნახველ სალაროებში და საქონლის ბირჟაზე.

◆ **საბავშო ბაღები და მოედნები.** პროფსაბჭოს დადგენილებით მუშათა კლუბებსა და ბაღებთან ეწყობა საბავშო ბაღები და მოედნები.

◆ **კინოს მეგობართა საზოგადოებაში.** 24 აპრილს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში საბჭოთა კინო ავტორების მეგობართა საზოგადოება აწყობს ახალ კინო-სურათის—„ხაზი-კაბის" საზოგადო განხილვას.

ბორჯომის რაიონის მუშ-გლეხკორთა თათბირი

კვირას, 21 აპრილს, ბორჯომის რაიკომის აგიტპროპგანყოფილების ინიციატივით მოწვეულ იქნა ბორჯომის რაიონის მუშკორთა, გლეხკორთა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრთა თათბირი. თათბირის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება მუშგლეხკორთა მე-4 საკავშირო და სრ. საქართველოს პირველი თათბირის შედეგების შესახებ; 2) ბორჯომის რაიონში კედლის გაზეთების გამოკვლევის შედეგები. თათბირს დაესწრენ გაზ. „კომუნისტის" რედაქციის წარმომადგენელი ამხ. ელიაძე და გაზ. „რაბოჩაია პრავდა"-ს წარმომადგენელი ამხ. გალკინი.

პრეზიდიუმისა და სამდივნოს არჩევის შემდეგ დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებები გააკეთეს ამხ. ელიაძემ და გალკინმა. მომხსენებლებმა ვრცლად გააშუქეს საკავშირო და სრ. საქართველოს მუშგლეხკორთა თათბირების მიერ მიღებული დადგენილებანი და უმთავრესი ყურადღება მიაქციეს მუშგლეხკორთა მოძრაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლის საკითხს. განმარტეს აგრეთვე, თუ რა ამოცანები აქვს დღეს დასახული პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას და რა მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშგლეხკორებმა ამ ამოცანების განხორციელების საქმეში.

მოხსენების დამთავრების შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. გოგოლაძის მოხსენება ბორჯომის რაიონში კედლის გაზეთების გამოკვლევის შედეგების შესახებ, მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ადგილობრივი კედლის გაზეთები ნაწილობრივ აკმაყოფილებენ თავიანთ დანიშნულებას, მაგრამ თვითეულ მათგანს ჯერ კიდევ აქვს მნიშვნელოვანი ნაკლი. მაგალითად: კედლის გაზეთები გამოდის ძალზე დაგვიანებით, ან და რომელიმე რევოლიუციონური დღესასწაულის დროს. გაზეთების გამოცემა უხდებათ სარედაქციო კოლეგიის ერთ ან ორ წევრს, დანარჩენები არ აწარმოებენ აქტიურ მუშაობას, არ სწარმოებს მუშკორთა და შემოსულ წერილების აღრიცხვა, მწვავედ სდგას საკითხი კედლის გაზეთებში გამოქვეყნებულ შენიშვნებზე ზომების მიღების შესახებ, უმრავლეს შემთხვევაში გამოქვეყნებული მხილებითი შენიშვნები უყურადღებოდ რჩება, რადგან არც ადმინისტრაციის წარმომადგენლები და არც პარტ-პროფორგანოები არ იღებენ საჭირო ზომებს, თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა მუშგლეხკორთა ცოდნის ამაღლების საქმეს, არ მოიპოვება ნაციონალურ ენაზე სათანადო ლიტერატურა და სხვა.

მოხსენების ირგვლივ შემოვიდა მთელი რიგი შეკითხვები და კამათში მონაწილეობა მიიღო ოცამდე ამხანაგმა.

ექცევა თუ არა ყურადღება ცენტრალურ გაზეთებში მოთავსებულ შენიშვნებს და რა შედეგები მოაქვს მას, რატომ გვიანდება რედაქციებში მუშგლეხკორთა მიერ გაგზავნილი წერილების გაზეთში გამოქვეყნება, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს მუშკორათ, ან გლეხკორათ ისინი, ვინც მხოლოდ კედლის გაზეთში თანამშრომლობენ, რატომ პასუხს არ აძლევს რედაქცია მუშგლეხკორებს დაუბეჭდავ წერილებზე — ასეთი იყო შემოსული შეკითხვების მთავარი შინაარსი. მომხსენებლებმა ამომწურავი პასუხი გასცეს შემკითხველებს, რის შემდეგ გაიხსნა კამათი.

კამათში მონაწილე ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ მუშგლეხკორთა მოძრაობის მასიურად გარდაქმნას ხელს უშლის სათანადო ლიტერატურის უქონლობა, ადგილებზე მუშგლეხკორებს არა აქვთ დირექტივები, თუ როგორ უნდა იმუშაონ და რას უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება, არის შემთხვევები სარედაქციო კოლეგიების დანიშვნის პარტუჯრედის და ადგილკომის მიერ, ზოგიერთ სარედაქციო კოლეგიებში შედიან ადგილკომის და უჯრედის მდივნებიც, რაც აფერხებს თვითკრიტიკის ჯანსაღ დონეზე დაყენებას, არის შემთხვევები, როდესაც რომელიმე მუშკორი ან გლეხკორი სწერს კერძო ინტერესზე აგებულ წერილს და შეცდომაში შეყავს რედაქცია. ყველაფერი ეს ხდება მუშგლეხკორთა მოძრაობაზე ხელმძღვანელობის სისუსტით. მოკამათენი აუცილებელ საჭიროდ სცნობენ თათბირის მიერ მიღებულ დადგენილებების უნაკლოდ ცხოვრებაში გატარებას, მუშგლეხკორთა ლიტერატურის გამოცემას ნაციონალურ ენაზე და ხელმძღვანელობის გაძლიერებას, როგორც პარტორგანიზაციების, ისე რედაქციების მხრივ.

მომხსენებელთა საბოლოო სიტყვის შემდეგ თათბირმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, როგორც დღის წესრიგის პირველ, ისე მეორე საკითხების ირგვლივ. მუშგლეხკორთა საკავშირო და სრ. საქართველოს თათბირის შედეგების შესახებ მიღებული რეზოლიუციაში თათბირი უერთდება ყველა იმ დებულებებს, რომლებიც მიღებულია მუშგლეხკორთა მოძრაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე გადასვლის შესახებ და სხვათა შორის აღნიშნავს: „კერძოთ დღევანდელი პერიოდის უმთავრეს ამოცანად ბორჯომის რაიონში მუშგლეხკორთა თათბირი აღიარებს წარმოებებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ხელის შეწყობას, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ გადამჭრელ ბრძოლას და თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარების საქმეში, მშრომელი გლეხობისადმი დახმარებას. ამ ამოცანების განხორციელებისათვის ბორჯომის რაიონის მუშგლეხკორები მიიღებენ ენერგიულ ზომებს და ყოველ მხრივ შეუწყობენ ხელს პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივების ცხოვრებაში გატარებას".

თათბირმა მისალმებისათვის დელეგაცია გაუგზავნა ბორჯომის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობას, რომლის სხდომები იმავე დღეს სწარმოებდა.

თავის მხრივ რწმუნებულთა ყრილობიდან თათბირს მიესალმა ამხ. მაისურაძე, რომელმაც განაცხადა, რომ მუშგლეხკორთა საქმიანი შენიშვნებით და მითითებებით ჩვენ ყოველთვის ვასწორებთ არსებულ ნაკლს და ამიერიდან ხელი-ხელ ჩაკიდებული ვიმუშავებთ ყოველგვარი ნაკლის თავიდან ასაცილებლად. ამხ. მაისურაძის საპასუხო სიტყვით მიმართა ამხ. ებრალიძემ.

თათბირი ატარებდა მეტად საქმიან ხასიათს და უეჭველია მისი მუშაობა დიდად შეუწყობს ხელს მუშგლეხკორთა მოძრაობის გაჯანსაღებას.

დამსწრე.

სამტრედია-ბათომის რკინისგზელთა მე-10 კონფერენცია

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

კონფერენციამ მე-4 დღეს, საღამოს გამოყო კომისიები საუბკომებისა, დამზღვევ სალაროებისა და „ზაკტპის" მოხსენების გარშემო პრაქტიკული ღონისძიებების გამოსამუშავებლად.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა მოძრაობის დარგის 1-ლი განყოფილების უფროსის მოხსენება.

19 აპრილის, დილის სხდომაზე მოძრაობის დარგის 1-ლი განყოფილების მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღო 14 კაცმა.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა 1-ლ განყოფილების უფრ. მოადგილის ამხ. დოლობერიძის საბოლოო სიტყვა, რის შემდეგ არჩეულ იქნა კომისია პრაქტიკულ მითითებების გამოსამუშავებლად.

ვინაიდან კონფერენციის მუშაობა ძალზე გაგრძელდა, დღის წესრიგიდან მოიხსნა პირველი და მეორე უბნის წევის დარგის უფროსის მოხსენება.

საღამოს, უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის, მოხსენება, შემდეგ კი განიხილეს კომისიების მიერ დამუშავებული პრაქტიკული რეზოლიუციები საუბკომებისა, დამზღვევ სალაროს, „ზაკტპის" და მოძრაობის პირველი განყოფილების მოხსენებათა გარშემო.

ამავე სხდომაზე გადაწყდა საკითხი ბათომის დამზღვევ სალაროსთან წყალონსების სალაროს გაერთიანების შესახებ. დაბოლოს არჩეულ იქნა საუბნო კომიტეტის ახალი შემადგენლობა 29 წევრისა და 7 კანდიდ. შემადგენლობით. დამზღვევი სალაროს კომიტეტი 15 წევრისა და 3 კანდიდატისაგან და სარევიზიო კომისია.

გამოიყო 3 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც მოახდენს ბათომის საუბნო კომიტეტის ლიკვიდაციას.

ყრილობას სიტყვით მიმართა ამხ. საზაშვილმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ბათომ-სამტრედიის უბნის რკინისგზელთა მე-10 კონფერენციის უდიდესი აქტიობა.

საუბნო კომიტეტის პლენუმი

ამავე საღამოს შესდგა საუბნო კომიტეტის პირველი პლენუმი, სადაც არჩეულ იქნა პრეზიდიუმი 9 წევრისა და 3 კანდიდ. შემადგენლობით. პრეზიდიუმში არჩეულია: ამხ. ვ. ჩაჩუა (საუბკომის თავ-რე), გრ. ჯვარშეიშვილი (პ.-მგ. მდივანი), კ. ქუთათელაძე (კულტ. განყ. გამგე), თ. დუნდუა (სატარ. ეკ. განყ. გამგე), კ. ბუაძე, ვლ. კეთილაძე, შილოვი, ჯვარშეიშვილი და სახოკია.

დამზღვევ სალაროს პრეზიდიუმში არჩეულია: ა. ტოფაძე (თავმჯდომარე), დ. ჯვარშეიშვილი, კ. ჩაჩუა, ამაღლობელი, დავ. დუნდუა. შრომის ინსპექტორად გამოყოფილია ამხ. ვლ. კაცაძე.

ჰ. ლ—ი.

მეაბრეშუმეობა კახეთის მაზრაში

(წერილი კახეთიდან)

თუ წინედ აბრეშუმის პარკის მოყვანას კახეთში თითქმის არავითარი, ან ძლიერ ნაკლები ყურადღება ექცეოდა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით კი 1925 წლიდან მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის ბევრი რამ გაკეთდა.

აბრეშუმის ჭიის მოყვანას ხელს უშლიდა უმთავრესად თუთის ხის სიმცირე, ძალიან ხშირად მოსახლეობა ჭიის თესლს იძენდა, გამოჩეკავდა, ხოლო შემდეგ, ფურცელი აღარ ჰყოფნიდა უჭმელობისგან ჭია ფუჭდებოდა და გლეხს გული უცრუვდებოდა.

უპირველეს ყოვლისა ხელისუფლების და „საქ. აბრეშუმის ტრესტის" ყურადღება მიქცეული იყო თუთის ხეების გავრცელებისაკენ, რისთვისაც კახეთის რაიონებში მოეწყო თუთის სანერგეები. ამჟამად სანერგეები მოწყობილია ლაგოდეხში, წნორზე ველისციხეში, ზინობიანში, თელავში, ფშაველში და ახმეტაში. სანერგეები არე შეიცავს 34 ჰექტარს.

წელს კახეთში დარიგდა 160 ათასი თუთის ნერგი, სულ უსასყიდლოთ. გლეხობას დიდი ხალისით მიჰქონდა ნერგი, უპირატესობა რასაკვირველია ეძლეოდა კოლ. მეურნეობებს და კომუნებს.

თუ როგორი დიდი ყურადღება ექცევა თუთის ხეების გამრავლებას, რომელზედაც დამოკიდებულია პარკის მოსავლიანობის ზრდა, სხვათა შორის იქიდანაც ჩანს, რომ წელს სანერგეებში გადაირგება 2½ მილიონი ჩითილი (ერთი წლის თუთის ხე), ნახევარი მილიონი კახეთში, ხოლო ორი მილიონი გაიგზავნა დასავლეთ საქართველოს სანერგეებში

1928 წელს დაითესა ½ ჰექტარი თუთა, ხოლო წელს უნდა დაითესოს 2½ ჰექტარი.

რაც შეეხება თვით აბრეშუმის ჭიის მოყვანას, ყოველნაირი წინასწარი სამზადისი უკვე ჩატარებულია მთელ კახეთში.

წელს კახეთში ნავარაუდევია დარიგდეს 6.500 ყუთი, შარშანაც ამდენი დარიგდა, მაგრამ თუ მოთხოვნილება იქნება, შეიძლება დამატოს. თესლი დარიგდება საკვები ფურცლის მარაგის წინდაწინვე გამოკვლევის შემდეგ და თვით ჭიის ზრდის (მოყვანის) პროცესში ექნება მუდმივი მეთვალყურეობა ინსტრუქტორების მიერ.

თესლი გაცოცხლდება ინკუბაციების საშუალებით, რომელიც უკვე მოწყობილია კახეთის 5 რაიონში: ჯუგაანში, ლაგოდეხში, ფშაველში, ახალ-სოფელში და თელავში.

ინკუბაციის მნიშვნელობის შესახებ საუბრები ჩატარებულია ყველგან და ინსტრუქტორების მიერ მიღებულია ზომები მეაბრეშუმეობის არტელების დაარსების შესახებ სოფლად. ასეთ არტელებს მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება და შეღავათები. უსასყიდლოთ მიეცემათ ჭიის თესლი, თერმომეტრები, და დაუბრუნებლივ დახმარება 20 მანეთამდე. აგრეთვე ყველა არტელებთან მოეწყობა ჭიის სანიმუშო გამოკვება ინსტრუქტორების მეთვალყურეობით.

კერძო პირთ მიეცემათ უპროცენტო სესხი, ხოლო მოყვანილ აბრეშუმის პარკში თუ მოისურვებენ მიიღებენ მთელ ღირებულებას ფარჩით, თუ არა და ფულს.

ინკუბატორები დაურიგდებათ აგრეთვე როგორც არტელებს, ისე სოფლის სამეურნეო სკოლებს, თუ-კი ესენი ითავებენ ჭიის მოყვანას.

მოსამზადებელი კამპანია უკვე ჩატარდა სოფლად როგორც „საქართველოს აბრეშუმის" ტრესტის ინსტრუქტორების საშუალებით, ისე პარტიული ხაზით და ყველა ის შეღავათები, რომელიც ეძლევათ წელს მეაბრეშუმეთ, იმის თავდებია, რომ თუ 1928 წელს კახეთში მოვიდა 8748 ფუთი პარკი, მიმდინარე წელს ამ რიცხვს ბევრით უნდა გადააჭარბოს პარკის მოსავალმა.

ვან—ლი.

გლეხთა ცენტრალურ სახლის მუშაობა

მეოთხე წელიწადია, რაც საქართველოს ცაკმა დაარსა გლეხთა ცენტრალური სახლი. პირველ 2 წელიწადს სახლის მუშაობა ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. მაგრამ გასულ წლიდან სახლის მუშაობა შესამჩნევათ გაძლიერდა, რის გამო გაიზარდა სახლში მოსიარულე გლეხთა რიცხვი. ასე, მაგალითად 1926-27 წელს სახლში ღამე გაათია 13.000 კაცმა, 1927-28 წელს კი 17.000 კაცმა.

აქედან გასულ წელს უფასო სადილი მიეცა 3.000 კაცს, ფასდაკლებით — 4.000. იურიდიული დახმარება აღმოჩენა — 600 კაცს, უფასო საექიმო დახმარება — 1.000, სახლთან მოწყობილ აბანოთი ისარგებლა 13.000 კაცმა.

ამასთანავე ერთად გაძლიერდა კულტურული მუშაობა ჩამოსულ გლეხთა შორის: გასულ წელს გლეხებისათვის საჭირო საკითხებზე სულ წაკითხული იქნა 194 ლექცია, 123-ჯერ მოეწყო სხვადასხვა კინო-სურათების ჩვენება და 7 წარმოდგენა. სამკითხველოთი ისარგებლა 9.000 კაცმა, რადიო-კონცერტები მოისმინა — 19.000 კაცმა, ამავე დროს განმავლობაში მოეწყო სახლში დროებით მობინადრე გლეხების ექსკურსიები თბილისში არსებულ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების დასათვალიერებლად. გარდა ამისა გლეხებს უფასოთ დაურიგდა სასოფლო - სამეურნეო ხასიათის 7.000 ცალი წიგნი.

გასულ წელს სახლთან მოეწყო ბაკი, რომელშიაც გაიარა 10.000 ცალმა ურემმა და 30.000 სულმა საქონელმა.

სახლთან მოეწყო სასოფლო - სამეურნეო მუზეუმი, სადაც თავმოყრილია გლეხობისათვის საინტერესო ექსპონატები. მუზეუმში გლეხებს შესაფერ ახსნა-განმარტებას აძლევს სპეციალურათ გამოყოფილი პირი.

შარშანვე სახლთან გაიხსნა კოოპერატივი, სადაც სახლში ჩამოსულ გლეხებს შეუძლიათ შეღავათიან ფასებში შეიძინონ ტანისამოსი, სასოფლო - სამეურნეო მანქანები და სხვა პირველ საჭიროების საგნები.

გარდა ამისა საანგარიშო დროის განმავლობაში გლეხთა ცენტრალურმა სახლმა მაზრებში გახსნა გლეხთა 17 სახლი, ამჟამად მაზრებში სულ არსებობს 20 სახლი, რომელსაც შესაფერ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევს გლეხთა ცენტრ. სახლი.

როგორ ჩატარდა წითელი ყაზარმის დათვალიერება მაზრებში

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ ჯამი გაუკეთა ადგილობრივ პროფორგანიზაციების მონაწილეობას წითელი ყაზარმის დათვალიერებაში.

სამაზრო ორგანიზაციებიდან წითელი ყაზარმის დათვალიერება განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა ქუთაისის მაზრაში და აჭარისტანში. მთელ რიგ მაზრებში, მაგალითად, სამხრეთ-ოსეთში, ბორჩალოს და რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში და ფოთის რაიონში კამპანია არ ყოფილა ჩატარებული, რადგან ამ ადგილებში არ არის ყაზარმები. გორში მოწყობილია 5 საღამოს სკოლა წითელარმიელებისათვის; სკოლები უზრუნველყოფილია თანხებით და პედაგოგიური პერსონალით.

აჭარისტანში გარდა ყაზარმების დათვალიერებისა და წითელარმიელებისათვის წარმოდგენა-საღამოების მოწყობისა, შეგროვილია მნიშვნელოვანი თანხები, რომლითაც წითელარმიელებისათვის შეძენილია მუსიკალური ინსტრუმენტები, ლიტერატურა, ბელადების პორტრეტები, სუფრები, იატაკის ხალიჩები, წიგნები, ჭაფები და სხვა.

გურჯაანში მიღებულია დადგენილება ნახევარი დღის ხელფასის გადადების შესახებ წითელარმიელთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ქუთაისში, გარდა წერილი საჩუქრებისა, გადადებულია სატყეო მასალა, წითელარმიელებისათვის შეძენილია მაგიდები, სკამები, სამართებლები, გამოწერილია ჟურნალ-გაზეთები, გადადებულია თვიური ხელფასის 1 პროც., შეძენილია დიდძალი ლიტერატურა და სხვა.

არმიის შეფებიდან ნაკლებ დამაკმაყოფილებელი იყო კამპანიაში მონაწილეობა განათლების მუშაკთა კავშირის მხრიდან. საერთოდ, განათლების და ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირების კავშირი არმიასთან მეტად სუსტია.. როგორც არმიის კომისიის დასკვნიდან ჩანს, აღნიშნულ კავშირებს თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ წითელი ყაზარმისათვის, არ ყოფილა ყოველდღიური პრაქტიკული კავშირი წითელ ყაზარმასთან.

საერთოდ, წითელი ყაზარმის დათვალიერების კამპანია დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული და მან დადებითი შედეგები გამოიღო იმ მხრივ, რომ განმტკიცდა მუშათა ორგანიზაციების კავშირი წითელ არმიასთან.

ჩვენი ექსპორტი

ღვინო

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა წელს პირველად დაამზადა 70.000 ვედრო საექსპორტო იმერული ღვინო, რომელიც გატანილი იქნება, უმთავრესად, გერმანიაში. ეს ღვინო დამზადებულია სპეციალურად ევროპული წესით.

ამას გარდა შორეულ აღმოსავლეთში გასატანად დამზადებულია 10.000 ვედრო ღვინო.

ბორჯომის წყალი

ბორჯომის წყალის ექსპორტი მიმდინარე სეზონში ძალიან გაიზარდა წინა წლებთან შედარებით. გარდა ექსპორტის გაფართოებისა, ბორჯომის წყალი იპყრობს ახალ ბაზრებს. წელს პირველად იგზავნება პოლონეთში 22.000 ბოთლი წყალი. სპარსეთში იგზავნება 22.000 ბოთლი. ამას გარდა ჩინეთიდან და მანჯურიიდან მიღებულია შეკვეთები 33.000 ბოთლზე.

არგენტინიდან მიღებულია მოთხოვნილება ბორჯომის წყალის საცდელ პარტიაზე. საცდელად იგზავნება 40 ყუთი წყალი.

22.000 ბოთლი წყალი დამზადებულია სპეციალურად შორეულ აღმოსავლეთის სავაჭრო სამმართველოსათვის, რომელიც მას გაავრცელებს აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ფარგლებში.

ამრიგად, საექსპორტოდ უკვე დამზადებულია 10 ვაგონი ბორჯომის წყალი. სულ განზრახულია გატანილი იქნეს 1.500.000-დე ბოთლი წყალი.

ხელოვნება

„ყვარყვარე თუთაბერი“— პიესა პ. კაკაბაძის, დადგმა გ. სულიაშვილის, მხატვარი დ. კაკაბაძე.

როგორც ცნობილია, ნამდვილი კომედია —აშენებული ახალ თემატიურ მასალაზე, ჩვენში ჯერ კიდევ არ არსებობს. კომედიის სფეროს კი, სად დაცინვას ჩვენი სინამდვილის უარყოფით მხარეებზე, უდიდესი როლი შეუძლია ითამაშოს ცხოვრების ახალი ფორმების დამკვიდრებაში. ამ მხრივ ყოველგვარ ცდას თანამედროვე, აქტუალური თემების კომედიის ფორმით დამუშავებისა, უეჭველად უნდა მივესალმოთ.

პ. კაკაბაძის კომედიის „ყვარყვარე თუთაბერის“ სახით, რომელიც ქუთაის-ბათომის სახ. თეატრის მორიგ პრემიერად წავიდა, ერთ-ერთ ასეთ ცდასთან გვაქვს საქმე. კომედიის მთავარი გმირია ყვარყვარე თუთაბერი — ნაცარქექია, რომელიც ოცნებობს რკინის გზების გაყვანაზე და აწყობს სხვადასხვა გეგმებს. ყვარყვარე თუთაბერი კომედიური პერსონაჟების ისეთ კატეგორიას ეკუთვნის, რომლის სულიერ ძალთა წონასწორობა დიდათაა დარღვეული. თუთაბერი, როგორც ეს პირველ მოქმედებაში წარმოდგენილია, არ არის რეალური ტიპი, მატარებელი გარკვეული სოციალური თვისებების, არამედ ნიღაბი და შეიძლება ითქვას ერთგვარი ნალექი წარსულ გადაგვარებულ ფორმათა.

იმპერიალისტური ომის პერიოდი. ბრძოლა სწარმოებს ოსმალეთთან. რევოლიუციონური ბოლშევიკი შემოიჭრება წისქვილში, რომელიც ბრძოლის ხაზთან ახლოს იმყოფება. მას მისდევენ მეფის აგენტები შესაპყრობად, მაგრამ იგი იმალება წისქვილში და ჯარისკაცთ ხელში შერჩებათ თუთაბერი, რომელსაც რევოლიუციასთან არავითარი საერთო არა აქვს. თუთაბერი სრულიად შემთხვევით, თითქოს რევოლიუციონერი ხდება. ამ მომენტში იქმნება ე. წ. კომედიური მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ მთავარი გმირის ასეთი მდგომარეობა მიღწეულია იმ ხერხის მიხედვით, რომელიც მაგ. გამოყენებული აქვს გოგოლს „რევიზორში“, ცხადია აქ სულ სხვა სოციალურ ფონზე.

მეორე მოქმედებაში კომედიური ბრძოლა ვითარდება. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ავტორმა ვერ შესძლო ბოლომდე მიეყვანა თავიდანვე აღებული გეზი. ამიტომ მესამე და მეოთხე მოქმედება მეტად სუსტი გამოვიდა. რაც მთავარია ჩვენ გვინდა მივუთითოთ იმაზე, რომ მკრთალად არის მოცემული რევოლიუციონერთა სახეები: გულთამზე და სევასტი. ეს უკანასკნელი გამოჩნდება მხოლოდ პირველ და უკანასკნელ მოქმედებაში და შესაფერ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ რაც არ უნდა სააგიტაციო ხასიათის იყოს ლოზუნგები, რომელიც სცენიდან მოისმის, ისინი ვერ მოახდენენ მაყურებელზე ეფექტს, თუ არ წარმოიშობიან, როგორც ბუნებრივი, ემოციონალურ - იდეური რეზიუმე მოვლენათა განვითარების პროცესში. ეს კი ამ კომედიაში არ არის. თითქმის ყველა რევოლიუციონერთა ტიპები უფრო მექანიკურად არიან დაკავშირებულნი იმ ამბებთან, რომელიც კომედიაშია ნაჩვენები.

კომედიის უკანასკნელი მოქმედება მოგვითხრობს თუთაბერის მოღვაწეობაზე უკანასკნელ პერიოდში, ბოლშევიკების დროს. უნდა ითქვას; რომ თუთაბერის „მოღვაწეობა“ ვერ არის მოცემული შესაფერ სოციალურ ფონზე. თუ რას წარმოადგენს კომედიის ის ორი პერსონაჟი, რომელიც თან ახლავს თუთაბერს, რომელ სოციალურ კატეგორიას ეკუთვნის ეს ხალხი, გაურკვეველი რჩება. შემდეგ ვფიქრობთ, რომ ვერ სტოვებს ვერავითარ შთაბეჭდილებას მათი ისეთი უკიდურესი გაშარჟება, როგორც ეს თეატრს მოუხდენია. სრულიად უადგილოა ეს პორტფელები და ელსმენები. მთელს კომედიაში სცენიური სისრულის მხრივ, დამუშავებულია მხოლოდ თუთაბერის სახე. **უ. ჩხეიძემ** ეს როლი ბრწყინვალედ ჩაატარა. მთავარი, რაც აღსანიშნავია ნიჭიერ მსახიობის თამაშში — ეს არის განცდათა ბუნებრიობა და უშუალობა. შემდეგ აღვნიშნავთ **კვანტალიანს** (ქუჩუტა). ქალებს შორის თავის სიმაღლეზე იდგა **ც. წუწუნავა**, რევოლიუციონერი ქალის მკრთალი სახე მოგვცა **თ. ჭავჭავაძემ.**

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კომედია გარდა პირველი და მეორე მოქმედებისა სტოვებს დაუმთავრებელი ნაწარმოების შთაბეჭდილებას. კომედიის ზოგიერთი პერსონაჟები სცენიურად ვერ იყვნენ სათანადოთ დამუშავებულნი.

მ.

სასამართლო

ბიცოლას მოკვლა რომანიულ ნიადაგზე

ტობანიერის თემში (ქუთ. მაზრა) სოფელ მთის-ძირში მცხოვრებთა შორის დიდი მითქმა-მოთქმა იყო, როცა გამომჟღავნდა, რომ **ბაგრატ ანტონისძე ანდღულაძე** ცოლ-ქმრულ დამოკიდებულებაში იყო თავის ქვრივ ბიცოლასთან **მარო ანდღულაძესთან.**

მშობლებმა გაჰკიცხეს ბაგრატის საქციელი და კატეგორიული წინადადება მისცეს გაეწყვიტა ბიცოლასთან ყოველგვარი კავშირი. მაროსაც წინადადება მისცეს დაეტოვებია ანდღულაძეების ოჯახი. ბაგრატის ასეთი კავშირი მაროსთან უდაოდ დადასტურებული ფაქტი იყო. ერთხელ სისხლის სამართლის საქმეც იყო აღძრული მათ წინააღმდეგ. მხოლოდ ბრალათ ედებოდათ ფარული ურთიერთობის დროს შეძენილი შვილის მოკვლა იმ მიზნით, რომ მათი ერთად ცხოვრების ფაქტი არ გამომჟღავნებულიყო.

სასჯელისაგან განთავისუფლების შემდეგ ბაგრატი, რომლის წინააღმდეგ ამხედრებული იყვნენ ყველა ნათესავები, სტოვებს სოფელს და მიემგზავრება სოხუმში. ბიცოლა მაროც მიდის თავის მშობლების ოჯახში.

ისინი თითქმის დაშორდნენ ერთმანეთს. მაგრამ გადის დრო, ბაგრატი ვერ ურიგდება მაროს სიშორეს, ჩამოდის ისევ სოფელში და უცხადებს მშობლებს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს გაეყოს ოჯახს, დასახლდეს ცალკე და იცხოვროს თავის ბიცოლასთან.

მიუხედავად მშობლების წინააღმდეგობისა, ბაგრატ ანდღულაძემ არ გადათქვა თავისი გადაწყვეტილება. გამოეყო ოჯახს და შეუდგა ცალკე დასახლებას.

მაგრამ აქ მოხდა ბაგრატისათვის მოულოდნელი ამბავი: ბიცოლამ კატეგორიული უარი შემოუთვალა მას ცოლად გაყოლაზე, თუ „მტრებს“ თავიდან არ მოიშორებდა. ეს მტრები კი იყვნენ ამ საქციელით აღშფოთებული ნათესავები.

ტყვილად ჩაუარა ბაგრატ ანდღულაძეს ხვეწნა - მუდარამ. მარომ საბოლოოდ ჩამოშორება გადასწყვიტა.

და ერთ დღეს, გასული წლის 27 ნოემბერს, ბაგრატ ანდღულაძე მიუვარდა ბიცოლას სახლში, ამოიღო წინასწარ მომზადებული ხანჯალი და ჩასცა გულში. მომაკვდავ მაროს ანდღულაძემ კიდევ ექვსი ჭრილობა მიაყენა სხვადასხვა ადგილას. ქალი გარდაიცვალა. ბაგრატ ანდღულაძე დაპატიმრებულ იქნა.

საქმე გაარჩია ქუთაისის მაზრა - ქალაქის სასამართლომ ამხ. **მახხულიას** თავმჯდომარეობით.

ბაგრატ ანდღულაძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლით სასტიკი იზოლიაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ უფლებების აყრა 5 წლის ვადით.

მხეცი ქმარი

პოლიკარპე ლაზარეს ძე ჟორჟოლიანი ზიზღს იწვევდა სოფელ შაღლაკის (ქუთ. მაზრა) მცხოვრებთა შორის თავის ცოლისადმი უდიერი მოპყრობით.

ხშირად ესმოდათ მეზობლებს ჟორჟოლიანის ცოლის პელაგიას წივილ - კივილი. ჟორჟოლიანს თავის საკუთარ ყურმოჭრილ მონა ჰყავდა წარმოდგენილი ცოლი და ყოველ მის სამართლიან შენიშვნას მუჯლუგუნებით უპასუხებდა.

ადამიანურ ცხოვრებას მოკლებულმა ქალმა აღმასკომს მიმართა განცხადებით ქმრის ასეთი მხეცობის შესახებ. პოლიკარპე ჟორჟოლიანი კარგად შეახურეს აღმასკომში და ხელწერილი დაადებინეს, რომ შემდეგში თითსაც არ წააკარებდა თავის ცოლს.

ამის შემდეგ გავიდა 15 დღე. მხეცმა ჟორჟოლიანმა ვერ მოიშალა თავისი ზნე. დაუწყო ჩხუბი და ლანძღვა-გინება პელაგიას. უკანასკნელმა, რომელიც გრძნობდა, რომ ხელისუფლება მისი მფარველია, ხმა აიმაღლა უდიერი ქმრის წინააღმდეგ. უთხრა, რომ არავითარი უფლება არ აქვს სცემოს მას.

ამის საპასუხოდ ჟორჟოლიანმა წამოავლო ხელი წალდს და თავში დაჰკრა თავის ცოლს. წალდით ჟორჟოლიანმა რამდენიმე ჭრილობა მიაყენა ცოლს.

დაჭრილ-დასახიჩრებული ქალი გადაგზავნეს საავადმყოფოში, სადაც დიდი ხნის მკურნალობის შემდეგ ის სიკვდილს გადაარჩინეს. ჟორჟოლიანი დააპატიმრეს.

საქმე გაარჩია ქუთაისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ, რომელმაც ჟორჟოლიანს მიუსაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ 2 წლით სამოქალაქო უფლებების აყრა.

ზერ.

რკინის გზებზე

111.382 მან. კლუბებისა და წით. კუთხეებისათვის

ა.-კ. საგზაო კომიტეტმა რკინის გზელთა ყოფა-ცხოვრების ფონდიდან საუბნო კომიტეტების შორის გაანაწილა 111.382 მ. კლუბებისა და წითელ კუთხეების შესაკეთებლად, მოსაწყობად და მათი შესანახათ.

თბილისის საუბნო კომიტეტს მიეცა 34.158 მან., სამტრედიისას — 14.350 მან., ხაშურისას—10.490 მან., ბაქოსას — 27.693 მან., განჯისას — 14.610 მან. და ლენინაკანისას — 10.081 მანეთი.

გარდა ამისა ა.-კ. რკ. გზის ელექტრო-ტეხნიკურ და კავშირთგაბმულობის განყოფილებას მიეცა 20.000 მანეთი კლუბებში და წითელ კუთხეებში სინათლის გასაყვანად.

ქარი აფერხებს მატარებლების მოძრაობას

გზის აღმოსავლეთ უბანზე 22 აპრილს ამოვარდა ძლიერი ქარი, რომელიც ხელს უშლის და აფერხებს მატარებლების მოძრაობას.

ქარმა გზაში გააჩერა სადგ. ზორათში მიმავალი საბარგო მატარებელი №452. შემადგენლობა ორ ნაწილად ჩაიყვანეს სადგურში.

ხაზი დაკავებული იყო 1 საათისა 15 წუთის განმავლობაში.

შემადგენლობის გაწყვეტა

ყარადაღა - სანგაჩალს შუა გაწყდა მატ № 100-ის შემადგენლობა და მატარებელი სადგურში ორ ნაწილად ჩაიყვანეს.

ხაზი დაკავებული იყო 3 საათის განმავლობაში.

ბიბლიოგრაფია

ე. იაროსლავსკი. „ტროცკი ბურჟუაზიის სამსახურში“

სახელგამი—1929 წ.

ტროცკის ეხლანდელი მდგომარეობა ყველას ყურადღებას იპყრობს. ის დღეს უბადრუკ ადამიანად იქცა. იგი გაძევებულია საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან და ბურჟუაზიის დახმარებით, მისი ტაშის კვრით, თავს ესხმის პროლეტარულ სახელმწიფოს, მუშათა კლასსა და მის პარტიას. ამხ. იაროსლავსკი, სარეცენზიო წიგნაკში, რომელიც წარმოადგენს მის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ სტატიების კრებულს, მიზნათ ისახავს გააცნოს მკითხველს ტროცკის და მის მიმდევართა ევოლიუცია მე-15 ყრილობიდან დღემდე, თუ როგორ ერთ დროს „მხოლოდ ოპოზიცია კომუნისტური პარტიის შიგნით, მივიდა საბჭოთა კავშირის მოსისხლე მტრების ბანაკში“.

კრებულში მოთავსებულ წერილების უმრავლესობა უცნობია ქართველ მკითხველებისათვის, გარდა ორი წერილისა. „მისტერ ტროცკი ბურჟუაზიის სამსახურში ანუ ტროცკის პირველი ნაბიჯი საზღვარგარეთ“ და „ისევ მისტერ ტროცკის შესახებ“. ამხ. იაროსლავსკი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, თუ როგორ არ გამართლდა იმათი შეხედულება, რომელთაც ეჭვი ეპარებოდათ ტროცკიზმის სოციალ-დემოკრატიულ ბუნებაში. ერთი წლის განმავლობაში თვით ტროცკისტებმა გააკეთეს ყველაფერი, რის გაკეთებაც შეეძლოთ, იმისათვის, რომ ახსნილი და დამტკიცებული ყოფილიყო მე-15 ყრილობის გადაწყვეტილების სისწორე და პირველყოვლისა, ეს მათ დაუმტკიცეს ბევრ გუშინდელ თავის მომხრეებს.

ტროცკი, ლაპარაკობს ამხ. იაროსლავსკი, ისტორიულად ეძებდა მოკავშირეს, დამხმარეს პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ყოველთვის მზად იყო შეეკრა უპრინციპო ბლოკი ყველასთან, ვინც კი აღმართავდა დროშას ლენინურ პარტიის მთლიანობის დასარღვევად. ამით აიხსნება, რომ ტროცკი, რომელიც მე-14 ყრილობაზე აპირებდა გამოსვლას მკვეთრად ამხ. ზინოვიევის, როგორც კომინტერნის თავმჯდომარის და საერთოდ ზინოვიევისა და კამენევის მაშინდელ დაჯგუფების წინააღმდეგ, უეცრივ ბლოკში ეკვრება მათ, „როდესაც მე-14 ყრილობის წინ გამოირკვა, რომ ზინოვიევი და კამენევი გამოდიან ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ და აწყობენ ოპოზიციას. ტროცკი არამც თუ გამოვიდა იმათ წინააღმდეგ, არამედ მას ვარკვეულად ჰქონდა აღებული მიმართულება მათთან ბლოკზე“. ეხლა კი, როდესაც ე. წ. ლენინგრადელების სუკეთესო ჯგუფი, მისი თითქმის მთელი შემადგენლობა ამხ. ზინოვიევისა და კამენევის მეთაურობით ჩამოშორდა ტროცკიზმს და, პარტიას დაუბრუნდა, ტროცკი და ჰისი მომხრეები ჰქოლავენ ზინოვიევისა და კამენევის მომხრეებს და იმიჯნებიან მათგან, როგორც „უპრინციპო ხალხისაგან“. ასეთია საერთოდ უპრინციპო ბლოკის ირონია, ასეთია ხვედრი პარტიის წინააღმდეგ მებრძოლ, ნიადაგ გამოცლილ ბელადების და მათი ჯგუფებისა.

ამხ. იაროსლავსკი ვრცლად ჩერდება იმ სხვადასხვაობის დახასიათებაზე, რომელიც შესამჩნევია ტროცკიზმის ბანაკში და მეორეს მხრივ არკვევს ტროცკიზმის შესაძლებელ გადასვლას (თუ მთლად არა, მისი ე. წ. „მებრძოლი“ ნაწილისა) სმირნოვ-საპრონოვის (დეცისტების ე. ი. ეგრედ წოდებულ „დემოკრატიული ცენტრალისტების“) და მიასნიკოველთა კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში. ამ უკანასკნელთა თვალთახედვით კი ჩვენში „ტერმიდორი“ ფაქტია და გამოსავალი მხოლოდ არსებულ ხელისუფლების შეიარაღებულ ძალით დამხობაშია.

ხსენებულ თვალსაზრისს იცავს ტროცკი. მას ძლიერ უახლოვდება ტროცკისტების „გენერალური შტაბი“ (სმილგა, მურალოვი და სხვ.), რომელიც, როგორც ლაპარაკობს ტროცკი „დეილი ექსპრესში“ მოთავსებულ წერილში, „საკმაოა შეიარაღებული აჯანყების დასაწყებად“. მაგრამ ასე არა ფიქრობს, მაგ., პრეობრაჟენსკი და არც კარლ რადეკი, რომელნიც ტროცკისტების გენერალურმა შტაბმა კომინტერნის მე-6 კონგრესის წინ (1928 წლის ზაფხულში) კაპიტულიანტებადაც კი მონათლა. პრეობრაჟენსკი, რომელიც საერთოდ ემორჩილება ტროცკიზმის დისციპლინას, ხელს აწერს მის ყველა „პროგრამულ“ დოკუმენტებს, მაინც ირყევა და როგორც ამხ. იაროსლავსკი აღნიშნავს, უფრო ფხიზლად აფასებს მდგომარეობას. აი რას სწერდა ის 1928 წლის 11 მაისს „ჩვენ გვსურს პარტიის ოფიციალურ უმრავლესობასთან შერიგება, კომინტერნსა და სასოფლო პოლიტიკაში აღებული კურსის შემდგომი განვითარების საფუძველზე. ჩვენის მხრივ ამას შესაძლებლად ვცნობთ და ასეთი შერიგებისათვის გავაკეთებთ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია“ და სხვ.. თითქმის ასეთივე აზრები გამოსთქვა გასულ წელს რადეკმაც, რისთვისაც ამ „კაპიტულიანტებს“ მებრძოლ ტროცკისტების რისხვა დაატყდათ თავს.

ამით, ლაპარაკობს ამხ. იაროსლავსკი, ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ არ უნდა მოვათავსოთ ყველა ტროცკისტები ერთ ტაფაზე. ჩვენი მიზანია გამოვააშკარაოთ, რომ ტროცკისტებს შორის სწარმოებს სრულიად გარკვეული დანაწილება; ჩვენი მიზანია **ხელი შევუწყოთ ამ დანაწილებას, დავეხმაროთ ტროცკისტების ანტი-საბჭოთა პარტიიდან ჩამოშორებაში იმათ, ვინც შუა გზაზე დგანან. არავითარი საერთო არ შეიძლება იყოს იმათთან,—ვისაც პარტიაში დაბრუნება სურს—და იმათ შორის, ვინც სთვლის, რომ საბჭოთა მთავრობა ანტიმუშური მთავრობაა.** (ამით ჩვენ სრულიად არ გვსურს ვსთქვათ, რომ არიან კარგი ტროცკისტები—ტროცკისტი-ტროცკისტია). თუ დღეს პრეობრაჟენსკი ტროცკისადმი გაგზავნილ დოკუმენტში აცხადებს, რომ მას უმეტეს საკითხების გარშემო პარტიასთან უთანხმოებანი აღარ აქვს, მაშინ მან, რომელიც იზიარებს მის თვალსაზრისსაც, შეუბრალებლად უნდა შეუტიოს ტროცკისტების ანტისაბჭოთა და ანტიპარტიულ პოზიციას (78).

ცალკე წერილში ამხ. იაროსლავსკი იხილავს ტროცკისტების და, პირველ რიგში, ყველაზე დიდი ორჭოფის, ტროცკის ბუნებას. ორჭოფი—ყველაზე უფრო საზიზღარი ტიპია რევოლიუციაში, ორჭოფი „ჩვენიცაა და თქვენიც“. რევოლიუციის აღორძინების მომენტებში ის 100 პროცენტიანი რევოლიუციონერია, მიდის ყველასთან ერთად იერიშებზე, ზოგჯერ სავსებით იმნაირად, როგორც მტკიცე ბოლშევიკს შეფერის. დაიწყება თუ არა რევოლიუციონური ტალღების დაცემა, ან და მერყეობა პროლეტარიატის თანამგზავრებში, ეს ტიპი იწყებს მერყეობისა და ქანაობის ყველა ნიშნების გამომჟღავნებას“ (83). ტროცკის მთელი პოლიტიკური მოღვაწეობა და განსაკუთრებით მისი ყოფნა ლენინურ პარტიაში ყოვლად უმსგავსი ორჭოფობის განსახიერებაა. ტროცკის ორი ბუნება, ორი გული ჰქონდა, ერთის მხრივ ის იზიარებდა პარტიის თითქმის ყველა შეხედულებებს, ხოლო მეორეს მხრივ ცდილობდა წვრილი ბურჟუას, ძველი ტროცკისტის შერიგებას ლენინიზმის პრინციპებთან. „ორჭოფობა—იაროსლავსკის თქმით—ახასიათებს არა მარტო იატაკ ქვეშა ტროცკისტებს, არამედ ის არა ნაკლებ ახასიათებს „დეცისტებს“, მიასნიკოველებს და ყველა სხვა ჯგუფებს, რომლებიც იძულებული არიან დაადგენ ფრაქციულობისა და პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის გზას“.

კრებულის უკანასკნელი წერილები, რომელთაც ქართველი მკითხველი იცნობს, ეხება ტროცკის „მოღვაწეობას“ საზღვარ-გარეთ მისი გადასახლების შემდეგ. ის, რაც ტროცკიმ საზღვარგარეთ მოიმოქმედა. არ არის მოულოდნელი და განსაცვიფრებელი. ორჭოფი ტროცკის ბუნება სწორედ იმას გულისხმობს, რომ მასში ყოველთვის ორი აზრი, ორი სული ბუდობდა. მოხვდა რა ბურჟუაზიის სამეფოში, როგორც „დევნილმა“ გამოამჟღავნა სწორედ ეს მეორე სული, სული გაბოროტებულ წვრილი ბურჟუასი, რომელიც აღშფოთებულია პროლეტარული სახელმწიფოს ორგანოების მოქმედებით. ხოლო სახელმწიფო პოლიტსამმართველოს, რომელსაც ის, ერთ დროს, პროლეტარული რევოლიუციის ყველაზე საამაყო და პატივსაცემ ორგანიზაციათ აღიარებდა, ეხლა „პოლიტიკურ პოლიციას“ უწოდებს, რადგან მან გააძევა საბჭოთა ქვეყნიდან რენეგატი ტროცკი.

ასეთია მოკლედ ამხ. იაროსლავსკის წერილების დედა-აზრი. პარტიის ყოველი წევრი, რომელსაც არ ჰქონდა საშუალება გაეცნობოდა ამხ. იაროსლავსკის მიერ სხვადასხვა დროს რუსულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებს ტროცკის შესახებ, ვალდებულია წაიკითხოს ეს კრებული.

ა. მ—ია.

შემთხვევები

ხულიგნობა

კვირას, 21 აპრილს, ნაშუადღევს მოხდა აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედება. მთვრალმა მ. დოროშენკომ ქუჩაში გააჩერა გამვლელი მოქალაქე, რომელსაც უბრძანა ხელები ზევით აეწია.

გამვლელი აღმოჩნდა მოქ. ეგოროვ-ალექსეევი (ყრუ-მუნჯი, პენსიონერი), რომელმაც პირველ ხანებში, ვერ გაიგო, თუ რას მოითხოვდა მისგან გალეშილი დოროშენკო.

როცა დოროშენკომ რევოლვერი ამოიღო ჯიბიდან და ეგოროვს დაუმიზნა, უკანასკნელმა ხელებით ანიშნა გამვლელებს მომხმარეთო.

დოროშენკომ ხუთჯერ ესროლა ეგოროვ-ალექსეევს, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

სროლაზე მიცვივდნენ მახლობელ ბინებში მცხოვრები მდგმურები და ერთიც კომკავშირელი ვინტოვკით.

დოროშენკომ კომკავშირელს დაუწყო ყვირილი: „არ მომეკარო, თორემ ჩემი მსხვერპლი გახდებიო“.

შემდეგ რევოლვერში ჩასდო ახალი ვაზნები და დაუწყო სროლა მოგროვილ ხალხს.

მომხდარი ამბის შესახებ აცნობეს მილიციას.

დოროშენკომ მილიციონერებსაც აუტეხა სროლა, მაგრამ ის იქვე დააპატიმრეს.

მკვლელობა

ივანე გალოიანცის ბინაზე (ფოსტის ქ. № 21) ქეიფის დროს მიხეილ იაკობის ძე მამაცაშვილმა (მცხ. გუთნის ქ. № 4) რევოლვერით მოჰკლა ალექსი კარაპეტის ძე მალაქიანცი. მამაცაშვილი დაპატიმრებულია.

ხულიგნების დაპატიმრება

ქალაქის აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის დააპატიმრა: 1 ნახ. თვით— აკაკი გიორგის ძე ბოკერია (სტუდენტი), ალექსანდრე ადამის ძე სკლიზმენოვი (ფარმაცევტი), გიორგი არმაკის ძე ზულიანცი (ვაჭარი) და ერთი თვით—ჯალილ მუსა-ოღლი (ვაჭარი).

ქურდობა

კარის გატეხის საშუალებით გაქურდეს რაკლი ზაალიშვილის ბინა (ველინსკის ქ. № 44), წაიღეს 100 მანეთის ნივთები და 300 მანეთის ოქროულობა;—მათე ჩაფიაჯიშვილს ბინიდან (ბესიკის ქ. № 6) მოიპარეს სხვადასხვა ნივთები;—გარდა ამისა, 22 აპრილს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 5 შემთხვევა.

ჯიბგირობა

გუშინ გ. პანტელიტს ვიღაც უცნობმა პირმა ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალა 450 მანეთი და მიიმალა.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) დ. კვესელავა (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) ვ. ტყეშელაშვილი (თბ.)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

პარტია № 20 (ლაზიერის პაიკთა დებიუტი)

(გათამაშებულია თბილისის მოჭადრაკეთა შეჯიბრების მე-16 ტურში 1929 წ. 27 მარტს.)

თეთრები: კასპარიანი შავები: შიშოვი

1. d2—d4, d7—d5 2. მg1—f3, მg8—f6 3. კc1—g5 (ჩვეულებრივად ამ მდგომარეობაში თამაშობენ c4, ამ სვლაზე მოყვანილს ტექსტში შავებს წარმატებით შეეძლოთ ეთამაშათ მe4 და შემდეგ c5 ადვილი თამაშით) 3.., კc8—f5 4. c2—c4, e7—e6 5. ლd1—b3, b7—b6 (ნაადრევ მესამე სვლის გამო შავებს სჭირდებათ პოზიციის შემასუსტებელი სვლის გაკეთება. 5.., მc6 6. ლ:b7, მb4 7. მa3 შემდეგ შავებს წაგებულ პაიკის მაგივრათ არაფერი ექნებოდათ) 6. მb1—c3, c7—c6 7. c4:d5, c6:d5? შეცდომა, რომელიც პაიკის შეწირვით, თეთრებს დიდი შეტევის შესაძლებლობას აძლევს) 8. e2—e4, d5:e4 9. კf1—b5+, მფe8—e7 (იძულებითი სვლაა, რადგანაც მd7 10. მe5 და თეთრები კარგავენ ფიგურას). 10. კg5—f4! მf6—d7 (არ შეიძლება მხედრის აყვანა ლb4 შამათის გამო, არ ვარგა აგრეთვე მbd7 11. მe5 სულ ნაკლებ ხარისხის მოგების გამო) 11. მf3—g5, f7—f6 12. მc3—d5+ (აქედან იწყობა კომბინაცია ფიგურების შეწირვით, რომელიც შავების სწორ თამაშის დროს არაფერს იძლევა) 12.., e6:e5 13. ლb3:d5, f6:g5 14. კf4:g5+, მd7—f6 15. ლd5:a8, მფe7—f7 16. 0—0, a7—a5? (შავები სუსტად იცავენ თავს, აქ საჭირო იყო კd6 თამაში კ:h2+ და მg4+ მუქარით, ხოლო ლ:a7+ შავებს უნდა ეპასუხნათ ლc7, რის შემდეგ თეთრები იძულებული არიან დაცვალონ ლაზიერები და თეთრებს ძნელად შეეძლიათ გამოიყენონ თავიანთი უპირატესობა d პაიკის სისუსტის გამო) 17. კd5—f4, კf8—d6 18. კf4—e5, კd6:e5 19. d4:e5, მf6—g4 20. ლa8—b7+, მფe7—g6 (არ ვარგოდა ლe7 21. კc4+, კe6 22. კ:e6. მფ:e6 23. ლ:b6+ გამო) 21. ეa1—d1, ლd8—h4 22. ეd1—d6+, მფg6—h5 23. h2-h3, მg4:e5 24. ლb7-d7, ლh4:f4 (შავები თავს ვერ დაიცავენ მg6 თეთრები უპასუხებენ ე:g6 და შემდეგ ლ:h8) 25. კb5—e2+, მe5—f3+ 26. კe2:f3+e4:f3 27. g2—g4+! შავები დანებდენ რადგანაც კ:g4 28. ეh6+, ლ:h6 შემდეგ თეთრები აკეთებენ შამათს ლ:g4×.

ფეხბურთი

ხარკოველებმა მოიგეს მესამე შეჯიბრება

გუშინ ხარკოველების წინააღმდეგ გამოვიდა საქართველოს ნაკრები გუნდი („დინამო“), რომელშიაც შევიდნენ: ბალდოევი, ფსაროსი, ფრუიძე, კასპარიანი, ანიკინი, პარამონოვი, ვაჩნაძე, ფაჩულია, აბაშიძე, შულცი და პეჩიონნი

თუმცა წვიმა და ტალახი საგრძნობლად აფერხებდა თამაშს, მაგრამ ხარკოველებმა ამ შეჯიბრებაშიაც დაამტკიცეს თავისი უპირატესობა და მატჩი დაამთავრეს 3:0 თავის სასარგებლოდ.

ამრიგად, ხარკოვის „დინამომ“, რომელიც თბილისში მოწვეული იყო სამი შეჯიბრების ჩასატარებლად, მოიგო სამივე მატჩი საერთო ანგარიშით 14:3.

დღეს ხარკოველები მიემგზავრებიან ბაქოში.

თბილისი—მოსკოვი

თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის რკინისგზელთა გუნდი „კორი“, რომელიც ერთ-ერთ უძლიერეს გუნდათ ითვლება მოსკოვში. გუნდი თბილისში ჩაატარებს სამ შეჯიბრებას.

პირველი შეჯიბრება გაიმართება ხუთშაბათს, 25 აპრილს, ნაშუადღევის 4 ნახევარ საათზე. ამ დღეს სტუმრებთან თამაშობს მელითონეთა კავშირის გუნდი.

მეორე მატჩი შესდგება შაბათს, 27 აპრილს. მოსკოველებთან ითამაშებს თბილისის „დინამო“, ხოლო უკანასკნელ შეჯიბრებაში კვირას, 28 აპრილს, სტუმრების წინააღმდეგ გამოვა პროფკავშირების ნაკრები გუნდი.

ყველა შეჯიბრებები გაიმართება ლენინის სახელობის სტადიონზე.

ექვს მაისს მუშაობენ

გუშინ მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში შესდგა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის და საბჭოთა მეურნეობების ტრესტის თანამშრომლების საერთო კრება, რომელმაც განიხილა საკითხი 6 მაისის სამუშაო დღეთ გამოცხადების შესახებ.

კრებამ ერთხმად დაადგინა—6 მაისი გამოცხადებული იქნეს სამუშაო დღეთ და სამაგიეროთ დასასვენებელ დღეთ არჩეული იქნეს ზაფხულის სხვა რომელიმე დღე.

ამ დადგენილებისათვის მხარის დასაჭერად კრებამ გამოიწვია თბილისის აღმასკომის, „ცეკავშირი“-ს, „სოფლის კავშირი“-ს, სას.-სამეურნეო ბანკის, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, „საქართველოს აბრეშუმი“-ს, „მეჟუმ-სი“-ს და „საქართველოს ჩაი“-ს თანამშრომლები.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 24 აპრილი

დღეს, რადიო-გადამცემი სექტორი თბილისის რადიო-სადგურის საშუალებით გადასცემს შემდეგ პროგრამას:

საღ. 5 საათიდან—ოქტომბრელის საათი, რუსულ ენაზე; საუბარი—„ნათესების ნებაყოფლობითი დაზღვევა“, ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; პოპულიარული სიმღერის კონცერტი; მოხსენება—„ქალთა კულტურული ლაშქრობა“, ქართულ ენაზე; მოხსენება ციკლიდან—„როგორ უნდა ვიკვებებოდეთ“; დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; გაზეთი „კრასნი ვოინ“, რუსულ ენაზე; ინფორმაცია სამკითხველოების მუშაკთათვის და მასწავლებლებისათვის; დუხოვსკაიას და ბიხტერის კონცერტის ტრანსლიაცია რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზიდან. უკანასკნელი ამბები; მორზეს ანბანი, რუსულ ენაზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა - ხელზე

დღეს 24 აპრილს თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: სერგო ჯიქია, პიმალუს ბაგრამოვა, გენო ჯავახიშვილი, ალექსანდრე ჩხეიძე, ვასო შარმაზანაშვილი, კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ონანოვი, ელენე სვანიძე, სიმონ გოგებაშვილი, სოფიო აბაჯავა, ეფემია გორდელაძე, გიორგი გამზარაშვილი, გრიგოლ ბასილაშვილი, გიორგი ზარულავა.

მედსექციიდან: მალჩევსკაია, ხარლოვი, ფერაძე, ხაფავა, თოფურია. გარდა ამისა სექციას ესაჭიროება 3 ბებია-ფერშალი, ქართული ენის კარგი მცოდნე.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: აზატ პეტროსიანცი, ივანე კოკაია, დიმიტრი ლასურაშვილი, სერგო გირმიზოვი, მაკელონ დოსტაკიანი, ზურაბ ახპეროვი, კორნელი გოგელია, კონსტანტინე თევზაძე, კლავდია კოლესნიკოვა, ვასილ ბაზერაშვილი, ალექსანდრე სტეპანიანცი, შალვა ბარნოვი, დარო კუდრიამოვა, ანნა გრიგორიევა, ოლღა გოგობერიძე, ისაკ ბადანოვი.

ამინდი საქართველოში

ზუგდიდის მაზრაში

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ზუგდიდი, 23 აპრილი. ზუგდიდის მაზრაში 22 აპრილიდან კვლავ დაიწყო გამუდმებული წვიმა ნისლით. ტემპერატურა უდრის 6 გრად. მაზრაში წყალდიდობაა, წყალდიდობასთან მებრძოლ სამაზრო სამეულის მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები ენგურის, ხობის და ჯუმის წყლების ნაპირების გასამაგრებლად. მუშაობა უკვე სწარმოებს.

ა. კოდუა.

კოკისპირული წვიმები ქუთაისში

ქუთაისი, 23 აპრილი. ქუთაისში მოდის კოკისპირული წვიმა და თოვლი. დასავლეთ საქართველოში მდინარეები ყველგან ადიდდნენ. ქუთაისში რიონი 210 სანტიმეტრით არის ნორმალურ დონის ზევით. ავტომობილების მიმოსვლა ქუთაისსა და ბაღდადს შორის შესწყდა გზის გაფუჭების გამო. მდინარე ყვირილამ ბორანი გაიტაცა. (აძს).

მდინარეების დონე

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოში მიღებული ცნობებით, 22 აპრილს ცხენის წყლის დონე მომატებული იყო 120 სანტიმეტრით, გორში მტკვარის დონე — 175 სან.

გუშინ დილით მდ. მტკვარში წყლის დონემ თბილისის ფარგლებში მიაღწია 278 სანტიმეტრს. შუადღისათვის მდინარეში წყლის დონე ავიდა 280 სანტიმეტრამდე, ხოლო ნაშუადღევს წყალმა კვლავ დაიწყო მატება.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

„კოოპერაციის საქმეთა მმართველობისათვის“ 1927 წ. ივლისის 27 თარიღით გამოცემული დებულების მეე-3 მუხლის „გ“ პუნქტის შეცვლის შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

კოოპერაციის საქმეთა მმართველობის დებულების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი (საქ. კან. კრებ. 1927 წ. № 7, მუხ. 112) შეიცვალოს შემდეგნაირად:

„გ“ პუნ. რეგისტრაციის წარმოება როგორც პირველი საფეხურის, ისე სარაიონო და ცენტრალური კოოპერატიული ორგანიზაციებისა, გარდა საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობათა და მათი კავშირებისა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებისა, სამანქანო, სამელიორაციო, სათესლე და სხვაგვარ მარტივ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. ნოემბრის 13
თბილისი—სასახლე.

დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სახელმწიფო-სატეხნიკო გამომცემლობის ყოველგვარი რესპუბლიკანური და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებებისაგან და აგრეთვე სასამართლოს ბაჟისაგან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლებულ იქნეს სახელმწიფო-სატეხნიკო გამომცემლობა („გოსტეხიზდატ“-ი), რომელიც სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაშია, ყოველგვარი რესპუბლიკანური და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებებისაგან და აგრეთვე სასამართლოს ბაჟისაგან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. დეკემბრის 4
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპგანყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს 25 აპრილს, დილის 11 საათზე მოწვეულია თათბირი თბილისში ახალგაზრდა მუშა-მაყურებელთა თეატრის მოწყობის შესახებ.

თათბირზე სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: კერესელიძე, ბუჯიაშვილი და დემეტრაძე (ს. ა. ლ. კ. კ. ცეკადან და თბილისის კომიტეტიდან); ვოლსკი („ახალგაზრდა კომუნისტი“); შავგულიძე („მოლოდოი ლენინეც“); მიქაძე, მგალობლიშვილი და ქმონზერი (პროფსაბჭო კულტგანყოფილება), თოიძე, ჭუმბურიძე და ბერძენიშვილი (განათლების კომისარიატიდან); ტატულოვი (საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტიდან); ანდრიუშინი, შეველოვი და ფროლოვი (კომკავშირის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტიდან); ორიოლ (თბილისის მუშათა თეატრიდან), როგოვსკი („რაბოჩაია პრავდა“); პასეცკი და დიასამიძე (ხელოვნების მუშაკთა კავშირიდან).

—:—

საქართველოს მებრძოლ მატერიალისტ-დიალექტიკოსთა საზოგადოების ღია კრება, რომელიც დანიშნული იყო 17 აპრილისათვის და ვერ შესდგა ტეხნიკური დაბრკოლებების გამო,—შესდგება 24 აპრილს, საღამოს სრულ 5 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 8).

დღის წესრიგშია ამხ. ტატულოვის მოხსენება მექანისტებთან პოლემიკის შედეგების შესახებ.

ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ხუთშაბათს 25 აპრილს, საღ. 5 საათზე ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება საკონფლიქტო კომისიის სხდომა, რომელსაც გარდა საკონფლიქტო კომისიის და თბილისის კომიტეტის წევრებისა უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ქეიშვილი, დედაბრიშვილი, მენტარჯიანი, როსტომიანი, სიროპიანი, ამირხანოვი, გოგოლაშვილი, ჩხეიძე, რთველაძე, კაზიბეკოვა, გერასიმოვა, დავიდოვი, ზავოდსკოი, კულაკოვი, მინასიანი, ხუბლარიანი და ახვერდოვისა.

დღეს, 24 აპრილს, საღამოს 6 საათზე, უნივერსიტეტის კლუბში შესდგება სახ. უნივერსიტ. სოც. ეკონომ. ფაკულტეტის კომპარტ. და კომკავშ. უჯრედის ღია კრება უპარტიოებთან ერთად.

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

ლენინის სახელ. სახელმწ. პოლიტეხნიკური ინსტრუქტ. მექანიური ფაკულტეტის ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს კრება შესდგება დღეს, 24 აპრილს, 3 საათზე. ბიუროს წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე ამხ. შარაშენიძე გაიოზ და გეგეჭკორი.

— **სახ. უნივ. ა.ლ.კ.კ. გაერთიანებული უჯ**რედთა ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 24 აპრილს, საღამოს 5 საათზე შესდგება აგიტთათბირი. ცალკე უჯრედთა აგიტპროპების დასწრება სავალდებულოა.

სახ. უნივ. ა.ლ.კ.კ. გაერთიანებული ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე შესდგება მსუბუქი კავალერიის სამეულის სხდომა. სამეულის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

სახ. უნ-ტის პედ. ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე, მოწვეულია პედ. ფაკულტეტის პარტიის და ამავე ფაკულტეტის ა.კ.ლ.კ. უჯრედთა გაერთიანებული სხდომა. პარტიის წევრ-კანდიდატების და ა. ლ. კ. კ. წევრთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში დღეს, 24 აპრილს, საღამოს 7 საათზე შესდგება გ. ფ. სოკოლოვის მოხსენება „საქართველოს მრეწველობის რეკონსტრუქციის მუშაობის შედეგები და პერსპექტივები“.

მოწვეულნი არიან სამრეწველო საწარმოთა მუშები და ადმინისტრატორები და ს.მ.უ. საბჭოს, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების მუშაკები.

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომი აუწყებს ლენინის რაიონის, პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს რაიკომის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრის

ამხ. ილია თაქთაქიშვილის

ტრაღიკულად დაღუპვას. დაკრძალვა ა. წ. 24 აპრილს, საღამოს 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 1523

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია იუწყება ძველი ბოლშევიკი

ილია გიორგის-ძე თაქთაქიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას.

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭო იუწყება თბილისის საბჭოს წევრის

ილია გიორგის-ძე თაქთაქიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება, დღეს, საღამოს 4 საათზე, საკუთარ ბინიდან, ნოვოროსიის ქ. № 8. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. ნ. 2592

პირველი პროფსკოლის პედაგოგიური საბჭო, მშობელთა სასკოლო საბჭო და მოწაფეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას აღნიშნული სკოლის საბჭოს პრეზიდიუმის წევრის და აქტიური მუშაკის ამხ.

ილიკო გიორგის ძე თაქთაქიშვილის

ტრაღიკულად დაღუპვას. (8)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა აგაფია ხარიტონის ასული გულიაევი; ქმარი ილარიონ ვასილის-ძე; შვილები: თამარა, ქსენია, ალიოშა, ნადია და კოკა; სიძე იუსუფ მახარაძე აუწყებენ საზოგადოებას მათთვის საყვარელ

ელენა ნიკოლოზის ასულის სვანაძის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 6 საათზე. გამოსვენება 25 აპრილს, ბინიდან არქივის შესახ. № 13. 3 ნახ. საათზე, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

სახ. აკ. ოპერის თეატრი
ოთხშაბათს, 24 აპრილს

ქუთაის-ბათომის სახელმწ. დრამის თეატრი
კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით გასტროლები თბილისში
მე-3-მე აბონემ. 3-მე წარმოდ. **წმინდა ქალწული**
დრ. ქრონიკა 7 სურათად ბერნარდ შოუსი, თარგ. ი. გრიშაშვილის
დადგმა ვ. აბაშიძისა მხატვ. ი. შარლემანი
აბონემენტის გარეშე: შაბათს, 27 აპრილს—ურიელ აკოსტა
კვირას 28 აპრილს { დილით—კაკალ გულში
საღამოთი—ყვარყვარე თუთაბერი
ბილეთები იყიდება.
დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე

ჩვენს სამხეცეში ჩამოყვანილია
მეტად იშვიათი მხეცები
სუმატრის ვეფხები
იჩქარეთ ნახვა--სამხეცე მალე წავა
ნ. 2586 3—1

ს. ს. რ. მიწსახკომის სახალხო მამულთა ტრესტის სახელწოდება შეცვლილია შემდეგი სახელწოდებით:
ს.ს.ს.რ. მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობის ტრესტი
თანახმად საქ. სახკომსაბჭოს ა/წ. 19 თებერვლის დადგენილებისა
მიწსახკომი

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ პარასკევს 26 და შაბათს 27 აპრილს ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება: დილის 10 საათზე რუსის ქ. № 3 ღვინო 30 ვედრა, ცარიელი კასრები 15 ცალი და სარდაფის მოწყობილობა, დღის 12 საათზე პლეხანოვის გამზირი № 43 სასადილოს მოწყობილობა, დღის 1 საათზე ორჯონიკიძის ქ. № 2 სასადილოს მოწყობილობა, დღის 2 საათზე დიდუბის ქ. № 7,—220 ვედრა ღვინო ნ. 2584

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების დ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

სახქინმრეწვის კინოები
განთიადი
არფასტო
სოლეი
აპოლო
მინიონი
პალასი
დარბაზი
პროლეტარი

მონტი ბენკს სურათში
შეჯიბრების უნებლიე მონაწილე
მსოფლიო ფილმი
ჩანგ
მხატვრული სურათი „მეჟრაბპომ ფილმის“
ქალაქში შესვლა არ შეიძლება
რეჟ. ჟელიაბუჟსკი
უცხოეთის მხატვრ. სურათი
დონნა ჟუანა
გრაფი მონტე- კრისტო
3 და 4 სერია
პატი და პატაშონი სურათში
პოლიციელები
კვირას კინო სოლეიში კინო-სეანსები დღისით
0—21

სრულიად საქ. სოცდაზღვევის კომიტეტი
აცხადებს, რომ ამ სეზონში სასანატორო-საკურორტო მკურნალობისათვის
ავადმყოფების გადარჩევი
ცალკე სპეციალური კომისიები გამოყოფილი არ იქნებიან
სასანატორო-საკურორტო მკურნალობისათვის ავადმყოფების გადარჩევას აწარმოებენ: ტუბერკულიოზიანების—ტუბდისპანსერი; გულით დაავადებულების—ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტი; ახტალაში და წყალტუბოში (მორიგ შეღავათების ანგარიშში) გასაგზავნ ავადმყოფების—ტალახით სამკურნალო; კუჭ-ნაწლავებით, თირკმელებით და ღვიძლით დაავადებულების გადარჩევა სწარმოებს საექიმო-საკონტროლო კომისიაში.
ზემოაღნიშნული სამკურნალო-დაწესებულებები ავადმყოფების გადარჩევას აწარმოებენ იმ პირთა რიცხვიდან, რომელნიც მათთან მკურნალობენ.
საექიმო - საკონტროლო კომისიაში გადმოგზავნილ ავადმყოფებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ გამოკვლევანი (ლაბორატორიული და რენტგენის).
სრ. საქ. სოცდაზღვევის კომიტეტი
ნ. 2590

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) აცხადებს, რომ კვირას, 28 აპრილს, დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა. გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 2510

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29
ელსმენი—11—78.

ექიმი
ა. დ. პეპელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება:
ყურის, ცხვირის, ყელის სნეულებანი და მათი ქირურგია
მიღება 5—7 საათ. საღამოს მისამართი: ჯულაშვილის ქუჩა (ყოფილი რტიშჩევის) № 14 ტელეფონი 20—10

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექ. **დ. ლ. თევზაძე**
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №25—73 25—6 1240

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ **ნ. გ. კონტოროვიჩისა**
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—8 ნახ. საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6-

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი (შეზ. „914“ გერმანული პრეპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკ. ტრიპერი) და კანის ავადმყოფობანი
მიღება { დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 7—8 ნახ. საათ.
კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი-მთავრის ქუჩა) ქალ. მეორე საავადმყოფოს მახლობლად 1274—25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი უძლურების მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილით 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათ. კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ., № 3. 25—1

პედოლოგი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 25 | 1

დაეკარგა: პირადობის უვადო მოწმობა (პასპორტი) არამ მიხეილის ძე მარკარიანცის სახელზე, ჩ. გ. 1521

დაეკარგა: პარტსაკანდიდატო ბილეთი № 245678 ტრიფონ მოსეს ძე მამარდაშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაეკარგა: პურის წიგნაკი № 101 ეკატერინე პავლეს ასული პატარკალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1518

დაეკარგა: მოწმობა თბილისის მე-8-ე გიმნაზიის დასრულების შესახებ გაცემული 1918 | 19 სამ. წელში ალექსი ერქომაშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაეკარგა: კავშირის საწევრო წიგნაკი № 8360, წერილები ტაბახმელის კოოპერატივიდან, გიორგი ქოროღლიშვილის მიერ ხელმოწერილი 465 მანეთის და შინდისის კოოპერატივიდან, ამავე ქოროღლიშვილის მიერ ხელმოწერილი 140 მან. რაოდენობით ივანე ტაბატაძის სახელზე, ჩ. გ. 1525

დაეკარგა: „ზაკტაპის“ საწევრო წიგნაკი № 3073 ნიკოლოზ გურგაის სახელზე ჩ. გ. 1526

დაეკარგა: ფ. ტ. კავშირის წიგნაკი № 100662 იოსებ გზირიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1526

დაეკარგა: კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 40153, გაცემული ქუთაისის მუშკოოპის მიერ, რაულ გაიოზის ძე გედენიძეს სახელზე, ჩ. გ.

დაეკარგა: შვიდწლედის დამთავრების მოწმობა № 180, გაცემული საწირის 7 წლ. შრ. სკოლიდან ალექსანდრე ამბაკოს ძე ქარქაშაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 259

ტირაჟი—38.836
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68
მთავლიტი № 904.